# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 3 ნოემბერი 1999 №211 (984) | ფასი 50 თეთრი

## 3 ქინქლაძე ის წამალია, ექიმმა დერბი ქაუნთის რომ გამოუწერა

ასე ფიქრობენ ქართველი ნახევარმცველის ახალი, პრემიერლიგელი თანაგუნდელები



ქინქლაძე დერბიში გუშინდელი ვარჯიშისას

## 7 კრუიფი რეალში?

„რეალის“ პრეზიდენტი ჯონ ტოშაკის განთავისუფლებას არ ჩქარობს

## 8 NBA: აღმოსავლეთის კონფერენცია ახალი სეზონის წინ

## 14 რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



როსტომ აბაშიძე

# დამარცხებულს გაუმარჯოს!

UEFA CHAMPIONS LEAGUE

### VI ტური

A ჯგუფი

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი | 0 |
| მარიბორი | 0 |
| დინამო | 0 |
| ლაციო | 1 |

B ჯგუფი

| | |
|---|---|
| აიკ | 2 |
| არსენალი | 3 |
| ფიორენტინა | 3 |
| ბარსელონა | 3 |

C ჯგუფი

| | |
|---|---|
| ბოავიშტა | 1 |
| დორტმუნდი | 0 |
| ფეიენოორდი | 1 |
| რუსენბორგი | 0 |

D ჯგუფი

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 2 |
| შტურმი | 1 |
| მარსელი | 2 |
| კროატია | 2 |



REUTERS ფოტო

დინამო — ლაციო. კახი კალაძე რობერტო მანჩინის მჭიდროდ მეურვეობს

A, B, C და D ჯგუფებიდან ადრე გასულ „ლაციოს“, „ბარსელონას“, „ფიორენტინას“, „რუსენბორგს“, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „მარსელს“ წუხელ

## დინამო და ფეიენოორდი

შეემატნენ. მესამე ადგილებზე გასულები: „ლევერკუზენი“, „არსენალი“, „დორტმუნდი“ და „შტურმი“ კი უეფას თასზე გააგრძელებენ ასპარეზობას



REUTERS ფოტო

ბოავიშტა — დორტმუნდი. დორტმუნდელი იურგენ კოლერი პორტუგალიელთა გარემოცვაში

# დამარცხებულს გაუმარჯოს!

A ჯგუფში კიევის „დინამომ“ შინ „ლაციოსთან“ წაგების მიუხედავად შემდეგი ეტაპის საგზური მოიპოვა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. VI ტური

### A ჯგუფი

**ლევერკუზენი 0:0 მარიბორი**

ლევერკუზენი: მატიშეკი, რეები (ბრადარიჩი 46), ი. ნოვოტნი, ჟივკოვიჩი, ჰეიდუკი, რამელო, ემერსონი, ბაინლიხი, შნაიდერი (ჰოფმანი 74), რაიხენბერგერი (პონტე 46), ნოივილი

მარიბორი: გრესაკი, გალიჩი, ვუგდალიჩი, სარკეზი, ჟიდანი, კარიჩი, სესლარი, დიურანოვიჩი, ბალაიჩი, ფილიპოვიჩი, სიმუნჯა (ბოჟგო 56)

მსაჯი: დ. ილარი (ინგლისი)

**დინამო 0:1 ლაციო**

0:1 მამედოვი (18 ს.კ.)

დინამო: შოვკოვსკი, გუსინი, მამედოვი, დმიტრულინი, გოლოვკო, ვაშჩუკი, კალაძე, კოსოვსკი, ფიოდოროვი (შაცკიხი 46), ბელკევიჩი, რებროვი

ლაციო: ბალოტა, პანკარო, ნეგრო, ფერნანდო კოუტუ, გოტარდი, სენსინი, მარკოლინი, სიმეონე, სტანკოვიჩი (პინცი 66), მანჩინი, ს. ინძაგი

მსაჯი: პ. დარკინი (ინგლისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაციო | 6 | 4 | 2 | 0 | 13:3 | 14 |
| დინამო | 6 | 2 | 1 | 3 | 8:8 | 7 |
| ლევერკუზენი | 6 | 1 | 4 | 1 | 7:7 | 7 |
| მარიბორი | 6 | 1 | 1 | 4 | 2:12 | 4 |

### B ჯგუფი

**აიკ 2:3 არსენალი**

0:1 ოვერმარსი (17), 1:1 ა. ანდერსონი (41), 1:2 ოვერმარსი (52), 1:3 შუკერი (56), 2:3 ა. ანდერსონი (68)

აიკ: ასპერი (ბაქსტერი 72), კიოლო, ლიუნგი, კამარკი, კორნელიუსონი (ასლუნდი 72), ნორდინი, ო. ანდერსონი, გუსტაფსონი, ტიერნსტრიომი, ნოვაკოვიჩი, ა. ანდერსონი

არსენალი: მანინგერი, დიქსონი, ლუჟნი (ვივასი 78), აპსონი, უინტერბერნი, ლიუნგბერგი, ვიეირა, პეტი (მალცი 78), ოვერმარსი, კანუ, შუკერი (პიუზი 78)

მსაჯი: ჰ. სტრამპე (გერმანია)

**ფიორენტინა 3:3 ბარსელონა**

1:0 ბრესანი (14), 1:1 ფიგუ 20), 1:2 რივალდო (43), 2:2, 3:2 ბალბო (56, 69), 3:3 რივალდო (74)

ფიორენტინა: ტოლდო, პიერინი, ფირიკანო, ჰაინრიხი, დი ლივიო, ადანი, რუი კოშტა, ბრესანი, როსიტო (ამორი 90), ბალბო, კიეზა (ოკონი 33)

ბარსელონა: არნაუ, დეუ, ბოგარდი, გვარდიოლა (ხავი 46), რ. დე ბური (პუიოლი 46), ლუის ენრიკე, კოკუ, რივალდო, ფიგუ, ზენდენი, კლუივერტი

მსაჯი: ჰ. დალასი (შოტლანდია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 6 | 4 | 2 | 0 | 19:9 | 14 |
| ფიორენტინა | 6 | 2 | 3 | 1 | 9:7 | 9 |
| არსენალი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 8 |
| აიკ | 6 | 0 | 1 | 5 | 4:16 | 1 |

### C ჯგუფი

**ბოავიშტა 1:0 დორტმუნდი**

1:0 პედრო ემანუელი (16)

ბოავიშტა: რიკარდუ, ჟორჟე სილვა, პაულო სოუზა, კარვალიო, პედრო ემანუელი, ლუიშ მანუელი (კარლოს ალბერტო 89), ბრაგა, მაგალაეში, რუდოლფი (რიკარდო სილვა 68), ნილტონი, ველიტონი

დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი (ბარბარესი 76), ადო, როიტერი, კოლერი, სტევიჩი, ნერლინგერი (ყერლიხი 46), დედე, ჟ. რეინა (ფერეირა 61), რიკენი, ბობიჩი

მსაჯი: ლ. მიჩელი (სლოვაკეთი)

**ფეიენოორდი 1:0 რუსენბორგი**

1:0 სომალია (85)

ფეიენოორდი: დუდეკი, ვან გობელი, კორნეევი (სომალია 74), კონტერმანი, დე ვისერი, ვან ვონდერენი (პააუვე 71), ტომასონი, დე ჰაანი, რზასხ, კალუ, სამარჯიჩი (ვან ფოსენი 86)

რუსენბორგი: იამტფალი, რ. სტრანდი, ბრაგსტადი, ჰოფტუნი, ბერგდოლმო, ვინსნესი, სკამელსრუდი, ო. ბერგი სორენსენი, კარეუ, მინი იაკობსენი (დალუმი 61)

მსაჯი: მ. დიას ვეგა (ესპანეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 6 | 3 | 2 | 1 | 12:5 | 11 |
| ფეიენოორდი | 6 | 1 | 5 | 0 | 7:6 | 8 |
| დორტმუნდი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | 6 |
| ბოავიშტა | 6 | 1 | 2 | 3 | 4:10 | 5 |

### D ჯგუფი

**მანჩესტერი 2:1 შტურმი**

1:0 სოლსკიაერი (57), 2:0 კინი (69), 2:1 ვასტიჩი (88პ)

მანჩესტერი: ბოსნიჩი, ირვინი (ჰიგინბოთემი 77), ბერგი, გიგზი, გ. ნევილი, მეი, უილსონი (ფ. ნევილი 53), გრინინგი (კრუიფი 66), კინი, სოლსკიაერი, კოული

შტურმი: შიკლგრუბერი, ნოიკირხნერი, მაელიხი, შუპი, ვასტიჩი, პრილასნიგი, ანგიბეოდი (რაინმაიერი 72), ჟ. მარტენსი (ბარდელი 72), შტრაფნერი, მინავად ჩალი, კოციანი (ბოხტლერი 75)

მსაჯი: პ. რუნე (ნორვეგია)

**მარსელი 2:2 კროაცია**

0:1 მუიჩინი (42), 1:1 ბაკაიოკო (54), 1:2 მიკიჩი (84), 2:2 დიავარა (89)

მარსელი: პორატო, პერესი, ბერიზო, ბრანდო, ბელმადი, მონტენეგრო (დალმა 59), დიავარა, დიუგარი (პირესი 66), ბაკაიოკო (რავანელი 78), ლუქენი, რეინა

კროაცია: ბუტინა, ტოკიჩი, პროსინეჩკი (იელეჩიჩი 70), მუიჩინი (მუმლეკი 68), რუკავინა, სიმიჩი, სარიჩი, ცვიტანოვიჩი, ტომაში, იურჩიჩი, შოკოტა (მიკიჩი 61)

მსაჯი: პ. კოლინა (იტალია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:4 | 13 |
| მარსელი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:8 | 10 |
| შტურმი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:12 | 6 |
| კროაცია | 6 | 1 | 2 | 3 | 7:7 | 5 |



ფიორენტინა — ბარსელონა. ფლორენციელი ანჯელო დი ლივიო და ბარსელონელი რივალდო (№11)



მანჩესტერი — შტურმი. მანჩესტერელი ენდი კოული და ავსტრიელთა მეკარე იოზეფ შიკლგრუბერი

## ქუთაისს ბუდაპეშტიც დააყოლეს

UEFA CUP

უეფას თასი. მეორე ეტაპი. II წრე

*ვოლფსბურგი (გერმანია)* 1:0 *როდა (ჰოლანდია)* (0:0)
1:0 აკონორი (87)

*აეკ (საბერძნეთი)* 1:0 *მტკ (უნგრეთი)* (1:2)
1:0 ჩირიჩი (74პ)

*ბოლონია (იტალია)* 3:0 *ანდერლეხტი (ბელგია)* (1:2)
1:0 ერიბერტო (45), 2:0 ზ ელიასი (51), 3:0 ნერვო (90)

*მონაკო (საფრანგეთი)* 2:0 *ვიძევი (პოლონეთი)* (1:1)
1:0 ლამუში (50), 2:0 ტრეზეგე (84)

ბერძნულმა აეკ-მა რანგით მეორე ევროშეჯიბრების მეორე ეტაპიც დაძლია. ათენელებმა, რომელთაც პირველ ეტაპზე ქუთაისის „ტორპედო“ დაამარცხეს, ამჯერად ბუდაპეშტის მტკ-ს აჯობეს სტუმრად გატანილი გოლის წყალობით.

შეგახსენებთ, რომ თავის დროზე მტკ-ც გადაყრია ქართულ გუნდს: 1976 წელს მან თასების თასზე თბილისის „დინამო“ დაამარცხა.



მონაკო — ვიძევი 2:0. მონაკოელი ლუდოვიკ ჟიული (მარცხნივ) და ლოძელი ტომაშ კიელბოვიჩი

# პრემიერლიგას ბრილიანტი დაუბრუნდა

## გიორგი ქინქლაძე დერბი ქაუნთის 2000 წლის ივნისამდე დაეხმარება. თუმც ჯერ ინგლისში მუშაობის უფლება არა აქვს

მორჩა! ქართული ფეხბურთის დროებით ჩამქრალი ვარსკვლავი გიორგი ქინქლაძე ამსტერდამელ ებრაელთა ხელში აღარ არის. ორწლიანი შესვენების შემდეგ ქინქი პრემიერლიგას დაუბრუნდა. ხუთშაბათს სამხრეთ იორკშირში დაწყებული მოლაპარაკებები „დერბი ქაუნთის" პრეზიდენტ ლიონელ პიკერინგსა და მენეჯერ ჯიმ სმიტთან გუშინ წარმატებით დასრულდა. ამსტერდამის „აიაქსის" პრეზიდენტმა მიხაელ ვან პრააგმა თავისი სიტყვები უკან წაიღო და ქართველის იჯარით გაშვებას დაყაბულდა. გიორგი ქინქლაძე 2000 წლის ივნისამდე, ანუ პრემიერლიგაში სეზონის ბოლომდე „დერბი ქაუნთის" მაისურით ითამაშებს.

ქინქლაძის „დერბიში" გადასვლამ დაადასტურა გუშინდელ „სარბიელში" გამოთქმული მოსაზრება, რომ „შეფილდ იუნაიტედთან" თვენახევრიანი მოლაპარაკება ბლეფი იყო. ამით ქინქლაძის აგენტები „აიაქსს" აიძულებდნენ, ქართველის ფასი დაეგდო, რათა იგი სერიოზულ ინგლისურ კლუბს წაეყვანა.

ახლა უკვე შეიძლება ჩაითვალოს, რომ „აიაქსის" ებრაული შეფობა ამ ხაფანგში არ გაება. შეგახსენებთ, რომ ბოლო მომენტში, როცა „შეფილდ იუნაიტედმა" „დერბი ქაუნთის" სარეკორდო თანხად — 3 მილიონ გირვანქად მიჰყიდა ლი მორისი, „აიაქსმა" ქინქლაძე 500 000 გირვანქით გააძვირა და 3 მილიონი მოითხოვა. არსებობს მოსაზრება — ლი მორისში 3 მილიონის გადახდით „დერბიმ" „აიაქსს" აგრძნობინა, რომ რეალური კლიენტია. „აიაქსიც", რომელიც კატეგორიული წინააღმდეგი იყო ქინქლაძის იჯარით გაშვებისა, დარწმუნდა და ტრანსფერის განხორციელებას ხელი შეუწყო, რაც პოტენციურად მის ინტერესებშიც შედიოდა. ქინქლაძე სეზონის ბოლომდე მიანათხოვრეს „დერბის", შემდგომში შეძენის უფლებით.

„გუშინ ქინქლაძემ დაათვალიერა ახალი „პრაიდ პარკი", სადაც „დერბი" თამაშობს და ძლიერ მოეწონა. იგი გახარებულია, რომ ინგლისს და პრემიერლიგას დაუბრუნდა" — თქვა „დერბის" მენეჯერმა ჯიმ სმიტმა.

გიორგი ჯერჯერობით ვერ დაეხმარება „დერბის", რომელსაც ოთხი ურთულესი მატჩი ელის (6-ში „ლივერპულთან", 20-ში „მანჩესტერთან", 28-ში „არსენალთან", 4-ში „ლიდსთან"). ქინქის ხომ კარგა ხანია, საქართველოს ნაკრებში არ უთამაშია და ამის გამო ინგლისის მთავრობა სამუშაო ვიზის გაცემას უჭიანურებს. „ამ შემთხვევაში ჩვენი ისევე უნდა ვიმოქმედოთ, როგორც „მიდლსბრო" მოიქცა ბრაზილიელი ჟუნინიოს გადმოყვანისას, რომელსაც ანალოგიური პრობლემები ჰქონდა. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ მთავრობა, რომ ქინქლაძე კარგი ფეხბურთელია" — განაცხადა სმიტმა.

გიორგის გუშინ ძალიან კარგი პრესა ჰქონდა. სმიტი დარწმუნებულია, რომ ქინქლაძე „დერბის" ფანების გულს მოიგებს. „ბევრი ზღაპარი მსმენია, რომ იგი „აიაქსში" ძალიან დამძიმდა, მაგრამ როგორც ძმაკაცმა მითხრა, „აიაქსში" ერთობ მონდომებით ვარჯიშობდა.

ვნახეთ, ავწონეთ კიდეც და იმაზე ცოტას იწონის, „სიტიდან" „აიაქსში" გადასვლისას რომ იყო. ქინქლაძე კარგ ფორმაშია და ამაში მალე დარწმუნდებით. მას „აიაქსში" პრობლემები იმიტომ ჰქონდა, რომ მარცხენა ფრთაზე ათამაშებდნენ, იგი კი, ვფიქრობ, ცენტრის მოთამაშეა. ასეთი ფეხბურთელის გადმოყვანის აუცილებლობაში 25 ოქტომბერს „ნიუკასლთან" 0:2 დამარცხებამ დამარწმუნა" — ეს სიტყვები ისევ სმიტს ეკუთვნის.

ქინქლაძეს თანაგუნდელებიც კარგად შეხვდნენ. „ქინქი სწორედ ის არის, რაც ექიმმა გამოგვიწერა" — ამბობს „დერბის" ავსტრალიელი მცველი ტონი დორიგო. „დერბის" ლიდერებიც კეთილგანწყობილნი არიან ახალი ფეხბურთელის მიმართ. მათ ქინქლაძე ახსოვთ, როგორც „მეინ როუდის" გმირი.

„მართალია, მას დიდი ხანია, არ უთამაშია მაღალი დონის ფეხბურთი, მაგრამ იმის დავიწყება, რასაც იგი მოედანზე სჩადიოდა, შეუძლებელია" — თქვა „დერბის" დანიელმა ფორვარდმა მიქაელ ბეკმა. მისი აზრით, ქინქლაძე ისეთი ფეხბურთელია, რომელიც ნებისმიერ დიდ გუნდს გამოადგება.

„1997 წლის ბოლოს, „მიდლსბროში" ყოფნისას, „მანჩესტერ სიტის" შევხვდით, სადაც მაშინ ქინქლაძე თამაშობდა. ეს იყო ჩემს კარიერაში ერთადერთი შემთხვევა, როცა მთელ გუნდს ერთმა კაცმა მოგვიგო. ეს „სიტის" ბრილიანტი ქინქლაძე გახლდათ" — გულდიად თქვა ბეკმა.



ერთ დროს სიტელი გიორგი ქინქლაძე პრემიერლიგას ისევ დაუბრუნდა

ტონი დორიგოს აზრით კი, „დერბის" ახლა პასების და გოლების პრობლემა აქვს. „მასთან არასოდეს მითამაშია, მაგრამ ვიცი, რომ ფანტასტიკური ფეხბურთელია. თანაც ისეთ დროს მოვიდა, როცა ასეთ კარგ განწყობაზე ვართ — „ჩელსისთან" მოგებას ვგულისხმობ."

ჯიმ სმიტი თვლის, რომ ქინქლაძე კარგად მოერგება „დერბის" ტაქტიკას. იორკშირელები წლევანდელ სეზონში 5-3-2 ტაქტიკური სქემით თამაშობენ. „ჩელსისთან" კი შეტევებში განაპირა მცველებს რთავდნენ, რადგან ცენტრში ბურთის დაჭერა ჭირდა. „ქინქლაძეს წინ წაწეულ ნახევარმცველად გავამწესებთ, იგი ბურთს დაიჭერს და პრემიერლიგის გუნდების კარისკენ გზას გაგვიკვალავს. მთავარია, ბურთი ხშირად მიიღოს. ქართველს პაუელი და ჯონსონი დაეხმარებიან" — განაცხადა სმიტმა.

მიქაელ ბეკი კი არ გამორიცხავს, რომ თავიდან ქინქლაძეს შეიძლება გაუჭირდეს. „მას დიდი ხანია, არ უთამაშია და თავიდან შესაძლოა პრობლემებიც ჰქონდეს. იგი იმ დიდ ფეხბურთელებს ჰგავს, რომლებიც ზოგ თამაშს დიდებულად ატარებენ, ზოგჯერ კი ჩავარდნები აქვთ."

ქინქლაძის ახალი კლუბი ინგლისის საფეხბურთო ლიგის ერთ-ერთი დამაარსებელია. თავად „დერბის" ისტორია კი 1884 წლიდან იწყება. მაშინ მას „დერბიშირის კრიკეტ კლაბი" ერქვა. პირველი თამაში „დერბიმ" 1888 წელს გამართა და „ბოლტონს" 6:3 მოუგო.

მას შემდეგ „დერბის" ინგლისის ყველა დივიზიონი მოუვლია, პრემიერლიგიდან დაწყებული მესამე დივიზიონით დამთავრებული. პირველი სერიოზული გამარჯვება კლუბმა 1946 წელს მოიპოვა, როცა ინგლისის თასი მოიგო — ფინალში „ჩარლტონს" 4:1 სძლია.

70-იანი წლების დასაწყისში კი, რაც კლუბს ლეგენდარული მწვრთნელი ბრაიან კლაფი ჩაუდგა სათავეში, უფრო დიდი წარმატებები მოვიდა. სხვათა შორის, კლაფმა მოგვიანებით „ნოტინგემს" ორჯერ მოაპოვებინა ჩემპიონთა თასი.

1972 წელს „დერბი" პირველად გახდა ინგლისის ჩემპიონი, 1975 წელს კი გაიმეორა ეს მიღწევა. მაშინ გუნდს დეივ მაკეი წვრთნიდა.

მაშინდელმა „დერბიმ" სერიოზული კვალი დატოვა ევროთასებზე. 1973 წელს კლუბმა ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გააღწია, სადაც სკანდალურად წააგო ტურინის „იუვენტუსთან". 1977 წელს უეფას თასზე კი კლუბის რეკორდი დაამყარა — ირლანდიურ „ფინ ჰარპს" 12:0 მოუგო. ყველაზე დიდი ანგარიშით კი „დერბი" 1890 წელს „ევერტონთან" 2:11 დამარცხდა.

80-იანი წლების დასაწყისიდან კი „დერბი" ღრმა კრიზისმა მოიცვა, რაც 15 წელიწადს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში „დერბიმ" ინგლისის პირველი, მეორე და მესამე დივიზიონები მოიარა და კრიზისი ლიონელ პიკერინგის პრეზიდენტობისას დაძლია. ამ კაცმა 1991 წელს კლუბში 12 მილიონი გირვანქა დააბანდა და 1995 წელს „დერბი" პრემიერლიგაში დააბრუნა.

მას შემდეგ კლუბის მენეჯერი ჯიმ სმიტია, რომელიც გარდა იმისა, რომ კარგი სპეციალისტია, ალღოიანი ბიზნესმენიცაა. მან კლუბის გენერალურ სპონსორად „პუმა" მიიზიდა, ხოლო შარშანწინ „დერბი" ახალ, 30400-იან სტადიონზეც — „პრაიდ პარკზე" გადაიყვანა. მანამდე 102 წელიწადს გუნდი „ბეისბოლ გრაუნდზე" თამაშობდა.

„დერბის" სარეკორდო შენაძენად წლეულს ოქტომბერში „შეფილდ იუნაიტეტიდან" 3 მილიონ გირვანქად გადაყვანილი ლი მორისი ითვლება. მანამდე რეკორდი 2,7-მილიონიან არგენტინელ კარბონარის ეკუთვნოდა. ყველაზე იღბლიანად კი კლუბმა ფეხბურთელი 1998 წელს, აგვისტოში გაყიდა — მაშინ „დერბიმ" „ბლექბერნს" კრისტიან დეილი 5,3 მილიონ გირვანქად დაუთმო.

შეგახსენებთ, რომ „დერბი ქაუნთი" ქინქლაძის კარიერაში მეექვსე კლუბია. მანამდე 26 წლის ფეხბურთელს უთამაშია თბილისის „მრეტებსა" და „დინამოში", შემდეგ — გერმანიის „ზაარბრიუკენში" (იჯარით), ინგლისის „მანჩესტერ სიტიში" და ჰოლანდიურ „აიაქსში".

**სიმონ მენაბდე**

---

## დერბი ქაუნთი

### შედეგები

| | | |
|---|---|---|
| 07.08 | ლიდსი — დერბი | 0:0 |
| 10.08 | დერბი — არსენალი | 1:2 |
| 14.08 | დერბი — მიდლსბრო | 1:3 |
| 21.08 | ქოვენთრი — დერბი | 2:0 |
| 25.08 | შეფილდი — დერბი | 1:0 |
| 28.08 | დერბი — ევერტონი | 1:0 |
| 11.09 | უიმბლდონი — დერბი | 2:2 |
| 18.09 | დერბი — სანდერლენდი | 0:5 |
| 25.09 | დერბი — ბრედფორდი | 0:1 |
| 4.10 | საუთჰემპტონი — დერბი | 3:3 |
| 16.10 | დერბი — ტოტენჰემი | 0:1 |
| 25.10 | ნიუკასლი — დერბი | 2:0 |
| 30.10 | დერბი — ჩელსი | 3:1 |

### პრემიერლიგის ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიდსი | 13 | 9 | 2 | 2 | 26:16 | 29 |
| მანჩესტერი | 13 | 8 | 3 | 2 | 31:19 | 27 |
| სანდერლენდი | 13 | 8 | 3 | 2 | 23:11 | 27 |
| არსენალი | 13 | 8 | 2 | 3 | 20:12 | 26 |
| ლესტერი | 13 | 7 | 2 | 4 | 23:17 | 23 |
| ლივერპული | 13 | 6 | 3 | 4 | 16:12 | 21 |
| მიდლსბრო | 13 | 7 | 0 | 6 | 18:17 | 21 |
| ტოტენჰემი | 12 | 6 | 2 | 4 | 21:17 | 20 |
| ჩელსი | 11 | 6 | 1 | 4 | 18:10 | 19 |
| ევერტონი | 13 | 5 | 3 | 5 | 22:20 | 18 |
| ასტონ ვილა | 13 | 5 | 3 | 5 | 13:15 | 18 |
| ვესტ ჰემი | 12 | 5 | 2 | 5 | 12:11 | 17 |
| ქოვენთრი | 13 | 4 | 4 | 5 | 20:15 | 16 |
| საუთჰემპტონი | 12 | 3 | 4 | 5 | 19:23 | 13 |
| უიმბლდონი | 13 | 2 | 7 | 4 | 19:27 | 13 |
| დერბი ქაუნთი | 13 | 3 | 3 | 7 | 13:22 | 12 |
| ნიუკასლი | 13 | 3 | 2 | 8 | 23:27 | 11 |
| ბრედფორდი | 12 | 3 | 2 | 7 | 10:20 | 11 |
| უოტფორდი | 13 | 3 | 0 | 10 | 8:22 | 9 |
| უენსდი | 13 | 1 | 2 | 10 | 8:30 | 5 |

### კალენდარი

| | |
|---|---|
| 6.11 | ლივერპული — დერბი |
| 20.11 | დერბი — მანჩესტერი |
| 28.11 | არსენალი — დერბი |
| 4.12 | დერბი — ლიდსი |
| 18.12 | ლესტერი — დერბი |
| 26.12 | დერბი — ასტონ ვილა |
| 28.12 | ვესტ ჰემი — დერბი |

## დერბი ქაუნთი 99-00

### შემადგენლობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რასელ ჰოულტი | მ | ლესტერი | 300 000 | |
| მარტ პოომი | მ | ფლორა | 500 000 | ესტონეთი |
| რიჩარდ ნაითი | მ | | თავ. აგენტი | |
| ენდი ოაკირი | მკ | ჰული | 450 000 | |
| ჰორაციო კარბონარი | მ | როსარიო | 2 700 000 | არგენტინა |
| სტეფან შნური | მ | | თავ. აგენტი | გერმანია |
| ტონი დორიგო | მ | ტორინო | თავ. აგენტი | ავსტრალია |
| იაკობ ლაურსენი | მ | სილკებორგი | 500 000 | დანია |
| სპენსერ პრაიერი | მ | ლესტერი | 750 000 | |
| რიჩარდ ჯექსონი | მ | სქალბორგი | 30 000 | |
| სტივ ელიოტი | მ | დერბის სკოლა | | |
| სტეფანო ერანიო | მ | მილანი | თავ. აგენტი | იტალია |
| ვასილის ბორბოკისი | მ | შეფილდ იუნაიტედი | 500 000 | საბერძნეთი |
| დარელ პაუელი | ნ | პორტსმუთი | 750 000 | იამაიკა |
| რორი დელაპი | ნ | კარლაისლი | 1 500 000 | ირლანდია |
| კევინ ბარპერი | ნ | ლივერპული | 300 000 | შოტლანდია |
| ლარს ბოჰინენი | ნ | ბლექბერნი | 1 450 000 | ნორვეგია |
| პოლ ბოერტიენი | ნ | კარლაისლი | 250 000 | |
| ადამ მიურეი | ნ | ბირმინგემი | იჯარა | |
| დეან სტრეიჯი | თ | ტორკვი | იჯარა | |
| მალკოლმა კრისტი | თ | ლუთონი | 80 000 | |
| მარკ ვილკინსონი | თ | ლუთონი | იჯარა | |
| დეან ბარტონი | თ | პორტსმუთი | 1 000 000 | იამაიკა |
| მიქაელ ბეკი | თ | მიდლსბრო | 500 000 | დანია |
| მარვინ რობინსონი | თ | არსენალი | იჯარა | |
| ფრანჩესკო ბაიანო | თ | ფიორენტინა | 650 000 | იტალია |

### გასხვისებულები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იგორ შტიმაცი | მ | ვესტ ჰემი | იჯარა | ხორვატია |
| პოლ ვანჩოპე | თ | ვესტ ჰემი | 3 500 000 | კოსტა რიკა |

### ახალწვეულები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გიორგი ქინქლაძე | ნ | აიაქსი | იჯარა | საქართველო |
| ესტებან ფუენტესი | თ | | 2 [illegible]00 000 | არგენტინა |
| ენდი საკერი | მკ | ჰული | 450 000 | |
| სენტ ჯონსონი | ნ | ქრიუ | 3 000 000 | |
| დენი პორტერი | თ | პორტსმუთი | იჯარა | |
| კრის რიგოტი | მ | დერბის სკოლა | | |
| ლი მორისი | ნ | შეფილდ იუნაიტედი | 3 000 000 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაიდარაშვილმა დაბადების დღე დუბლით აღნიშნა

გასული კვირა ქართველი ლეგიონერებისთვის მეტად უხვმოსავლიანი გამოდგა. უკრაინაში საკუთარ დაბადების დღეს თავი ისახელა ტერნოპოლის „ნივას“ გორელმა ფორვარდმა ალეკო კაიდარაშვილმა. იგი მეორე ტაიმში შევიდა მინდორზე, როცა „ნივა“ 0:2 აგებდა კიევის ცსკა-სთან. ალეკომ ჯერ პენალტით შეამცირა სხვაობა, შემდეგ კი ანგარიში გაათანაბრა. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ კაიდარაშვილი სარბიელელთა რჩეული გამხდარიყო.

ლატვიის ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დარჩა „სკონტოს“ ქართულ ლეგიონს. მათ კვირას უშუალო კონკურენტ „მეტალურგს“ 3:0 მოუგეს და ახლა ჩემპიონობის გასაფორმებლად ქულალა სჭირდებათ. ერთი ბურთი ჩალაძემ გაიტანა და 14 გოლით ბომბარდირთა სიაში მესამე ადგილზე ალზევდა.

დუბლი გააკეთა ნიჟნი ნოვგოროდის ძირითადში დაბრუნებულმა ვეტერანმა გოჩა გოგრიჭიანმა, რომლის „ლოკომოტივმა“ 3:2 სძლია „ჩერნომორეცს“. გოგრიჭიანმა ერთი საგოლე პასიც გაახერხა.

ყველაზე ბედნიერი დღე ალბათ მაინც მახაჩყალის „ანჟის“ ქართველ ლეგიონერ ალეკო გოგობერიშვილს დაუდგა, დაღესტნელები რუსეთის უმაღლეს დივიზიონში გადავიდნენ მას შემდეგ, რაც 3:1 მოიგეს „ლადასთან“. გოგობერიშვილი თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის აღზრდილი, 63-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე.

საბერძნეთის უმაღლეს დივიზიონში პირველი გოლი გაიტანა გოდერძი ნატროშვილმა, რომლის „პანაჰაიკმა“ 2:0 გაიმარჯვა. გოდერძის გოლი ინდივიდუალური გარჯის შედეგი იყო.

„კიკერმა“ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა ლევან კობიაშვილი, რომლის „ფრაიბურგმაც“ 0:1 წააგო „უნტერჰახინგთან“. ლევანი მართლაც კარგად გაისარჯა.

ამ ტურში კვლავ არ გაუმართლათ ტყუპებს: შოთა არველაძემ 81-ე წუთზე გამოცვალა მახლასი და „როდამ“ გამარჯვების გოლი გაიტანა. არჩილმა კი „გრონინგენის“ კარი ვერ დალაშქრა და „ბრედამ“ უმაღლეს დივიზიონში გადასასვლელი მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა. კახი კალაძე კიევის „დინამოს“ თავკაცობამ „ლაციოსთვის“ დაასვენა.

**სიმონ მენაბდე**



ალექსანდრე კაიდარაშვილი

# კაიდარას კაი დარი

ალეკო კაიდარაშვილი ქართველ ლეგიონერეთა იმ მცირე ნაწილს მიეკუთვნება, ვისზეც უცხოურმა ჩემპიონატმა სწრაფად და დადებითად იმოქმედა. ტერნოპოლის „ნივას“ ქართველმა თავდამსხმელმა კიდევ ერთი ჩვენებურის, ვიტალი დარასელიას ცსკა-ს ქულა აართვა (ორი გატანილი გოლიდან, ორივე მის ანგარიშზეა). გუშინ ალეკოს დაბადების დღე ჰქონდა, ჩვენც შევეხმიანეთ და იუბილესთან ერთად კვირის საუკეთესო ლეგიონერობა მივულოცეთ...

— მოგებაც შეიძლებოდა, მარამ მატჩის დებიუტში თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა ჩვენმა თანაგუნდელმა კრივოიმ, მერე ორი გოლი გავუშვით და ჩემი ჯერიც დადგა.

**— მწვრთნელმა მინდორზე მეორე ტაიმშიღა შეგიშვა...**

— ჩვენს შორის არსებულ დამოკიდებულებას ჩინებულს ნამდვილად ვერ ვუწოდებ, მაგრამ არც კატასტროფული ეთქმის. მენდობა და ვუმართლებ, არადა, იცის, რომ აქ დიდხანს არავინ გამაჩერებს.

**— სულ რამდენი ქართველმა ითამაშეთ?**

— გვიანიძე და კაპანაძეები თავიდანვე ძირითადში იყვნენ გამწესებულები, მეორე ტაიმში მე დავემატე, ხოლო დგებუაძე სამატჩო განაცხადში იყო, მაგრამ მინდორზე არ გამოსულა. რაც შეეხება სიხარულიძეს, მას ფეხის ტრავმა აწუხებს და ბოლო მატჩები გამოტოვა.

**— ტერნოპოლში დიდხანს არავინ გამაჩერებსო, თქვი. სხვა გუნდებისგან კონკრეტული წინადადებები ხომ არ მიგიღია?**

— უკრაინის ჩემპიონატის მესამეადგილოსანი ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ მთავარი მწვრთნელი ესწრებოდა ცსკასთან თამაშს. როგორც მითხრეს, ჩემით დაინტერესებულა.

გარდა ამისა, მეორე ვარიანტიც არის. როგორც „ნივას“ პრეზიდენტმა მითხრა, პირველი წრის დამთავრების შემდეგ კიევის „დინამოს“ გავყვები შეკრებაზე. ვნახოთ, ამ საქმიდან რა გამოვა. „მეტალურგი“ მოიცდის, საჩქაროც არაფერია, ხოლო „დინამოსთან“ გავლილი შეკრება დიდი სკოლა იქნება ჩემთვის. სხვა თუ არაფერი, გამოცდილებას მივიღებ.

**— „ნივა“ თანახმა იქნება გაყიდვაზე, თუ პრობლემებს შეგიქმნიან?**

— კლუბის ფინანსური მდგომარეობა ვერ არის მთლად სახარბიელო. პრობლემები არ შემექმნება, პირიქით, სიხარულით მოაწერენ ხელს ჩემს სარფიანად გაყიდვას. „ნივა“ უკვე ვნახე, რაც არის, ახლა ოსტატობის დახვეწასა და გაზრდაზე ვფიქრობ.

**მამუკა ქვანტალიანი**

| სახელი გვარი | კლუბი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ნიუკასლი | ს | არსენალი 0:0 | 0 | ტრავმა |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| კახი ცხადაძე | მანჩესტერ სიტი | ს | პორტ ვეილი 2:1 | [illegible] | ტრავმა |
| **გერმანია** | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | უნტერჰახინგი 0:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | უნტერჰახინგი 0:1 | 90 | საუკეთესოდ აღიარეს |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | უნტერჰახინგი 0:1 | 0 | ტრავმა |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | |
| რევაზ არველაძე | ობერჰაუზენი | ს | ფორტუნა 0:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ ხვდება |
| **ჰოლანდია** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | შ | როდა 1:2 | 9 | შეცვლაზე ითამაშა |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| არჩილ არველაძე | ბრედა | შ | გრონინგენი 1:1 | 90 | |
| **ბელგია** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | მუსკრონი 1:0 | 61 | შეცვალეს |
| ლაშა ჯაკობია | სტანდარდი | ს | ბრიუგე 2:5 | 0 | ტრავმა |
| **შვეიცარია** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | ლუცერნი 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | ლუცერნი 1:0 | 90 | |
| **რუსეთი** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | ს | ზენიტი 2:2 | 89 | შეცვალეს |
| გიორგი ჩხაიძე | ალანია | ს | ზენიტი 2:2 | 82 | შეცვალეს, გაფრთხილება |
| მამუკა წერეთელი | ალანია | ს | ზენიტი 2:2 | 0 | ტრავმა |
| დავით ქიქველიშვილი | ალანია | ს | ზენიტი 2:2 | 90 | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | როტორი 0:1 | 0 | ტრავმა |
| გოჩა გოგრიჭიანი | ნ.ნოვგოროდი | შ | ჩერნომორეცი 3:2 | 90 | 2 გოლი, ერთი პასი |
| დავით გვარამაძე | კრილია სოვეტოვი | | | | გუნდმა ტური გამოტოვა |
| ზურაბ ფოფხაძე | კრილია სოვეტოვი | | | | გუნდმა ტური გამოტოვა |
| ზურაბ წიკლაური | კრილია სოვეტოვი | | | | გუნდმა ტური გამოტოვა |
| ბადრი სპანდერაშვილი | ჩერნომორეცი | ს | ნ.ნოვგოროდი 2:3 | 90 | |
| პირველი დივიზიონი | | | | | |
| მიხეილ ჯიშკარიანი | სოკოლი | ს | ვოლგარი 3:2 | 90 | |
| ზვიად ჯელაძე | სოკოლი | ს | ვოლგარი 3:2 | 0 | |
| გიზო ჯელაძე | სოკოლი | ს | ვოლგარი 3:2 | 30 | შეცვლეს, გაფრთხილება |
| ალექსანდრე გოგობერიშვილი | ანჟი | შ | ლადა 3:1 | 27 | შეცვლაზე ითამაშა |
| ვასილ სეფაშვილი | ნალჩიკი | შ | ვიქტორია 3:0 | 90 | |
| გერონტი ფრუიძე | ვოლგარი | შ | სოკოლი 2:3 | 90 | |
| მამუკა ხუნდაძე | ლოკომოტივი (ს-პ) | ს | ჩიტა 1:2 | 54 | შეცვლეს, გაფრთხილება |
| **უკრაინა** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| კახა კალაძე | დინამო | შ | დნეპრი 4:0 | 0 | დაასვენეს |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | შ | ცსკა 2:2 | 90 | |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | შ | ცსკა 2:2 | 90 | |
| ავთანდილ სიხარულიძე | ნივა | შ | ცსკა 2:2 | 0 | ტრავმა |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | ნივა | შ | ცსკა 2:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, 2 გოლი |
| კახა დგებუაძე | ნივა | შ | ცსკა 2:2 | 0 | ძირითადში ვერ მოხვდა |
| ვიტალი დარასელია | ცსკა | ს | ნივა 2:2 | 0 | ტრავმა |
| მიხეილ ფოცხვერია | შახტარი | შ | ჩორნომორეცი 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ ხვდება |
| **თურქეთი** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გიორგი კიკნაძე | სამსუნსფორი | შ | ქოჯაელი 5:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა |
| **საბერძნეთი** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გოდერძი ნატროშვილი | პანაჰაიკი | შ | პროდეფტიკი 2:0 | 89 | 1 გოლი, შეცვალეს |
| **ისრაელი** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გიორგი დარასელია | ჰაპოელი (ქვარ სავა) | ს | მ.ჰერცლია 2:0 | 90 | 2 საგოლე პასი |
| გიორგი გახოკიძე | მაკაბი (ჰაიფა) | ს | მ.ნეთანია 3:1 | 80 | შეცვალეს |
| **პოლონეთი** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | ს | ლეგია 1:3 | 0 | ტრავმა |
| **ლატვია** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | მეტალურგსი 3:0 | 89 | 1 გოლი, შეცვალეს |
| ლევან სილაგაძე | სკონტო | შ | მეტალურგსი 3:0 | 90 | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | შ | მეტალურგსი 3:0 | 90 | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | მეტალურგსი 3:0 | 1 | შეცვლაზე ითამაშა |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | მეტალურგსი 3:0 | 23 | შეცვლაზე ითამაშა |
| ცეზარ ხუროძე | სკონტო | შ | მეტალურგსი 3:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ ხვდება |
| **ლიტვა** | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| ირაკლი ზოიძე | ჟალგირისი | ს | ნევეჟისი 1:0 | 0 | ახალწვეულია |

# გა(და)იხადეთ და ისიამოვნეთ

ფეხბურთი სიამოვნებაა, უდიდესი სიამოვნება, მაგრამ დრო დაგვიდგა ისეთი, ვისაც სიამოვნება სურს (ან სურს ისიამოვნოს), ჯიბე უნდა მოიჩხრიკოს (ანუ ფული გადაიხადოს).

მაგრამ ფეხბურთში ფულის გადახდის პროცესს ნურავინ შევადარებთ, ვთქვათ, საქართველოში გერმანიის საელჩოს, საიდანაც ემიგრანტები მხოლოდ ცალი მიმართულებით (საქართველოდან გერმანიისკენ) მიედინებიან. ფეხბურთი ისეთი რამაა, მასში გამიზნულად ჩადებული 1 ლარი, ათმაგად და ასმაგად ბრუნდება უკან.

ამიტომ იმ ხალხს, ვისაც ფული აქვს და მისი ფეხბურთში დაბანდების ეშინია, „იუვენტუსის" მაგალითით გავუმაგრებთ გულს (ჰო-ჰო, რა საგულე საშუალებაა?!): წინა სეზონი „ბებერმა ქალბატონმა" 50-მილიონიანი მოგებით დაამთავრა და არც მეტი, არც ნაკლები 10 პროცენტი ანიელების ოჯახს „ჩაახუტა". გულზე ხელი დავიდოთ, არ ჰქვია ამას — მელამ ზღვაში ჩააფსა, მიემატებაო?!

მანამ არაფერი გვეტკინა, სანამ გერმანიის საელჩომ „პროტივ დვიჟენიაც" არ გახსნას და გერმანიიდან საქართველოში არ გამოიქცეს ხალხი, მაგრამ ქართულმა ფეხბურთმა მოგება ნამდვილად უნდა მისცეს სპონსორებს და ერთსაც შევძახებთ „ჰკა მაგასავით" — თუ ჯიბეში ფული გიჭყავით, ფეხბურთს მოახმარეთ, მოვა დრო და თავს სუფსის ტერმინალის მფლობელივით იგრძნობთ.

ამ წერილის მიზნობრივი დანიშნულება იმ ათი ათასი ლარის გარშემო საუბარია, რომელიც ბოლნისის „სიონის" სპონსორ ფირმა „კვარციტიდან" სფფ-ს ანგარიშზე გადაირიცხა და დღემდე არ მიუღიათ ფედერაციის მესვეურებს და არც შვეიცარიულ ბანკ — „იუ-პი-ესს", რომელიც ახორციელებს ფედერაციის საბანკო ოპერაციებს. ბანკი შვეიცარიის ქალაქ ნიონში მდებარეობს.

მკითხველს მოეხსენება, რომ „სარბიელში" ორიოდე დღის წინ იყო ამ გაურკვევლობასთან დაკავშირებით პუბლიკაცია, სადაც ბოლნისის გამგებელმა ზურაბ ჯაფარიძემ ეგრეთ წოდებული „პლატიოჟკა" გვაჩვენა და გაკვირვებაც გამოთქვა — რა ხანია, თანხა გადავრიცხეთ და რა გაუგებრობას აქვს ადგილი, ვერ გეტყვითო.

ბუნებრივია, დავინტერესდით, ხსენებული პუბლიკაციის შემდეგ რეაქცია სფფ-საც გაუჩნდა და იქ მისულები მთლიანად ჩაგვახედეს პრობლემის არსში. აქედანვე ვიტყვით, რომ „სარბიელს" სფფ-ს გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია, ფინანსური დირექტორი გერა ხეცურიანი და სფფ-ს პრესატაშე მამუკა კვარაცხელია ესაუბრებოდნენ.

— სფფ-მ პირველი ჯგუფის გუნდებს საწევრო თანხის გადახდის შეღავათიანი პირობები შესთავაზა. გუნდებს უფლება ჰქონდათ, აერჩიათ ოთხიდან ერთი ვარიანტი და საწევრო თანხა სურვილისამებრ მიემართათ. ვარიანტები კი შემდეგი იყო:

1. საწევრო თანხა შეიძლებოდა გადაერიცხათ ყადაღადადებულ ანგარიშებზე (ასეთი სამია და ყველა „ძველი სფფ-ს" მემკვიდრეობაა).

2. იმ ხანებში საქართველოს ნაკრებს უწევდა ლიუბლიანაში გამგზავრება სლოვენიელებთან სათამაშოდ და თუ გუნდები მოისურვებდნენ, საწევრო თანხას შეიტანდნენ „ეარ ჯორჯიას" ანგარიშზე ჩარტერული რეისის ფულის დასაფარავად.

3. გადახდა შეიძლებოდა ნაღდი ანგარიშსწორებით.

4. შესაძლებელი იყო ფულის გადარიცხვა შვეიცარიულ ბანკში (იუ-პი-ეს) „ახალი სფფ-ს" ანგარიშზე.

როგორც დროის მსვლელობამ აჩვენა, შვეიცარიული ბანკის სამსახურით მხოლოდ ორმა გუნდმა ისარგებლა, ეს იყო პირველჯგუფელი „სიონი" და რეგიონული ლიგის „შუქურა".

როგორც სფფ-ში გვითხრეს, შვეიცარიულ ბანკს მუშაობის თავისებური სპეციფიკა ჰქონია. იგი თავის საბანკო ოპერაციებს ყოველი კვარტლის ბოლოს აჯამებს და, რა თქმა უნდა, ქართული გუნდების აგვისტოში გადარიცხული თანხის შესახებ, სადღაც 10-დან 14 ოქტომბრამდე გაიგეს ჩვენს ფედერაციაში. მაგრამ პრობლემაც სწორედ 10-დან 14 ოქტომბრამდე გაჩნდა — ნიონური ბანკის ანგარიშზე ნამდვილად „იჯდა" „შუქურას" ფული, აი, „სიონისა" კი არსად ჩანდა.

სფფ-ს მესვეურები თავს იკავებენ ბრალდებისაგან, არ უთქვამთ, რომ „სიონის" მიერ წარმოდგენილი „პლატიოჟკა" ყალბია (საბუთზე ბანკის ბეჭედია და 10 ათასი ლარის გამო არც ერთი ბანკი ან ფირმა არ შეილახავს იმიჯს), მაგრამ ფული არ ჩანს და, ბუნებრივია, მის მოსაძიებლად გარკვეული ზომების გატარებაა საჭირო.

— „სიონი" მართალია სფფ-სთან, რადგან თანხა გადმორიცხულია, მაგრამ მართალია სფფ-ც „სიონთან", თანხა დანიშნულების ადგილამდე არ მისულა, იგი გადარიცხვაში დაიკარგა — არ ჩანს 5230 დოლარი.

ბუნებრივია, ამ გაუგებრობით მესამე მხარე — შვეიცარიული ბანკიც დაინტერესდა და იგი ეძებს თანხას, ბანკიდან სფფ-ში ასე შემოუთვლიათ — ძებნას ვაწარმოებთ და საქმის კურსშიც გვეყოლებითო.

ეს კარგი და მშვენიერი, მაგრამ სფფ-ც არ აპირებს გულხელდაკრეფილი ჯდომას — ჩვენ მოვთხოვთ „სიონს" ათი ათასი ლარის დეპოზიტს. იმ შემთხვევაში, თუ გადარიცხული თანხა გამოჩნდება დეპოზიტი ბოლნისელებს უკანვე დაუბრუნდებათ, თუ თანხა არ გამოჩნდა, სფფ დეპოზიტს თავისთვის დაიტოვებს. იმ შემთხვევაში, თუ ბოლნისელებმა დეპოზიტი არ წარადგინეს, გუნდი საჩქაროდ, მომავალ ტურამდე მოიხსნება გათამაშებიდან.

ახლა იმაზეც, თუ რა იწვევს ამდენ გაუგებრობას სფფ-ს საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებით.

— ყველა გაუგებრობა ძველი ფედერაციის მემკვიდრეობაა. ჯერჯერობით მხოლოდ სამი ყადაღადადებული ანგარიშია ჩვენთვის ცნობილი, მაგრამ თავს ვერ დავდებთ, ერთი ოცდაშვიდიოდე შეიძლება კიდევ იყოს სადმე და მათი ძებნა შორს წაგვიყვანს.

ახალ სფფ-ს საქართველოში ერთი ანგარიში გააჩნია — „საქართველოს ბანკში". ბანკი ოპერაციებს აწარმოებს როგორც ეროვნული, ასევე უცხოური ვალუტით. ვისაც სფფ-სთან ფინანსური ურთიერთობა სურს, სწორედ „საქართველოს ბანკს" უნდა მიმართოს.

— რაც შეეხება ყადაღადადებულ ანგარიშებს, მათ საგადასახადო ინსპექცია როდის ახსნის ყადაღას, ეს არავინ იცის. ვალი, რომელიც 1997 წლის 1 ოქტომბრიდან „იწყებს ათვლას" და „ახალ სფფ-ს" ფედერაციაში მოსვლის დღიდანვე აწევს კისერზე, ამჟამად 400 ათას ლარზე მეტს ითვლის. აქედან 62 ათასი ახალი ფედერაციის ვალია, რომელიც იმიტომ დაგროვდა, რომ ყადაღის გამო ვალის დაფარვის საშუალებას არ აძლევენ ფედერაციის მესვეურებს.

— და მაინც, ახალმა ფედერაციამ დაახლოებით 100 ათასი ლარი გადაიხადა — გვითხრა სფფ-ს ფინანსურმა დირექტორმა — ეს დღგ-სა და ბიუჯეტთან სხვა ურთიერთობების შედეგად მოხერხდა.

— ერთი რაც გვინდა განვაცხადოთ ამ გაჭიანურებული პრობლემის გამო. საგადასახადო სტრუქტურებს ვთავაზობთ სამ ვარიანტს და მათი არჩევანის მიხედვით გადავიხდით ვალს.

1. რესტრუქტურიზაცია — საგადასახადომ ნება უნდა მოგვცეს ნაწილნაწილ გადავიხადოთ ვალი.

2. სახელმწიფო ბიუჯეტს გააჩნია სპორტის დეპარტამენტის ვალი (დაახლოებით სამჯერ მეტი, რაც სფფ-ს სახელმწიფოსი). წინადადებას ვიძლევით ბიუჯეტმა გამოგვიბაროს ჩვენი ვალი ამ ფულში და სპორტის დეპარტამენტთან ადვილად მოვრიგდებით.

3. მოგვიხსნან ყადაღა და ჩვენს თავზე ავიღებთ სიდნეის ოლიმპიადისთვის სპორტსმენების მომზადებას.

ვფიქრობთ, ეს სამი ვარიანტი ყველაზე უკეთესი გამოსავალია. აირჩიონ და ჩვენ მზად ვართ — ამ კონტექსტში დაამთავრეს სფფ-ს მესვეურებმა „სარბიელთან" საუბარი. ახლა კი წერილის თავში ნახსენებ პრობლემაზეც.

ყველასთვის ცნობილია, მსაჯების მომსახურება, დელეგატების მიღება-გასტუმრება საშუალოდ ათას ლარამდე უჯდება მასპინძელ გუნდს. სეზონში პირველი ლიგის გუნდს თხუთმეტი თამაში უწევს. მარტივი არითმეტიკაა, 15-ჯერ ათასი 15 ათასი გამოდის და მაშასადამე ის ათი ათასი (საწევრო თანხა) ათი თამაშის ხარჯებსლა წვდება. თუმცა ათი ათასი ლარი ტყავის გახდის ტოლფასია ჩვენი გუნდებისთვის (ამ სიდუხჭირის პირობებშიც კი) და ფედერაციის ანგარიშზე ათი ათასი ლარის ჩარიცხვა საუკეთესო გამოსავალია... რა თქმა უნდა, იმათთვის, ვისაც ფეხბურთის თამაში სიამოვნებს.

მაშ ასე, გადაიხადეთ და ისიამოვნეთ.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



ვალერი ჩოლარია

## საქართველ[illegible] მეთექვსმეტე ტური

### აღმოსავლეთი ზონა

2 ნოემბერი

ლოკომოტივი 5:0 ლოკომოტივი 2
სიონი 1:2 ზოოვეტი
არსენალი 0:0 აკადემია
მერანი 1:0 ცხინვალი
ჭაბუკიანი 0:1 თბილისი
გორდა — ივერია

ივერიამ რუსთავში დაიგვიანა

3 ნოემბერი: დინამო — თორი, ვიტ ჯორჯია — ს.ა. იბერია

### დასავლეთი ზონა

2 ნოემბერი

ტორპედო 7:0 სამეგრელო
ბათუმი 2:0 ოკეანე
კოლხეთი 6:0 შუქურა
იბერია 1:0 მარგვეთი
დილა 4:1 მეგრი
თსუ 1:1 მეტალურგი
სამგურალი 3:0 იბერია 2
ხობი 3:1 გურია

## რეგიონალური ლიგა

### დასავლეთი

#### „ა" ზონა

VIII ტური

30 ოქტომბერი

**რწმენა 0:0 იბერია**

გაფრთხილება: ქიმაძე, მუშკუდიანი (ორივე რწმენა), ხურციძე (იბერია)
მსაჯი: ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა)

**სულორი 1:1 რაჭა**

0:1 მიქიაშვილი (71), 1:1 ბელთაძე (90პ)
გაფრთხილება: დვალიშვილი, ხელაძე (ორივე სულორი), მეტონიძე, ჯელაძე, ჭიჭინაძე (ყველა რაჭა)
მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

**გურია 1:0 ინტერი**

1:0 ქიქავა (71)
გაფრთხილება: პატარაია (გურია), ვადაჭკორია, სომხიშვილი (ორივე ინტერი)
გაძევება: სომხიშვილი (71, ინტერი)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

**მეტალურგი 1:0 მაღაროელი**

1:0 ქურციკიძე (40)
ქურციკიძემ ვერ გაიტანა პენალტი (10, მეტალურგი)
გაფრთხილება: კაკაბაძე (მეტალურგი), გაბრიჩიძე, კიპაროიძე (ორივე მაღაროელი)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

*მარგვეთი — მეშახტე*
*ოკეანე — გაგრა*
*გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 7 | 6 | 1 | 0 | 23:5 | 19 |
| მეტალურგი | 8 | 4 | 3 | 1 | 13:9 | 15 |
| ინტერი | 8 | 3 | 4 | 1 | 11:4 | 13 |
| იბერია 2 | 8 | 2 | 5 | 1 | 10:7 | 11 |
| სულორი | 8 | 2 | 5 | 1 | 9:12 | 11 |
| ოკეანე | 7 | 3 | 1 | 3 | 11:11 | 10 |
| გაგრა | 7 | 2 | 4 | 1 | 12:10 | 10 |
| რაჭა | 8 | 1 | 5 | 2 | 7:7 | 8 |
| მეშახტე | 7 | 1 | 3 | 3 | 11:19 | 6 |
| მაღაროელი | 8 | 1 | 3 | 4 | 13:16 | 6 |
| რწმენა | 8 | 1 | 3 | 4 | 2:10 | 6 |
| გურია | 8 | 1 | 1 | 6 | 3:15 | 4 |

#### „ბ" ზონა

VIII ტური

30 ოქტომბერი

**სქური 3:2 ჩელა**

1:0 კვირკვია (16), 2:0 მიქავა (34), 3:0 ჯაბუა (39), 3:1 ზ. აბსანძე (53), 3:2 ხუბ (55)
გაფრთხილება: პ. კვარაცხელია, როგავა (ორივე სქური), აბსანძე, ესებუა, ბელქანია, კორკელია (ყველა ჩელა)
მსაჯი: გ. ცირდავა (გულრიფში)

**მეგრი 1:1 კოლხეთი 2**

0:1 კვირკველია (19), 1:1 კ. კვეკვესკირი (33)
გაფრთხილება: კაკულია, ღურწკაია (ორივე მეგრი), ჩხენკელი, თედეევი (ორივე კოლხეთი 2)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**ზუგდიდი 3:0 ბახმარო**

1:0 ჯურხანძე (2), 2:0 სიჭინავა (27), 3:0 საჯაია (78)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

**მერცხალი 0:1 სამეგრელო**

0:1 ჭეჟია (11)
კოხიამ ვერ გაიტანა პენალტი (78, სამეგრელო)
გაფრთხილება: ჩანჩიბაძე (მერცხალი)
მსაჯი: ჟ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**შუქურა 3:1 ფაზისი**

**ბათუმი 2 0:1 ლაზიკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შუქურა | 8 | 7 | 1 | 0 | 27:7 | 22 |
| ლაზიკა | 8 | 6 | 1 | 1 | 20:9 | 19 |
| მეგრი | 8 | 6 | 1 | 1 | 14:8 | 19 |
| ზუგდიდი | 8 | 5 | 1 | 2 | 22:7 | 16 |
| კოლხეთი 2 | 8 | 3 | 3 | 2 | 8:9 | 12 |
| სამეგრელო | 8 | 3 | 1 | 4 | 10:8 | 10 |
| სქური | 8 | 3 | 1 | 4 | 14:18 | 10 |
| ფაზისი | 8 | 2 | 3 | 3 | 9:17 | 9 |
| ჩელა | 8 | 1 | 1 | 6 | 6:23 | 4 |
| ბახმარო | 8 | 1 | 1 | 6 | 5:18 | 4 |
| მერცხალი | 8 | 0 | 4 | 4 | 4:9 | 4 |
| ბათუმი 2 | 8 | 0 | 4 | 4 | 7:13 | 4 |

### აღმოსავლეთი

#### „ა" ზონა

VIII ტური

30 ოქტომბერი

**ივერია 4:2 საუ**

1:0 ჯაფარაშვილი (42), 2:0 ფოფხაძე (44), 2:1 ხაჩიძე (70), 3:1, 4:1 გოგოლაძე (83, 88), 4:2 ხაჩიძე (90)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**არაგვი 1:3 იბერია**

0:1 რატიანი (5), 0:2 ლვინცაძე (22), 0:3 რატიანი (39), 1:3 ღარიბაშვილი (59)
გაფრთხილება: ჩიტაური, ქადაგიშვილი (ორივე არაგვი), ხატიაშვილი, რატიანი, ხიდაშელი (ყველა იბერია)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**მრეტები 0:0 მესხეთი**

გაფრთხილება: ჩარკვიანი (მრეტები), ბერძენიშვილი (მესხეთი)
მსაჯი: გ. ჩიგოგიძე (სამტრედია)

*ცხინვალი — განთიადი*
*ცხუმი — თორი*
*გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განთიადი | 6 | 5 | 1 | 0 | 17:3 | 16 |
| ცხინვალი | 6 | 5 | 1 | 0 | 10:1 | 16 |
| ივერია | 7 | 5 | 0 | 2 | 18:8 | 15 |
| თორი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:6 | 13 |
| ცხუმი | 6 | 3 | 1 | 2 | 12:9 | 10 |
| საუ | 8 | 3 | 1 | 4 | 11:11 | 10 |
| მესხეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:16 | 8 |
| იბერია | 7 | 2 | 1 | 4 | 9:11 | 7 |
| მრეტები | 7 | 1 | 4 | 2 | 5:9 | 7 |
| ვარძია | 7 | 1 | 1 | 5 | 3:20 | 4 |
| არაგვი | 8 | 0 | 1 | 7 | 8:22 | 1 |

#### „ბ" ზონა

VIII ტური

30 ოქტომბერი

**ამირანი 1:0 თბილისი 2**

1:0 ავალიანი (17)
გაფრთხილება: ჩხაიძე, კოშკაძე (ორივე ამირანი)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

**ყვარელი 1:2 ხალიბი**

0:1 ძებისაშვილი (37), 1:1 წიწრიაშვილი (57), 1:2 ლაბაძე (73)
გაფრთხილება: ქარუნაშვილი, წიწრიაშვილი (ორივე ყვარელი), სოხაძე (ხალიბი)
მსაჯი: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

**ჭაბუკიანი 5:1 ენერგეტიკოსი**

1:0, 2:0 პაქსაშვილი (17, 29), 2:1 სიმონიშვილი (43), 3:1 მარგიევი (47), 4:1 გუნია (76), 5:1 ომანიშვილი (86)
გაფრთხილება: თვაური (ენერგეტიკოსი)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

*ალაზანი — ზოოვეტი*
*ლოკომოტივი 2 — აკადემია*
*გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი 2 | 7 | 6 | 1 | 0. | 21:6 | 19 |
| ლოკომოტივი 2 | 6 | 5 | 0 | 1 | 16:7 | 15 |
| ზოოვეტი | 6 | 4 | 1 | 1 | 18:8 | 13 |
| ამირანი | 8 | 4 | 1 | 3 | 14:16 | 13 |
| ჭაბუკიანი | 7 | 4 | 0 | 3 | 13:7 | 12 |
| ალაზანი | 6 | 3 | 1 | 2 | 13:9 | 10 |
| ხალიბი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:14 | 8 |
| აკადემია | 6 | 1 | 3 | 2 | 3:5 | 6 |
| თბილისი 2 | 7 | 1 | 2 | 4 | 8:14 | 5 |
| ყვარელი | 7 | 1 | 1 | 5 | 6:16 | 4 |
| ენერგეტიკოსი | 8 | 1 | 0 | 7 | 11:28 | 3 |

საქართველოს ჩემპიონატი **10 ტური**

# შვიდთავიანი ტური

როგორ არის?

გჯეროდეს საკუთარი თავის...

ტყუილად არ გამხსენებია „სპრაიტის" რეკლამა. საკუთარი თავი, თუ წესრიგში გაქვს და გიმუშავებს კაცს, მაგარი რამეა. ახლობელივით და ძმასავით დაგიდგება-ხოლმე გვერდით და ცხოვრებაშიც გეხმარება — ხან საფრთხეს აგაცილებს, ხან სიტუაციიდან უკეთეს გამოსავალს გაპოვნინებს...

ბოლოს და ბოლოს, ქუთაისელებისა არ იყოს, თავი იმიტომ კი არა აქვს კაცს, კისერში წვიმა არ ჩაუვიდეს, თავი თუ გაქვს, უნდა გამოიყენო.

ქართველ ფეხბურთელებსაც მშვენივრად სცოდნიათ ეს. ქართულ ფეხბურთში ამდენი უთავობის შემყურეებს გაახსენდათ, რომ თავები ადგათ ჯანიან მხრებზე, რომ ფეხბურთის თამაში თავითაც შეიძლება და მეთერთმეტე ჩემპიონატის მეათე ტური ფეხბურთზე მეტად თავბურთად აქციეს.

სხვების არ ვიცი და მე დაახლოებით ისე შევყურებდი „თბილისთან" დინამოელების თავგასულ, თავებით ლაღობას, როგორც იასონ კვირკველია და სხვა „პირველმერცხლელები" ინგლისელების თავურებს. „დინამო" — „თბილისის" შეხვედრაში ორჯერ აშვეთიამ და ერთხელაც ალექსიძემ თავური გოლი გაუტანეს მეკარე ჩიხრაძეს და კიდევ კარგი, რომ ფეხბურთი მხოლოდ ოთხმოცდაათ წუთს გრძელდება, თორემ...

ამათ სამ თავურს ერთი იონანიძემ („ტორპედო") ორი გონჩაროვმა („არსენალი"), ერთიც კოლხმა გვასალიამ დაუმატეს და მეთერთმეტე ჩემპიონატის მეათე ტურის „შვიდთავაც" შედგა.

ახლა კი შვიდთავიანი ტურის (არა აქვს საზღვარი ენას ქართულს) წვრილმან-მსხვილმანზეც.

„დინამომ" ეროვნულზე „თბილისი" ისტუმრ-იმასპინძლა (ერთი ფასი აქვს ორივეს). გახსოვთ, ალბათ, პირველ წრეში რა აჟიოტაჟი მოჰყვა დილმის ბაზის ბინადრების მატჩს, ინტრიგა ვითომ მოსალოდნელი იყო, მაგრამ თქვენც არ მოგვიკვდეთ, თავი აიშვა მარადმა ჩემპიონმა, ექვსი მშრალი ბურთი გაუგზავნა ჩიხრაძეს — ზოგი თავით, ზოგი ფეხით (მოსაკითხივით) და მეთერთმეტე ეროვნულის ყველაზე დიდი ანგარიშიც შედგა. ტურში ჩემპიონატის პირველი ქართული პოკერიც ვიხილეთ — აშვეთიამ გაიგიჟა თავი.

გონჩაროვის ორი თავური სრულიად საკმარისი გახდა „არსენალისთვის", რათა „სამგურალის" წინააღმდეგობა დაეძლია არადა, მთელი ორმოცდაათი წუთს აგებდნენ არმიელები... უეჭველია, არმია გონჩაროვს ასმეთაურობას თუ არა, ათმეთაურობას მაინც უბოძებს. ასეა, არ იკარგება დამსახურება და არმია არასოდეს ივიწყებს თავგამოჩენილებს. რაც შეეხებათ წყალტუბოელებს, დროზე უნდა გაანძრიონ და რაღაცით უშველონ თავს, თორემ საუკეთესო რვა გუნდს ვინ ჩივის, ეგებ პირველ ლიგაში დარჩენა-არდარჩენაზე მოუწიოთ სერიოზულმა ზრუნვამ.

დაახლოებით იგივე დღეში ჩაიგდეს თავი სამტრედიელებმა, „იბერიამ" თსუ-სთან შინაურ მარცხს, გასვლაზე „ტორპედოსთან" განადგურებაც მიაყოლა და ახლა „გორდასაც" დაჰყურებს ზემოდან. „ტორპედომ" კი, სამტრედიელებს თავს რომ რისხვად დაატყდა, იმ „ტორპედომ", წმინდა სისხლის ინგლისური ულაყივით აიწყვიტა და თავმომწონედ ეთამაშება ქართული ფეხბურთის მწვერვალებს. სამტრედიელებთან გატანილმა ხუთმა გოლმა 29-მდე გაზარდა ქუთაისელთა გატანილი გოლების მონაგარი და დაახლოებით ხუთჯერ გადააჭარბა, „იბერიაზე" არას ვიტყვით (სუსტია), „ბათუმის" (ძლიერია) გატანილ გოლებს.

სიტყვა „ბათუმზე" ჩამოვარდა და „სინიორ 0:0-მა" ჯანი კარნევალემ „ვიტ ჯორჯიასთან" მორიგ უგოლო ფრეს გამოჰკრა ხელი. კარნევალე რომ თავს არ უჩივის და როგორც ყველა კარგი მწვრთნელი დაცვიდან იწყებს გუნდის აღორძინებას (კენჭი ბოსტანში არადა, პარლამენტში ჰო), ეს ნათელია, მაგრამ ათ თამაშში ექვსადექვსი გატანილი გოლი (საქართველოში!), სირცხვილია, სინიორ ჯანი!

დაანებეთ ერთ დღეს მაგ კატენაჩოს თავი, გაისეირნეთ ბათუმის სამხრეთით და იმისთანა ცხვრებს წააწყდებით, თვით რომის პაპს მიერთმევა (ჩაქაფული, რა თქმა უნდა). მერე ნამდვილად აეხსნება მეტოქის კარს ჯადო. თუ არა და ჰკითხეთ „მერანს".

„მერანს", რომელმაც სახელწოდებასაც არ სცა პატივი (ცხენისებრთა ოჯახიდანაა და წესით ვეგეტარიანელი უნდა იყოს) და იმისთანა ცხვარი დაკლა თსუ-სთან მატჩის წინ, არც იმაზე იტყოდა რომის პაპი უარს. გაამართლა ხომ იცით, საკუთარ ცხვარში... უკაცრავად საკუთარ თავში დარწმუნებულმა „მერანმა" შეხვედრის ბოლოს სადავეები აიღო და ამბიძისა და დავითაშვილის გოლებით ხელი მოუთავა სტუდენტებს. ისე „მერანის" დამსახურება აშკარაა, მას ორად ორი მარცხი აქვს და ამ შედეგით ბევრი ქართული გუნდი ვერ მოიწონებს თავს.

„სიონმა" წლეულს „ლოკომოტივს" შინ და გარეთ თავბედი აწყევლინა. ორჯერვე 1:0 მოუგო. ასე იცის „კოკაკოლასთან" ამხანაგობამ. „ლოკომოტივს" გული კი დასწყდა, მაგრამ არა უშავს, მესამე-მეოთხეადგილოსნებთან განსხვავება ერთი ქულაა და ჯერ თითქოს არაფერია დაკარგული (ქულების გარდა).

ხობში ამბავი მომხდარა, არ ეკადრება თავმოყვარე ფეხბურთს. „თავო ჩემო, ბედი არ გიწერიაო", ლაინსმენმა რუსიშვილმა უნდა თქვას, ჯერ იყო და ვეტერინარმა ჭანკოტაძემ ჩაარტყა წიხლი (შარშან), ახლაა და მაყურებლები შეუცვივდნენ მინდორზე (წელს). რა და როგორ, ამას ფედერაცია გადაწყვეტს, თავიდათავი კი ისაა, რომ ხობმა 5:1 მოუგო „გორდას" და ბოლოდან მეექვსე ადგილზე ისკუპა „ბ" ზონაში.

დაბოლოს, მერვე თამაშზე და მეშვიდე თავურზე. იგი ელდარ გვასალიამ გაიტანა „კოლხეთი" — „დილას" შეხვედრის მეთერთმეტე წუთზე. ორიოდ წუთში შალამბერიძემ, მესამოცეზე კი ღლონიძემ ორიც მიაყოლეს ელდარის თავურს და „დილამ" მორიგი დიდი ანგარიშით მარცხი იწვნია. ასე თუ გააგრძელეს... თავი არსად გამოეყოფათ გორელებს.

ეს იყო და ეს. ასე მორჩა რვამატჩიანი და ოცდაექვსგოლიანი, ორწითელიანი და ოცყვითელიანი შვიდთავიანი ტური.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 9 - აშვეთია | *დინამო* |
| იონანიძე | *ტორპედო* |
| 8 - ალექსიძე | *დინამო* |
| 7 - მეგრელაძე | *ტორპედო* |
| 6 - გ. ქორიძე | *ვიტ ჯორჯია* |

**სიმბოლური ნაკრები**

მიხეილ აშვეთია — *დინამო*
ზურაბ იონანიძე — *ტორპედო*
სულიკო დავითაშვილი — *მერანი*
დავით დათუაძე — *სიონი*
დავით სოლოღაშვილი — *სიონი*
დავით ჯანაშია — *ტორპედო*
ჯაბა მუჯირი — *ვიტ ჯორჯია*
ჯონი შალამბერიძე — *კოლხეთი*
კახა სიდამონიძე — *სიონი*
პაატა ჯინჭარაძე — *დინამო*
დავით მამარდაშვილი — *ვიტ ჯორჯია*

გუნდი: სიონი

მწვრთნელი: სპარტაკ არჩვაძე *სიონი*

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დინამო | 10 | 7 | 1 | 2 | 22:8 | 14 | 22 | 5 | 4 | 1 | 0 | 13:4 | 9 | 13 | 5 | 3 | 0 | 2 | 9:4 | 5 | 9 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 10 | 5 | 3 | 2 | 13:6 | 7 | 18 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 6 | 10 | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 1 | 8 |
| 3 | სიონი | 10 | 4 | 3 | 3 | 9:12 | -3 | 15 | 5 | 2 | 3 | 0 | 4:2 | 2 | 9 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:10 | -5 | 6 |
| 4 | ბათუმი | 10 | 3 | 6 | 1 | 6:3 | 3 | 15 | 5 | 3 | 2 | 0 | 4:0 | 4 | 11 | 5 | 0 | 4 | 1 | 2:3 | -1 | 4 |
| 5 | ლოკომოტივი | 10 | 4 | 2 | 4 | 14:12 | 2 | 14 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 8 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:8 | 0 | 6 |
| 6 | თბილისი | 10 | 2 | 3 | 5 | 17:24 | -7 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 11:14 | -3 | 7 | 5 | 0 | 2 | 3 | 6:10 | -4 | 2 |
| 7 | არსენალი | 10 | 2 | 3 | 5 | 9:14 | -5 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | -2 | 7 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:6 | -3 | 2 |
| 8 | სამგურალი | 10 | 2 | 1 | 7 | 7:18 | -11 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 3:6 | -3 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 4:12 | -8 | 1 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 10 | 9 | 1 | 0 | 29:5 | 24 | 28 | 5 | 4 | 1 | 0 | 15:4 | 11 | 13 | 5 | 5 | 0 | 0 | 14:1 | 13 | 15 |
| 2 | კოლხეთი | 10 | 7 | 0 | 3 | 16:11 | 5 | 21 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | 6 | 12 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:8 | -1 | 9 |
| 3 | დილა | 10 | 4 | 2 | 4 | 11:16 | -5 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 10 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | -6 | 4 |
| 4 | მერანი | 10 | 2 | 6 | 2 | 10:9 | 1 | 12 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 1 | 6 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 0 | 6 |
| 5 | თსუ | 10 | 2 | 4 | 4 | 5:9 | -4 | 10 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | -4 | 4 | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 0 | 6 |
| 6 | იბერია | 10 | 2 | 3 | 5 | 5:15 | -10 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 7 | 5 | 0 | 2 | 3 | 1:9 | -8 | 2 |
| 7 | ხობი | 10 | 2 | 3 | 5 | 12:16 | -4 | 9 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:7 | 0 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 4 |
| 8 | გორდა | 10 | 2 | 1 | 7 | 7:14 | -7 | 7 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 2 | 7 | 5 | 0 | 0 | 5 | 1:10 | -9 | 0 |

## «ა» ზონა

თბილისი
29 ოქტომბერი
16 საათი
ეროვნული
400 (ტევადობა 75 000)

### ლოკომოტივი 0:1 სიონი

0:1 მოსეშვილი (24)
**ლოკომოტივი:** ჯანელიძე, ბალაშვილი, მ. ქობულაძე, კ. მელქაძე (ბაქრაძე 83), ჩიხრაძე, კაციაშვილი (ლ. შავგულიძე 75), ლ. მიქაძე, ამაშუკელი, ჩომახიძე (იაგორაშვილი 46), ქებაძე, რუსია
*სათადარიგონი:* ასლანაძე; ბარნოვი, ბერაძე, ვ. გველესიანი
**სიონი:** ვოლკოვი, ნ. მინდიაშვილი, შაკიაშვილი, სიდამონიძე, დიმიტრიშვილი, თ. სამხარაძე, დ. სვანიძე (ტარულაშვილი 67), სოლოღაშვილი, დათუაძე (მ. სამხარაძე 80), მოსეშვილი,დ. გოდერძიშვილი (ი. კაპანაძე 90)
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; დ. ჯაფარიძე, ფ. არჩვაძე, ჩატელიშვილი
**გაფრთხილება:** სვანიძე (51), ბალაშვილი (53), იაგორაშვილი (60), ვოლკოვი (68), რუსია (70), შაკიაშვილი (78)
**გაძევება:** რუსია (70)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი), ზ. ჯვარიძე; ო. ხეცაძე (ორივე თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** შ. ხინჩაგაშვილი

თბილისი
30 ოქტომბერი
16 საათი
ისანი
.50 (ტევადობა 3 000)

### არსენალი 2:1 სამგურალი

0:1 კოხრეიძე (33), 1:1, 2:1 გონჩაროვი (50, 73)
**არსენალი:** ჩლაიძე (კუპატაძე 46), ირემაშვილი, ასპინძელაშვილი, ლაცაბიძე, ვახტანგ გაგუა, აბაზაძე, ხოსროშვილი (კვირკველია 70), თარგამაძე, გონჩაროვი, კაკაშვილი (გ. ჩალაძე 82), გ. სულაძე
*სათადარიგონი:* ყუფარაძე, ცოტაძე, ყოლბაია, რობაქიძე
**სამგურალი:** ბოდოკია, ჭყონია, ფრანგიშვილი, ჭელიძე, ვოსკანოვი, ძაგნიძე, კოხრეიძე, ი. ხაჭაპურიძე, ძოძუაშვილი, ზ. ფხაკაძე (ზ. ქუთათელაძე 78), ღონღაძე
*სათადარიგონი:* ო. ბობოხიძე; სადილიანი, ნებიერიძე, გაბლაია, ლ. ქობულაძე
**გაფრთხილება:** ჭელიძე (3), ხოსროშვილი (18), ჩლაიძე (33), კოხრეიძე (44), ფხაკაძე (71), კუპატაძე (90)
**მსაჯები:** ს. კახიანი (თბილისი); გ. ასკაროლლი (ქარელი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); ლ. სილაგავა (თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** გ. ფირცხალავა

თბილისი
30 ოქტომბერი
16 საათი
ეროვნული
1 500 (ტევადობა 75 000)

### თბილისი 0:6 დინამო

0:1 წიტაიშვილი (25), 0:2 აშვეთია (32), 0:3 ალექსიძე (54), 0:4, 0:5, 0:6 აშვეთია (70, 80, 83)
**თბილისი:** ა. ჩიხრაძე, მაჭავარიანი, ქემოკლიძე (ტყებუჩავა 78), აბრამიძე (ჩივაძე 78), ო. გველესიანი, კვარაცხელია, ი. შენგელია, ბურდული, ვ. გაგუა, ლ. მელქაძე, ისიანი (ნორაკიძე 46)
*სათადარიგო:* ბათიაშვილი
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ხიზანეიშვილი, გუჩუა, პ. ჯინჭარაძე, სიჭინავა, ა. სახვაძე (შაშიაშვილი 61), ალექსიძე (ს. გიგიაძე 72), ი. ვაშაკიძე, ანჩაბაძე (ვ. გიგიაძე 69), წიტაიშვილი, აშვეთია
*სათადარიგონი:* დონდტი; გ. შენგელია
**გაფრთხილება:** აბრამიძე (72)
**მსაჯები:** დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. ნონიკაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** გ. ფირცხალავა

მცხეთა
30 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
700 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 0:0 ბათუმი

**ვიტ ჯორჯია:** მამარდაშვილი, საჯაია, ჭანკოტაძე, თოდუა, კოტორაშვილი, ზ. გვაზავა, დ. ნოზაძე, ჯ. მუჯირი, ყიფიანი, ა. ბოკერია, რ. გოცირიძე
*სათადარიგონი:* ჭურაძე; ბარქაია, მაზიაშვილი, დილმელაშვილი, ვლ. გოჩაშვილი, დ. დოლიძე
**ბათუმი:** ტოგონიძე, პაპიძე, არჩვაძე (ტულუში 46), მ. მახარაძე, შ. ხუჯაძე, მინდაძე, კობიძე (რომანაძე 80), ი. მახარაძე, მაჭუტაძე, გელა ქორიძე, აფხაზავა (ა. მუჯირი 75)
*სათადარიგონი:* ვარშანიძე; ქაცარავა, გადელია, თედორაძე
**გაფრთხილება:** არჩვაძე (20)
**გაძევება:** პაპიძე (71)
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი); მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე, დ. ხარიტონაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ა. ბაჩუკაშვილი

## «ბ» ზონა

მცხეთა
29 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

### თსუ 0:2 მერანი

0:1 ბ. ამბიძე (79), 0:2 დავითაშვილი (90)
**თსუ:** მერლანი, ნინუა, სვანაძე, წუწუნავა, დეკანოსიძე, მესხი (ბ. ნოზაძე 83), ადამია (ფარქოსაძე 46), თ. ბოკერია, კვიციანი, დ. არჩვაძე, ერაძე (გ. გვაზავა 46)
*სათადარიგონი:* გუგუნავა, ინწკირველი, ჯობაძე, გ. მიქაძე
**მერანი:** ნაჭყეპია, ლ. ამბიძე, ლურსმანაშვილი, ჯიშკარიანი (კოშკაძე 75), ხარებავა, ბაჯელიძე (ჭინჭარაული 64), კარიაული (ლ. ჩხაიძე 90), ე. ალადაშვილი, ბ. ამბიძე, დევიძე, დავითაშვილი
*სათადარიგონი:* კოროშინაძე, ცქიფურიშვილი, ჩანადირი, ივანიშვილი
**გაფრთხილება:** ბოკერია (7), კვიციანი (30), დევიძე (39), წუწუნავა (43)
**მსაჯები:** მ. მალაღურაძე; ვ. ჩოჩიშვილი (ორივე თბილისი), ა. ორდინიძე (ონი); ნ. კილაძე (თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

ფოთი
30 ოქტომბერი
16 საათი
ფაზისი
700 (ტევადობა 6 000)

### კოლხეთი 3:0 დილა

1:0 ე. გვასალია (11), 2:0 შალამბერიძე (13), 3:0 ღლონიძე (60)
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, დავითნიძე, ქუნთელია, შალამბერიძე, კიკლიაშვილი (ჯღარკავა 83), ტრაპაიძე, ღლონიძე, ე. გვასალია (მელაძე 72), ხუჭუა (კედელაშვილი 65)
*სათადარიგონი:* ქვაჩახია; ანჯაფარიძე, ბულუხია, პაპავა
**დილა:** მდივანი, გ. ჩიტაია, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ფეზუაშვილი (სულთანიშვილი 20), თაყაძე, ციცქიშვილი, მარლიშვილი, ხორგუაშვილი, შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი; საყვარელიძე, აკოფიანი, ოლგესაშვილი, მარეხაშვილი, კარელიძე
**გაფრთხილება:** დავითნიძე (66)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ის დელეგატი:** ა. დურსუნიში

ქუთაისი
30 ოქტომბერი
16 საათი
ტორპედო
3 000 (ტევადობა 23 800)

### ტორპედო 5:0 იბერია

1:0 იონანიძე (5), 2:0, 3:0 ჯანაშია (18, 57), 4:0, 5:0 იონანიძე (60, 72)
**ტორპედო:** ჭანტურია, შეყრილაძე, თურმანიძე, ხვადაგიანი (ამისულაშვილი 65), მალაკელიძე, ჩხეტიანი, კ. კვეტენაძე, ვაჩიბერაძე (იმედაძე 61), დ. ჯანაშია, მეგრელაძე (ასათიანი 46), იონანიძე
*სათადარიგონი:* სტურუა; მახვილაძე, ვ. მაისურაძე, ბობოხიძე
**იბერია:** ვარდანიძე, კ. მეტრეველი (ოდიკაძე 62), ნიკოლეიშვილი, გეგეშიძე, მიქელთაძე, ბიწაძე (ცომაია 81), მ. ჯინჭარაძე, ხმალაძე, გ. ლურსმანაშვილი, დარსაძე (ივეჩიანი 36), ზ. მეტრეველი
*სათადარიგონი:* ა. ჩომახიძე; მუმლაძე, ლ. გიორგაძე, ჟვანია
**გაფრთხილება:** გეგეშიძე (36)
**მსაჯები:** ა. მეშკოვი; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), კ. მესხი (ზუგდიდი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ის დელეგატი:** ბ. ქარქაშაძე

ხობი
30 ოქტომბერი
16 საათი
კოლხეთი
2 500 (ტევადობა 12 000)

### ხობი 5:1 გორდა

0:1 ინასარიძე (17), 1:1 ხურცილავა (36პ), 2:1 ჭიჭინაძე (42), 3:1 ჩიტაია (44), 4:1 ჭიჭინაძე (62), 5:1 ტყებუჩავა (90)
**ხობი:** ბაბუაძე, ონიანი, ზ. კვეკვესკირი, ალანია (ჯამბურია 60), ზურაბ აიანადი, ხურცილავა, გოგიტაძე, ლ. გვაზავა, ლ. ბუკია (ტყებუჩავა 69), ჭიჭინაძე, ჩიტაია (დანელია 64)
*სათადარიგონი:* ნიქაბერიძე; ზაზა აიანადი, ვართაგავა
**გორდა:** მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბექაური, ინასარიძე, გაბელაია, ვ. კილასონია, თელიაშვილი, მ. სახვაძე, ა. ბუკია (მიშველაიძე 27, ბაჩილავა 46), კოტეიშვილი, ლ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* გონგაძე; ჩიტაური, ბერიძე
**გაფრთხილება:** ბექაური (23), ინასარიძე (30), მჭედლიძე (75), ბუკია (51), ალანია (54), აიანადი (57), გვაზავა (70)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი)
**სფფ-ის დელეგატი:** ნ. კაკულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაზეთებმა კრუიფიც კი ახსენეს

## რეალის პრეზიდენტი ჯონ ტოშაკის განთავისუფლებას არ ჩქარობს



ჯონ ტოშაკი

მადრიდის „რეალის" პრეზიდენტმა, ლორენსო სანსმა ორშაბათს ნორვეგიის ქალაქ მოლდეში პრესკონფერენცია გამართა, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მატჩის, „მოლდე" — „რეალის" ნაცვლად „სამეფო გუნდის" შინაურ საქმეებს მიუძღვნა. მოგეხსენებათ, მადრიდელებმა ესპანეთის პრიმერადივიზიონში ზედიზედ რვა თამაშიდან ერთიც ვერ მოიგეს, რამაც ქომაგები უკიდურესად გაალიზიანა და მათ გუნდის უელსელი მწვრთნელის, ჯონ ტოშაკის თანამდებობიდან გადადგომა მოითხოვეს.

სანსმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას მაინც და მაინც ყოჩაღად ვერ განაცხადა, რომ „რეალი" უახლოეს მომავალში გარდაიქმნება, პრობლემებს ჩამოიფერთხავს და თამაშს თამაშზე მოიგებს, მაგრამ როდესაც სიტყვა ტოშაკზე ჩამოვარდა, კატეგორიული პოზიცია დაიკავა.

„ამ ეტაპზე მწვრთნელზე საუბარი თავში აზრადაც არ მომსვლია. გადაწყვეტილება, რომელიც გუნდის მომავალს დაღს დაასვამს აბსოლუტურად საღ გონებაზე, ემოციების გარეშე უნდა მივიღოთ. შაბათს, ჩემპიონატის შეხვედრაში დამარცხება „რეალისთვის" სერიოზული დარტყმა გახლდათ და სრულიად გასაგებია, რატომ განრისხდნენ გულშემატკივრები. მათ გრძნობებს ვიზიარებთ და ვაცხადებთ, რომ „რეალი" დიდი გამარჯვებებისკენ მოწოდებული გუნდია, რომელიც სამი-ოთხი თამაშის მოგებას თუ შეძლებს, აღმაფრენა დაუბრუნდება".

გუშინდელ „სარბიელშიც" ვწერდით, რომ მადრიდულ დერბიში, „ატლეტიკოსთან" 1:3 დამარცხების შემდეგ ფანებმა „სანტიაგო ბერნაბეუზე" და მეორე დღეს კლუბის საწვრთნელ კომპლექსშიც გამოხატეს უკმაყოფილება. ისინი ტოშაკის საწინააღმდეგო ლოზუნგებს გაიძახოდნენ.

ამასობაში ტოშაკი, რომელიც „რეალში" გასულ თებერვალს სტამბოლის „ბეშიქთაშიდან" გადავიდა და ახალ კლუბთან 16 თვიანი ხელშეკრულება გააფორმა, აცხადებს, რომ მზადაა მუშაობის გასაგრძელებლად და მისი ხელმძღვანელობით გუნდი კრიზისიდან გამოსავალს ეძებს.

„თანამდებობიდან გადადგომაზე არც მიფიქრია. პირიქით, მუშაობაზე ვფიქრობ, საქმე მაინტერესებს. მეორე მხრივ, ჩემი სიტყვები იმას არ ნიშნავს, რომ ვერ გამანთავისუფლებენ" — განაცხადა უელსელმა, რომელიც დღეს გაცილებით დიდი ზეწოლის ქვეშაა, ვიდრე აქამდე იყო.

ორშაბათს მადრიდში გამომავალმა ორმა ყველაზე გავლენიანმა გაზეთმა „მარკამ" და AS-მა იმ სპეციალისტთა ჩამონათვალიც კი გამოაქვეყნა, რომელთა შორის თითქოს ტოშაკის შემცვლელს ეძებენ. გაზეთების აზრით, ყველაზე სავარაუდო კანდიდატები არიან რადომირ ანტიჩი, დანიელ პასარელა და ხორხე ვალდანო. მათ გარდა „ბარსელონას" ყოფილი მწვრთნელი იოჰან კრუიფიც ახსენეს.

გაზეთებმა განაცხადეს, რომ უელსელის ბედი შაბათს, ესპანეთის პირველობის ლიდერ „რაიო ვალეკანოსთან" შეხვედრაში გადაწყდება ანუ თანამდებობაზე დასარჩენად ტოშაკს მორიგ დერბიში მხოლოდ გამარჯვება სჭირდება.

აღსანიშნავია, რომ ტოშაკს მდგომარეობას ბოლოჟამს გახშირებული ტრავმებიც უმძიმებს.

„ამ მძიმე დროში სტივ მაკმანამანის გამოჯანმრთელება ერთადერთი სასიამოვნო ცნობა გახლავთ" — ამოიოხრა „რეალის" მწვრთნელმა.

**მიხეილ სურგულაძე**

# მილანი ბეწვზე ჰკიდია

### ჩემპიონთა ლიგა. VI-ტური

გუშინ ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე 8 მონაწილის ვინაობა ოფიციალურად გაირკვა, დღეს კი დანარჩენი 8 გუნდის სახელი უნდა გამოვლინდეს, თუმცა აქედან 5 უკვე ცნობილია, ესენია: „პორტუ", „რეალი", „ბორდო", „სპარტა" და „ვალენსია", ხოლო დანარჩენი სამის სახელი დღევანდელმა საფეხბურთო საღამომ უნდა გაარკვიოს.

მათ რიცხვს, სადაც თითქმის ყველაფერი ნათელია, E ჯგუფი მიეკუთვნება. მომდევნო ეტაპზე „პორტუ" და „რეალი" იასპარეზებენ, უეფას თასის საგზურს კი „ოლიმპიაკოსი" და „მოლდე" შეეცილებიან ერთმანეთს.

დღეს „რეალი" ნორვეგიაში „მოლდეს" სტუმრობს. მადრიდელთა მთავარ მწვრთნელ ჯონ ტოშაკს ესპანეთის ჩემპიონატში ზედიზედ 8 მოუგებელი მატჩის შემდეგ წყალი შეუდგა და ახლა ვიკინგების სამშობლოში ყოველმხრივ შეეცდება ვითარების გამოსწორებას. თუმცა დღეს რაულ-მორიენტეს-ანელკას ტრიო არ ეყოლება. „როიტერის" ინფორმაციით, სამივეს ტრავმა აქვს და სავარაუდოდ არ ითამაშებენ. სამაგიეროდ, შეიძლება ახალი მოთამაშე გამოჩნდეს, „რეალი C"-ში მოასპარეზე 19 წლის კარლოს არანდა, რომელმაც მიმდინარე სეზონის ექვს მატჩში 5 გოლი გაიტანა. თავდასხმაში მას მხარს მეორე დებიუტანტი, აგრეთვე ძალიან ახალგაზრდა ეტუ აუბამს. ალბათ, მატჩს სასტარტოში დაიწყებს აიტორ კარანკაც.

„მოლდეს" კი შემადგენლობის პრობლემა არ აწუხებს. ჯგუფის მეორე მატჩში „ოლიმპიაკოსი" „პორტუს" უმასპინძლებს. წინასწარი ცნობით, „პორტუს" მთავარმა მწვრთნელმა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის დასვენება ამჯობინა. ესენი არიან: ბრაზილიელი მარიო ჟარდელი, მცველები — ჟორჟე კოშტა და ესკერდინია. „როიტერისვე" ინფორმაციით, ტრავმები აწუხებთ ბრაზილიელ მცველ ანჟელ ფუქსს და გოლკიპერ ვიტორ ბაიას, რომელსაც ალბათ სათადარიგო მეკარე ენრიკე ჰილარიო შეცვლის.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 5 | 4 | 0 | 1 | 9:5 | 12 |
| რეალი | 5 | 3 | 1 | 1 | 14:7 | 10 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 8:12 | 4 |
| მოლდე | 5 | 1 | 0 | 4 | 6:13 | 3 |

*3 ნოემბერი. ოლიმპიაკოსი — პორტუ, მოლდე — რეალი*

F ჯგუფიდან ერთ-ერთი გამსვლელის ვინაობა გარკვეულია, ეს ესპანური „ვალენსიაა", ხოლო მეორე ადგილს ერთმანეთს მიუნხენის „ბაიერნი" და გლაზგოს „რეინჯერსი" ეცილებიან. სწორედ მათი შეხვედრა იქნება ერთ-ერთი ცენტრალური ბოლო ტურში.

„ბაიერნის" მეკარე ოლივერ კანი ბოლო ხანს აქტიურად ვარჯიშობს და ალბათ თამაშსაც შეძლებს, ხოლო უკანასკნელი ცნობით, კარსტენ იანკერსა და პაულო სერჟიოს ტრავმები აქვთ და იქნებ მატჩი გამოტოვონ. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ შეხვედრას გამოტოვებს იენს იერემისი, მას დისკვალიფიკაცია აქვს.

„რეინჯერსს" ოთხი ფეხბურთელის პრობლემა აქვს. ესენი არიან: რობ უოლესი, იორგ ალბერტცი, ნილ მაკკენი და კლაუდიო რეინა. წინასწარი მონაცემებით, მათ ტრავმა აქვთ, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ოთხივე ვიხილოთ მინდორზე. გუნდის კარს გამოცდილი შტეფან კლოსი დაიცავს.

„ვალენსიას", შესაძლოა, კვლავ დაუბრუნდეს ფრანგი მცველი ჟოსელინ ანგლომა. მას ტრავმის გამო ორკვირიანი იძულებითი შესვენება ჰქონია.

პსვ-ს რიგებში კი ტრავმები აქვთ იუგოსლაველ ივიცა კრალს და რონალდ ვატერეუსს, თუმცა მთავარი მწვრთნელი ერიკ გერეტსი იმედოვნებს, რომ რომელიმე მათგანი მაინც გამოვა მინდორზე. საზარდულის ტრავმა აქვს შვეიცარიელ იოჰან ფოგელს და შესაძლოა მან არც ითამაშოს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 5 | 2 | 3 | 0 | 7:4 | 9 |
| რეინჯერსი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| ბაიერნი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:6 | 6 |
| პსვ | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |

*3 ნოემბერი. ბაიერნი — რეინჯერსი, ვალენსია — პსვ*

G ჯგუფში ყველაფერი გარკვეულია და „სპარტა"—„სპარტაკისა" და „ტილბურგი"—„ბორდოს" შეხვედრები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. მომდევნო ეტაპზე „ბორდო" და „სპარტა" გავლენ, ხოლო უეფას თასზე მოსკოვის „სპარტაკს" ვიხილავთ. ეს გუნდები ახლა ერთმანეთში მხოლოდ სარეიტინგო ქულების მომატებისა და ჯიბის ოდნავ გასქელებისთვის შეიძლება დაიხარჯონ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 5 | 3 | 2 | 0 | 7:4 | 11 |
| სპარტა | 5 | 2 | 3 | 0 | 9:4 | 9 |
| სპარტაკი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:7 | 5 |
| ტილბურგი | 5 | 0 | 1 | 4 | 7:15 | 1 |

*3 ნოემბერი. სპარტა — სპარტაკი, ტილბურგი — ბორდო*

აი, უკანასკნელ H ჯგუფში კი სხვაგვარი სიტუაციაა. იტალიის ჩემპიონ „მილანის" მომავალ ეტაპზე გასვლის საკითხი მართლაც რომ ბეწვზე ჰკიდია. გარდა იმისა, რომ შემდეგ ჯგუფურ ეტაპზე მონაწილეობისათვის მათ თურქების სტამბოლში დამარცხება ესაჭიროებათ, მერე ლონდონში „ჩელსი"—„ჰერტას" წყვილის შედეგს უნდა ელოდონ. თუ მათი შეხვედრა ფრედ არ დამთავრდა, მაშინ „მილანი" მომდევნო ეტაპის საგზურს ემშვიდობება, ხოლო ნებისმიერ სხვა შედეგზე, ანუ „ჩელსის" ან „ჰერტას" მოგების შემთხვევაში, მომდევნო ეტაპზე უკვე „მილანი" გადის. იმ შემთხვევაში, თუ „გალათასარაის" სტამბოლში დამარცხება შეძლო.

მილანელთა მთავარ მწვრთნელ ალბერტო ძაკერონის ორი წამყვანი ფეხბურთელი აკლია. ეს ალესანდრო კოსტაკურტა და ბრაზილიელი ლეონარდოა. მათ დისკვალიფიკაცია აქვთ. წლევანდელ სეზონში პირველად ითამაშებს ლიბერიელი ფორვარდი ჟორჟ ვეა, რომელმაც ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა. ლეონარდოს ადგილს სავარაუდოდ ხორვატი ზვონიმირ ბობანი დაიკავებს, რომელმაც ტრავმა მოიშუშა და უკანასკნელ პერიოდში სერია A-ს მატჩებშიც გამოჩნდა.

თურქებს კი წინასწარი მონაცემით მხოლოდ ნახევარმცველი სუათ კაია აკლიათ. მას დისკვალიფიკაცია აქვს. სხვა ყველა ასე თუ ისე, მწყობრშია.

„ჩელსის" რიგებში მცველი ფრანკ ლებეფის თამაშის შანსები ორმოცდაათი-ორმოცდაათზეა, სხვა მოთამაშეებზე არანაირი წინასწარი ინფორმაცია არ არსებობს.

„ჰერტას" მთავარმა დამრტყმელმა ძალამ, მიხაელ პრეეცმა უკანასკნელ პერიოდში ვარჯიში დაიწყო. მას მცირე ტრავმა ჰქონდა, ამიტომ, ალბათ სასტარტოში იქნება. დაცვას ანდრეას შმიდტი და ტომას ჰელმერი დაუბრუნდნენ. მთავარი მწვრთნელი იურგენ რობერი იმედოვნებს, რომ მცველი დიკ ვან ბურიკი „ჩელსის" მთავარ რისხვას, ჯანფრანკო ძოლას გააუვნებლებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერტა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:8 | 8 |
| ჩელსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:3 | 8 |
| მილანი | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 6 |
| გალათასარაი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:11 | 4 |

*3 ნოემბერი. ჩელსი — ჰერტა, გალათასარაი — მილანი*

# მსაჯი ქალი ლიგაში

ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ოთხშაბათს უპრეცედენტო ფაქტი მოხდება — შესარჩევი ჯგუფის უკანასკნელ მატჩს ნორვეგიულ „მოლდესა" და მადრიდის „რეალს" შორის დამხმარე არბიტრად სუსტი სქესის წარმომადგენელი მოემსახურება.

37 წლის ნელი ვიენოს მსაჯობის საკმაო გამოცდილება აქვს. მას საფრანგეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში არაერთი მატჩი განუსჯია, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ანალოგიური შემთხვევა ჯერ არ ყოფილა და ვიენო, როგორც პირველი არბიტრი მანდილოსანი, ტურნირის ისტორიაშიც შევა.

ვიენოს კიდევ ერთი ოფიციალური ტურნირი ჩაუტარებია დამხმარე არბიტრის რანგში, ეს ატლანტის 96 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოხდა.

ინგლისის დაბალ ლიგებში კი ყოფილა შემთხვევა, როცა მატჩის მთავარი არბიტრი და მთელი მისი დამხმარე ბრიგადა სუსტი სქესის წარმომადგენლები ყოფილან.

# სამხრეთ ამერიკა

## ბრაზილია

მე-19 ტური. კორინთიანსი — ატლეტიკო მინეირო 0:4; გუარანი — ვიტორია 1:2; კრუზეირო — ბოტაფოგო რიბეირაო 2:1; სპორტ რესიფე — ჟუვენტუდე 0:1; ვასკუ და გამა — ატლეტიკო პარანაენსე 2:1; ინტერნასიონალი — პონტე პრეტა 1:0; ბოტაფოგო — გამა 3:1; სანტოსი — გრემიო 2:1; პარანა — სან პაულუ 1:2

ბრაზილიელებს რამდენადაც კარგი ფეხბურთელები ჰყავთ, იმდენად ცუდია მსაჯობა. ამ ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ ტურში ერთმანეთს „ვასკუ და გამა" და პარანაენსეს „ატლეტიკო" დაუპირისპირდნენ. „ვასკუს" რიგებში ედმუნდო თამაშობდა და ალბათ მიხვდით, მატჩის დროს მომხდარი უსიამოვნებები სწორედ მის სახელს უკავშირდება. ციხეში ჯდომამ, როგორც ჩანს, იგი კიდევ უფრო გაამხეცა და მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელს სასტიკად გაუსწორდა. მაყურებლები დარწმუნებულნი იყვნენ, მსაჯი ედმუნდოს გააძევებს და კრივის ნაცვლად ისევ ფეხბურთს ვუყურებთო, მაგრამ მსაჯმა ყველა გააწბილა. ისე, მასაც უნდა გავუგოთ. წითელ ბარათს ამოიღებდა — ედმუნდო დაახრჩობდა, არ დასჯიდა და გულშემატკივრები ჩაქოლავდნენ. არბიტრმაც, ლუჩიანო ალმეიდამ, ქართული გამოთქმა გაიხსენა, არც მწვადი დაწვა, არც შამფური და ყვითელი ბარათი აუფრიალა. ამით ფრთაშესხმულმა ედმუნდომ პენალტიც შეაგდო. ინციდენტამდე მას ერთი გოლი უკვე გატანილი ჰქონდა. საბოლოოდ „ვასკუმ" 2:1 მოიგო. ედმუნდოს უკვე 12 გოლი დაუგროვდა, „ვასკუმ" კი ამ გამარჯვებით რვა უძლიერეს გუნდში ადგილი პრაქტიკულად გაინაღდა.

„კორინთიანსს" მეოთხედფინალს მიღმა დარჩენა არ ემუქრება. ამიტომაც უბრძოლველად დათმო საშინაო შეხვედრა მინეიროს „ატლეტიკოსთან". სტუმრებმა 4:0 მოიგეს და მე-6 ადგილზე არიან. ამ თამაშში ორი გოლი გილერმუმ გაიტანა და კრუზეიროელ ალვეშთან ერთად 16 ბურთით ბომბარდირთა სიას ლიდერობს.

გახსოვთ დუნგა? ეს ფეხბურთელი „ინტერნასიონალში" ირიცხება, თუმცა მწვრთნელს, წარსულში ცნობილ მეკარე ემერსონ ლეაოს ათვალწუნებული ჰყავდა. კლუბი ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერია და შეშინებულმა ლეაომ დუნგას თამაშის საშუალება მისცა. ვეტერანმაც თავი არ შეირცხვინა. „პონტე პრეტასთან" შეხვედრაში ანდერსონმა, სწორედ მისი პასით შეაგდო თავური. ეს გოლი მატჩში ერთადერთი აღმოჩნდა. „ინტერნასიონალმა" 1:0 მოიგო და სახიფათო ზონას თავი დააღწია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კორინთიანსი | 18 | 12 | 2 | 4 | 42:27 | 38 |
| ვასკუ და გამა | 19 | 10 | 5 | 4 | 31:20 | 35 |
| კრუზეირო | 18 | 10 | 5 | 3 | 36:26 | 35 |
| ვიტორია | 19 | 10 | 3 | 6 | 30:29 | 33 |
| პონტე პრეტა | 18 | 9 | 4 | 5 | 21:14 | 31 |
| ატლეტიკო მინ. | 19 | 9 | 3 | 7 | 37:26 | 30 |
| სან პაულუ | 19 | 9 | 2 | 8 | 33:25 | 29 |
| გუარანი | 18 | 9 | 2 | 7 | 27:21 | 29 |
| ფლამენგო | 19 | 9 | 2 | 8 | 29:29 | 29 |
| ატლეტიკო პარ. | 19 | 8 | 4 | 7 | 32:28 | 28 |
| კურიტიბა | 19 | 7 | 7 | 5 | 28:25 | 28 |
| პალმეირასი | 18 | 7 | 6 | 5 | 30:22 | 27 |
| სანტოსი | 19 | 7 | 5 | 7 | 21:23 | 26 |
| ბოტაფოგო | 19 | 7 | 2 | 10 | 22:31 | 23 |
| გამა | 18 | 6 | 4 | 8 | 22:28 | 22 |
| გრემიო | 19 | 6 | 4 | 9 | 24:38 | 22 |
| პარანა | 18 | 5 | 5 | 8 | 18:22 | 20 |
| ინტერნასიონ. | 19 | 5 | 4 | 10 | 18:27 | 19 |
| ჟუვენტუდე | 19 | 4 | 5 | 9 | 14:30 | 18 |
| პორტუგეზა | 19 | 4 | 5 | 10 | 24:27 | 17 |
| რიბეირაო | 19 | 4 | 5 | 10 | 24:36 | 17 |
| სპორტ რესიფე | 19 | 3 | 7 | 9 | 12:21 | 16 |

## არგენტინა

მე-12 ტური. რივერ პლეიტი — ნიუელს ოლდ ბოიზი 2:0; ესტუდიანტესი — სან ლორენსო 3:2; ლანუსი — რასინგი 2:3; ველეს სარსფილდი — ხიმნასია ლა პლატა 1:1; არგენტინოს ხუნიორსი — ტალერესი 2:4; კოლონი — ინსტიტუტო 1:1; ბელგრანო — ფერო კარილი 1:1; ინდეპენდიენტე — ჩაკარიტა 1:0; როსარიო სენტრალი — ბოკა ხუნიორსი 1:3; ხიმნასია ხუხუი — უნიონი 1:3

სეზონში მეორე, ხოლო კარიერაში ვინ დათვლის, მერამდენე გოლი გაიტანა ხოსე ლუის ჩილავერტმა. თუმცა „ველეს სარსფილდს" მეკარის მიერ ზუსტად შესრულებულმა პენალტმა გამარჯვება ვერ მოუტანა. მეტოქემ „ლა პლატამ" ანგარიშის გათანაბრება შეძლო და მატჩი 1:1 დასრულდა. „ველესი" სატურნირო ცხრილში მეოთხეა.

შეგახსენებთ, ამჟამად არგენტინაში ჩემპიონატის პირველი ეტაპი მიმდინარეობს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 12 | 8 | 3 | 1 | 26:12 | 27 |
| ბოკა ხუნიორსი | 12 | 7 | 3 | 2 | 22:10 | 24 |
| სან ლორენსო | 12 | 7 | 3 | 2 | 22:12 | 24 |
| ველესი | 12 | 6 | 5 | 1 | 16:6 | 23 |
| ტალერესი | 12 | 6 | 3 | 3 | 22:14 | 21 |
| რასინგი | 12 | 5 | 6 | 1 | 15:11 | 21 |
| როსარიო | 11 | 6 | 1 | 4 | 21:14 | 19 |
| ლანუსი | 12 | 5 | 2 | 5 | 16:19 | 17 |
| ჩაკარიტა | 12 | 4 | 4 | 4 | 23:18 | 16 |
| ინდეპენდიენტე | 12 | 3 | 6 | 3 | 11:12 | 15 |
| ლა პლატა | 12 | 2 | 8 | 2 | 15:13 | 14 |
| არგ. ხუნიორსი | 12 | 3 | 5 | 4 | 14:14 | 14 |
| უნიონი | 12 | 4 | 2 | 6 | 12:16 | 14 |
| ესტუდიანტესი | 12 | 4 | 2 | 6 | 16:22 | 14 |
| ბელგრანო | 12 | 3 | 5 | 4 | 14:20 | 14 |
| კოლონი | 12 | 3 | 4 | 5 | 15:19 | 13 |
| ინსტიტუტო | 12 | 2 | 5 | 4 | 12:17 | 11 |
| ოლდ ბოიზი | 12 | 2 | 4 | 6 | 12:16 | [illegible] |
| ხიმნასია ხუხუი | 12 | 1 | 1 | 10 | 9:28 | [illegible] |
| ფერრო კარილი | 12 | 0 | 4 | 8 | 6:26 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოლონეთი

მე-14 ტური. ზაგლებე — ლკს 1:0; ლეხი — გურნიკი 1:1; ამიცა — ვისლა 0:0; ლეგია — რუხი 3:1; ოდრა — პოლონია 3:1; პლოცკი — სტომილი 1:1; ვიძევი — პოგონი 1:2; რაძიონკოვი — გროცლინი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუხი | 14 | 7 | 6 | 1 | 25:11 | 27 |
| ლეგია | 14 | 6 | 7 | 1 | 29:16 | 25 |
| ვისლა | 14 | 7 | 4 | 3 | 25:16 | 25 |
| პოლონია | 14 | 7 | 4 | 3 | 21:17 | 25 |
| ამიცა | 14 | 5 | 7 | 2 | 24:16 | 22 |
| ზაგლებე | 14 | 6 | 4 | 4 | 14:14 | 22 |
| პოგონი | 14 | 5 | 6 | 3 | 19:19 | 21 |
| სტომილი | 14 | 5 | 5 | 4 | 15:20 | 20 |
| პლოცკი | 14 | 5 | 4 | 5 | 18:19 | 19 |
| გურნიკი | 14 | 4 | 6 | 4 | 26:19 | 18 |
| ოდრა | 14 | 4 | 4 | 6 | 16:17 | 16 |
| რაძიონკოვი | 14 | 5 | 3 | 6 | 15:20 | 18 |
| ვიძევი | 14 | 3 | 5 | 6 | 19:24 | 14 |
| ლკს | 14 | 2 | 6 | 6 | 10:15 | 12 |
| ლეხი | 14 | 1 | 5 | 8 | 16:27 | 8 |
| გროცლინი | 14 | 1 | 2 | 11 | 8:28 | 5 |

## შვედეთი

26-ტური ტური. კალმარი — ელფსბორგი 0:1; იორებრო — აიკ 0:2; ჰამარბი — ტრელებორგი 4:0; ნორჩიოპინგი — იურგარდენი 1:1; ჰალმსტადი — იორგრიტე 0:0; მალმიო — ფრიოლუნდა 2:1; გიოტებორგი — ჰელსინგბორგი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰელსინგბორგი | 26 | 17 | 3 | 6 | 44:24 | 54 |
| აიკ | 26 | 16 | 5 | 5 | 42:14 | 53 |
| ჰალმსტადი | 26 | 14 | 6 | 6 | 43:22 | 48 |
| იორგრიტე | 26 | 11 | 10 | 5 | 41:23 | 43 |
| ნორჩიოპინგი | 26 | 11 | 6 | 9 | 41:36 | 39 |
| გიოტებორგი | 26 | 11 | 5 | 10 | 27:33 | 38 |
| ფრიოლუნდა | 26 | 9 | 7 | 10 | 30:33 | 34 |
| ტრელებორგი | 26 | 9 | 6 | 11 | 39:47 | 33 |
| ელფსბორგი | 26 | 9 | 5 | 12 | 41:48 | 32 |
| ჰამარბი | 26 | 8 | 5 | 13 | 32:42 | 29 |
| კალმარი | 26 | 8 | 4 | 14 | 27:41 | 28 |
| იორებრო | 26 | 8 | 3 | 15 | 24:36 | 27 |
| მალმიო | 26 | 7 | 4 | 15 | 30:48 | 25 |
| იურგარდენი | 26 | 5 | 9 | 12 | 27:41 | 24 |

## დანია

მე-15 ტური. ჰერფიოლგე — სილკებორგი 4:1; ესბიერგი — ოდენსე 0:2; ლიუნგბიუ — კოპენჰაგენი 0:4; ვაილე — ვიბორგი 0:2; ბრონდბიუ — აკადემისკი 3:0; ორჰუსი — ოლბორგი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 15 | 9 | 1 | 5 | 29:17 | 28 |
| ჰერფიოლგე | 15 | 8 | 4 | 3 | 25:20 | 28 |
| ოლბორგი | 15 | 7 | 5 | 3 | 27:18 | 26 |
| აკადემისკი | 15 | 7 | 5 | 3 | 24:16 | 26 |
| ლიუნგბიუ | 15 | 7 | 2 | 6 | 25:22 | 23 |
| სილკებორგი | 15 | 6 | 4 | 5 | 27:16 | 22 |
| ვიბორგი | 15 | 6 | 4 | 5 | 20:21 | 22 |
| კოპენჰაგენი | 15 | 6 | 2 | 7 | 16:14 | 20 |
| ოდენსე | 15 | 3 | 7 | 5 | 14:21 | 16 |
| ორჰუსი | 15 | 2 | 6 | 7 | 13:23 | 12 |
| ვაილე | 15 | 1 | 8 | 6 | 14:29 | 11 |
| ესბიერგი | 15 | 3 | 2 | 10 | 11:28 | 11 |

## სლოვენია

მე-12 ტური: მურსკა სობოტა — აიდოვშინა 1:1; დრაგოვგრადი — ველენიე 3:1; ოლიმპია — რუსე 3:1; ნოვა გორიცა — ბელტინჩი 2:0; ცელიე — პრევალიე 2:1; მარიბორი — დომჟალე 3:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 12 | 10 | 2 | 0 | 39:14 | 32 |
| ნოვა გორიცა | 12 | 6 | 3 | 3 | 21:12 | 21 |
| ოლიმპია | 12 | 7 | 0 | 5 | 25:21 | 21 |
| ველენიე | 12 | 6 | 2 | 4 | 17:14 | 20 |
| მურსკა სობოტა | 12 | 5 | 4 | 3 | 18:12 | 19 |
| აიდოვშინა | 12 | 4 | 5 | 3 | 22:18 | 17 |
| დრაგოვგრადი | 12 | 4 | 3 | 5 | 16:20 | 15 |
| ცელიე | 12 | 3 | 6 | 3 | 14:18 | 15 |
| პრევალიე | 12 | 3 | 5 | 4 | 24:19 | 14 |
| დომჟალე | 12 | 4 | 2 | 6 | 19:25 | 14 |
| რუსე | 12 | 1 | 2 | 9 | 7:31 | 5 |
| ბელტინჩი | 12 | 0 | 4 | 8 | 5:23 | 4 |

## ავსტრია

მე-18 ტური. ტიროლი — ზალცბურგი 0:0; შტურმი — ლუსტენაუ 5:1; ბრეგენცი — გრაცერი 0:1; რიდი — აუსტრია 0:0; რაპიდი — ლინცერი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 18 | 12 | 2 | 4 | 31:16 | 38 |
| რაპიდი | 18 | 11 | 3 | 4 | 30:15 | 36 |
| შტურმი | 18 | 9 | 4 | 5 | 31:15 | 31 |
| რიდი | 18 | [illegible] | 4 | 6 | 28:18 | 28 |
| აუსტრია | 18 | 8 | 4 | 6 | 24:21 | 28 |
| ზალცბურგი | 18 | 6 | 6 | 6 | 15:16 | 24 |
| გრაცერი | 18 | 7 | 3 | 8 | 22:24 | 24 |
| ლინცერი | 18 | 5 | 3 | 10 | 20:28 | 18 |
| ლუსტენაუ | 18 | 4 | 2 | 12 | 14:33 | 14 |
| ბრეგენცი | 18 | 3 | 3 | 12 | 11:40 | 12 |

## საბერძნეთი

მე-6 ტური. ოფი — აპოლონი 1:0; პანათინაიკოსი — ირაკლისი 3:0; არისი — კავალა 1:0; პაოკ — პანილიაკოსი 0:1; ქსანტი — პანიონიოსი 5:0; პანაჰაიკი — პრუდეფტიკი 2:0; ეთნიკოსი — კალამატა 2:0; ტრიკალა — იონიკოსი 2:2; აეკ — ოლიმპიაკოსი 15 ნოემბერს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 6 | 5 | 1 | 0 | 15:3 | 16 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 5 | 0 | 0 | 17:1 | 15 |
| არისი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:4 | 14 |
| ოფი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:8 | 13 |
| პანილიაკოსი | 6 | 3 | 2 | 1 | 6:3 | 11 |
| აეკ | 5 | 3 | 1 | 1 | 12:9 | 10 |
| ქსანტი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:2 | 9 |
| იონიკოსი | 6 | 2 | 3 | 1 | 6:5 | 9 |
| ირაკლისი | 6 | 3 | 0 | 3 | 11:11 | 9 |
| ეთნიკოსი | 6 | 3 | 0 | 3 | 7:8 | 9 |
| პაოკ | 6 | 2 | 2 | 2 | 12:11 | 8 |
| პანაჰაიკი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 8 |
| კავალა | 6 | 1 | 1 | 4 | 3:10 | 4 |
| კალამატა | 6 | 0 | 3 | 3 | 3:12 | 3 |
| პანიონიოსი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:21 | 3 |
| აპოლონი | 6 | 0 | 2 | 4 | 3:7 | 2 |
| ტრიკალა | 6 | 0 | 2 | 4 | 6:14 | 2 |
| პრუდეფტიკი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:12 | 1 |

## პორტუგალია

IX ტური

**ამადორა 3:0 სეტუბალი**

1:0, 2:0 გაუჩო (5, 17), 3:0 ლაზარო ოლივეირა (64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 9 | 6 | 2 | 1 | 15:5 | 20 |
| პორტუ | 9 | 5 | 4 | 0 | 16:5 | 19 |
| მარიტიმუ | 9 | 5 | 2 | 2 | 14:7 | 17 |
| ბელენენსეში | 9 | 4 | 3 | 2 | 12:7 | 15 |
| გიმარაეში | 9 | 4 | 3 | 2 | 14:10 | 15 |
| სპორტინგი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:10 | 15 |
| ბოავიშტა | 9 | 4 | 3 | 2 | 8:7 | 15 |
| ჟილ ვისენტე | 9 | 4 | 2 | 3 | 12:8 | 14 |
| ალვერკა | 9 | 4 | 2 | 3 | 11:12 | 14 |
| ამადორა | 9 | 2 | 5 | 2 | 10:11 | 11 |
| სანტა კლარა | 9 | 2 | 4 | 3 | 13:14 | 10 |
| სალგეირუში | 9 | 3 | 1 | 5 | 8:11 | 10 |
| რიუ ავე | 9 | 2 | 4 | 3 | 11:16 | 10 |
| კამპომაიორენსე | 9 | 3 | 1 | 5 | 9:15 | 10 |
| ფარენსე | 9 | 1 | 4 | 4 | 6:15 | 7 |
| ლეირია | 9 | 1 | 3 | 5 | 8:12 | 6 |
| სეტუბალი | 9 | 1 | 3 | 5 | 10:17 | 6 |
| ბრაგა | 9 | 1 | 1 | 7 | 9:18 | 4 |

## გერმანია

II ბუნდესლიგა. X ტური

**გლადბახი 0:1 ბოხუმი**

0:1 ბასტურკი (37)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტბუსი | 10 | 7 | 0 | 3 | 21:9 | 21 |
| კიოლნი | 10 | 6 | 3 | 1 | 17:7 | 21 |
| ბერლინი | 10 | 5 | 3 | 2 | 20:14 | 18 |
| ალემანია | 10 | 5 | 3 | 2 | 20:19 | 18 |
| ქემნიცი | 10 | 5 | 2 | 3 | 16:13 | 17 |
| ნიურნბერგი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:15 | 17 |
| ფიურტი | 10 | 4 | 4 | 2 | 9:7 | 16 |
| ჰანოვერი | 10 | 4 | 2 | 4 | 16:13 | 14 |
| მაინცი | 10 | 3 | 5 | 2 | 13:13 | 14 |
| ვალდჰოფი | 10 | 3 | 3 | 4 | 15:17 | 12 |
| კიკერსი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:18 | 12 |
| ბოხუმი | 10 | 3 | 2 | 5 | 16:19 | 11 |
| ფორტუნა | 10 | 3 | 2 | 5 | 10:15 | 11 |
| კარლსრუე | 10 | 2 | 4 | 4 | 17:18 | 10 |
| გლადბახი | 10 | 3 | 1 | 6 | 12:16 | 10 |
| ობერჰაუზენი | 10 | 2 | 3 | 5 | 10:15 | 9 |
| ზტ. პაული | 10 | 1 | 5 | 4 | 9:14 | 8 |
| ოფენბახი | 10 | 1 | 3 | 6 | 6:15 | 6 |

## იტალია

სერია B. IX ტური

**პესკარა 1:2 ბრეშა**

0:1 ბონაცოლი (2), 1:1 ჯაკობო (52), 1:2 კარბონე (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრეშა | 9 | 6 | 3 | 0 | 15:4 | 21 |
| ატალანტა | 9 | 6 | 1 | 2 | 15:8 | 19 |
| ვიჩენცა | 9 | 5 | 1 | 3 | 17:8 | 16 |
| სამპდორია | 9 | 4 | 4 | 1 | 9:6 | 16 |
| ალძანო | 9 | 4 | 2 | 3 | 13:12 | 14 |
| პესკარა | 9 | 3 | 4 | 2 | 14:13 | 13 |
| ნაპოლი | 9 | 3 | 4 | 2 | 14:13 | 13 |
| ტერნანა | 9 | 3 | 4 | 2 | 10:12 | 13 |
| ტრევიზო | 9 | 3 | 3 | 3 | 15:11 | 12 |
| რავენა | 9 | 2 | 5 | 2 | 10:8 | 11 |
| ჩეზენა | 9 | 2 | 5 | 2 | 9:8 | 11 |
| ემპოლი | 9 | 3 | 2 | 4 | 5:12 | 11 |
| კიევო | 9 | 3 | 1 | 5 | 11:12 | 10 |
| მონცა | 9 | 2 | 4 | 3 | 8:10 | 10 |
| კოზენცა | 9 | 2 | 4 | 3 | 7:9 | 10 |
| სავოია | 9 | 2 | 4 | 3 | 9:13 | 10 |
| პისტოიეზე | 9 | 3 | 1 | 5 | 7:12 | 6 |
| ჯენოა | 9 | 2 | 2 | 5 | 9:10 | 8 |
| სალერნიტანა | 9 | 1 | 4 | 4 | 9:16 | 7 |
| ფერმანა | 9 | 1 | 2 | 6 | 8:17 | 5 |

## თურქეთი

მე-8 ტური. გალათასარაი — გიოზთეფე 2:0; ანკარაგიუჯიუ — ერზურუმი 1:0; ადანა — ფენერბაჰჩე 1:3; ისთანბული — დენიზლი 1:1; ალთაი — ვანი 2:0; გაზიანთეფი — ბეშიქთაში 0:0; სამსუნი — ქოჯაელი 5:1; ანთალია — ბურსა 1:1; ტრაბზონი — გენჩლერბირლიგი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 8 | 6 | 1 | 1 | 17:6 | 19 |
| გაზიანთეფი | 8 | 5 | 2 | 1 | 13:4 | 17 |
| დენიზლი | 8 | 5 | 2 | 1 | 14:8 | 17 |
| ბეშიქთაში | 8 | 4 | 3 | 1 | 17:4 | 15 |
| ფენერბაჰჩე | 8 | 4 | 3 | 1 | 15:9 | 15 |
| ანთალია | 8 | 4 | 2 | 2 | 10:9 | 14 |
| ტრაბზონი | 8 | 4 | 1 | 3 | 12:8 | 13 |
| ალთაი | 8 | 3 | 3 | 2 | 13:8 | 12 |
| გენჩლერბირ. | 8 | 3 | 2 | 3 | 8:11 | 11 |
| სამსუნი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:12 | 10 |
| გიოზთეფე | 8 | 2 | 3 | 3 | 6:7 | 9 |
| ისთანბული | 8 | 2 | 2 | 4 | 6:12 | 8 |
| ერზურუმი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:15 | 8 |
| ადანა | 8 | 1 | 3 | 4 | 10:14 | 6 |
| ბურსა | 8 | 1 | 3 | 4 | 6:11 | 6 |
| ქოჯაელი | 8 | 1 | 3 | 4 | 10:18 | 6 |
| ვანი | 8 | 1 | 2 | 5 | 8:15 | 5 |
| ანკარაგიუჯიუ | 8 | 1 | 2 | 5 | 5:16 | 5 |

## ისრაელი

მე-9 ტური: აშდოდი — ჰაპოელი (თელ ავივი) 1:2; მაკაბი (ჰერცლია) — ჰაპოელი (ქვარ სავა) 0:2; მაკაბი (ფეთაჰ თიკვა) — ჰაპოელი (იერუსალიმი) 0:2; მაკაბი (ნათანია) — მაკაბი (ჰაიფა) 1:3; მაკაბი (თელ ავივი) — ბნეი იეჰუდა 3:1; ჰაპოელი (ჰაიფა) — ჰაპოელი (ფეთაჰ თიკვა) 2:2; ბეითარი — ირონი 2:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაპოელი (თ-ა) | 9 | 7 | 1 | 1 | 23:5 | 22 |
| მაკაბი (ჰ) | 9 | 7 | 1 | 1 | 27:10 | 22 |
| ჰაპოელი (ფ-თ) | 9 | 6 | 1 | 2 | 13:11 | 19 |
| ჰაპოელი (ჰ) | 9 | 4 | 5 | 0 | 12:4 | 17 |
| ბეითარი | 9 | 4 | 3 | 2 | 13:10 | 15 |
| მაკაბი (ფ-თ) | 9 | 4 | 0 | 5 | 11:16 | 12 |
| მაკაბი (თ-ა) | 9 | 4 | 2 | 3 | 13:6 | 10 |
| აშდოდი | 9 | 2 | 4 | 3 | 11:10 | 10 |
| ჰაპოელი (ი) | 9 | 3 | 1 | 5 | 9:14 | 10 |
| მაკაბი (ჰერც.) | 9 | 2 | 3 | 4 | 11:14 | 9 |
| ბნეი იეჰუდა | 9 | 2 | 3 | 4 | 9:16 | 9 |
| ირონი | 9 | 1 | 4 | 4 | 7:15 | 7 |
| ჰაპოელი (ქ-ს) | 9 | 1 | 2 | 6 | 7:18 | 5 |
| მაკაბი (ნ) | 9 | 0 | 2 | 7 | 7:24 | 2 |

## ესპანეთი

II დივიზიონი. XII ტური

**ატლეტიკო B 1:2 ხეტაფე**

0:1 პოპოვიჩი (75), 0:2 ალაინი (78), 1:2 პეპე დომინგუ (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლას პალმასი | 12 | 8 | 1 | 3 | 23:10 | 25 |
| სალამანკა | 12 | 7 | 4 | 1 | 18:10 | 25 |
| ესტრემადურა | 12 | 7 | 3 | 2 | 14:11 | 24 |
| ალბასეტე | 12 | 6 | 3 | 3 | 12:10 | 21 |
| სპორტინგი | 12 | 6 | 1 | 5 | 19:16 | 19 |
| ლევანტე | 12 | 5 | 4 | 3 | 19:19 | 19 |
| ტენერიფე | 12 | 5 | 3 | 4 | 18:14 | 18 |
| ლეიდა | 12 | 5 | 2 | 5 | 19:16 | 17 |
| ეიბარი | 12 | 4 | 5 | 3 | 18:15 | 17 |
| მერიდა | 12 | 4 | 5 | 3 | 13:10 | 17 |
| ბადახოსი | 12 | 3 | 8 | 1 | 11:9 | 17 |
| ვილიარეალი | 12 | 4 | 4 | 4 | 17:14 | 16 |
| ოსასუნა | 12 | 5 | 1 | 6 | 13:13 | 16 |
| კომპოსტელა | 12 | 4 | 3 | 5 | 16:17 | 15 |
| ელჩე | 12 | 3 | 5 | 4 | 14:15 | 14 |
| კორდობა | 12 | 3 | 4 | 5 | 12:14 | 13 |
| ხეტაფე | 12 | 3 | 4 | 5 | 10:14 | 13 |
| ლოგრონიესი | 12 | 2 | 6 | 4 | 17:18 | 12 |
| უელვა | 12 | 3 | 3 | 6 | 9:18 | 12 |
| ატლეტიკო B | 12 | 2 | 3 | 7 | 11:19 | 9 |
| ტოლედო | 12 | 2 | 3 | 7 | 8:17 | 9 |
| ლეგანესი | 12 | 1 | 5 | 6 | 8:20 | 8 |

## ლატვია

27-ე ტური. სკონტო — მეტალურგსი 3:0; დინაბურგი — ვენტსპილსი 0:2; ვალმიერა — რეზეკნე 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკონტო | 26 | 21 | 0 | 5 | 81:15 | 63 |
| მეტალურგსი | 27 | 19 | 3 | 5 | 72:23 | 60 |
| ვენტსპილსი | 26 | 18 | 2 | 6 | 62:23 | 56 |
| დინაბურგი | 27 | 12 | 5 | 10 | 32:32 | 41 |
| ვალმიერა | 27 | 9 | 5 | 13 | 32:42 | 32 |
| რიგა | 27 | 9 | 4 | 14 | 33:41 | 31 |
| პოლიციასი | 27 | 5 | 5 | 17 | 25:88 | 20 |
| რეზეკნე | 27 | 1 | 2 | 24 | 12:85 | 5 |

## ნორვეგია

თასის ფინალი

**რუსენბორგი 2:0 ბრანი**

1:0, 2:0 სორენსენი (50, 55)

## ფინეთი

თასის ფინალი

**იოკერიტი 2:1 იარო**

0:1 ვიდიესკოგი (45), 1:1, 2:1 სუმიალა (67, 70)




ლივერპულელმა ტიტი კამარამ (მარჯვნივ) ამ დარტყმით ანგარიში გაათანაბრა

## ინგლისი

XIII ტური

**ლივერპული 3:1 ბრედფორდი**

0:1 უინდასი (12), 1:1 კამარა (21), 2:1 რედნაპი (42პ), 3:1 ჰეგემი (80)

ლივერპული: ვესტერველდი, სტონტონი, ენჩოსი, ჰიიპია, სონგი, შმიცერი (მეიერი 82), რედნაპი (კარაგერი 72), ჰამანი, ბერგერი, ტომპსონი (ჰეგემი 77), კამარა

ბრედფორდი: კლარკი, ვეზეროლი, ჰალე (ლოურენსი 68), ობრაიენი, შარპი, უინდასი, მაკკოლი, რედფერნი (რანკინი 78), სონდერსი, მილსი, ბლეიქი

გაფრთხილება: კარაგერი, რედფერნი, ვეზეროლი, უინდასი

მსაჯი: ვინტერი

ინგლისის პრემიერლიგაში ორშაბათს გამართულ მატჩში „ლივერპულმა“ შინ, „ენფილდ როუდზე“ 3:1 დაამარცხა ერთ-ერთი აუტსაიდერი „ბრედფორდი“ და სატურნირო ცხრილში მეათედან მეექვსე პოზიციაზე გადაინაცვლა. თუმცა მატჩის დასაწყისმა „ლივერპულის“ გულშემატკივრები გააოგნა — მე-12 წუთზე ბრედფორდელმა ლი მილსმა მეტოქის საჯარიმოში ზუსტი პასით თანაგუნდელი დინ უინდასი მოძებნა, ამ უკანასკნელმაც „ლივერპულის“ ჰოლანდიელ მეკარე სანდერ ვესტერველდს შანსი არ დაუტოვა და თავისი გუნდი 0:1 დააწინაურა. ორიოდე წუთის შემდეგ ბრედფორდს“ სულაც ორი ბურთით წინ გასვლა შეეძლო, მაგრამ ნილ რედფერნის თავური კარს სულ ცოტათი ასცდა. ამან „ლივერპული“ გამოაფხიზლა და 21-ე წუთზე ტიტი კამარამ ანგარიშში წონასწორობა აღადგინა, მას შემდეგ, რაც ირლანდიელი სტივ სტონტონისაგან ზუსტი პასი მიიღო. ბუნებრივია, ამას მასპინძელთა გუნდის ზეწოლა მოჰყვა. 42-ე წუთზე „ლივერპულის“ ჩეხი ლეგიონერი პატრიკ ბერგერი ბრედფორდელმა დევიდ ვეზეროლმა საკუთარ საჯარიმოში უკანონო ხერხით შეაჩერა, მსაჯმაც უყოყმანოდ მიუთითა თერთმეტმეტრიანი ნიშნულისაკენ. ჯეიმი რედნაპმა ზუსტად შეასრულა პენალტი და ტაიმიც 2:1 დასრულდა. მატჩის მე-80 წუთზე კი „ლივერპულის“ ნორვეგიელმა ლეგიონერმა ვეგარდ ჰეგემმა გაიბრწყინა, რომელმაც მშვენიერი სოლო რეიდი განახორციელა და თავისიანებს ორბურთიანი უპირატესობა მოუპოვა. მომდევნო 10 წუთში ანგარიში აღარ შეცვლილა და მასპინძლებმა სრულიად დამსახურებული 3 ქულა მიითვალეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიდსი | 13 | 9 | 2 | 2 | 26:16 | 29 |
| მანჩესტერი | 13 | 8 | 3 | 2 | 31:19 | 27 |
| სანდერლენდი | 13 | 8 | 3 | 2 | 23:11 | 27 |
| არსენალი | 13 | 8 | 2 | 3 | 20:12 | 26 |
| ლესტერი | 13 | 7 | 2 | 4 | 23:17 | 23 |
| ლივერპული | 13 | 6 | 3 | 4 | 16:12 | 21 |
| მიდლსბრო | 13 | 7 | 0 | 6 | 18:17 | 21 |
| ტოტენჰემი | 12 | 6 | 2 | 4 | 21:17 | 20 |
| ჩელსი | 11 | 6 | 1 | 4 | 18:10 | 19 |
| ევერტონი | 13 | 5 | 3 | 5 | 22:20 | 18 |
| ასტონ ვილა | 13 | 5 | 3 | 5 | 13:15 | 18 |
| ვესტ ჰემი | 12 | 5 | 2 | 5 | 12:11 | 17 |
| ქოვენთრი | 13 | 4 | 4 | 5 | 20:15 | 16 |
| საუთჰემპტონი | 12 | 3 | 4 | 5 | 19:23 | 13 |
| უიმბლდონი | 13 | 2 | 7 | 4 | 19:27 | 13 |
| დერბი ქაუნთი | 13 | 3 | 3 | 7 | 13:22 | 12 |
| ნიუკასლი | 13 | 3 | 2 | 8 | 23:27 | 11 |
| ბრედფორდი | 12 | 3 | 2 | 7 | 10:20 | 11 |
| უოტფორდი | 13 | 3 | 0 | 10 | 8:22 | 9 |
| უენსდი | 13 | 1 | 2 | 10 | 8:30 | 5 |

# სისხლიანი დერბი

ბელგრადში იუგოსლავიის ჩემპიონატის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გაიმართა. დედაქალაქურ დერბიში ძველი მეტოქეები — „პარტიზანი“ და „ცრვენა ზვეზდა“ დაუპირისპირდნენ. თუმცა მთავარი მოვლენები ტრიბუნებზე განვითარდა. მე-15 წუთზე „პარტიზანმა“ პირველი გოლი შეაგდო, რასაც მავანი გულშემატკივრის მხრიდან მაშხალის გასროლა მოჰყვა. შედეგი საბედისწერო აღმოჩნდა. „ცრვენა ზვეზდას“ 17 წლის ქომაგი ალექსანდრ პოპოვიჩი გულმკერდის არეში დაიჭრა. შემთხვევის ადგილას დაუყოვნებლივ გაჩნდნენ ექიმები და დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს. ყოველგვარი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, ახალგაზრდა დაიღუპა.

ამის მერე ტრიბუნებზე ნამდვილი ომი გაჩაღდა. „ცრვენა ზვეზდას“ გააფთრებულმა გულშემატკივრებმა 4 ათასზე მეტი სკამი მოგლიჯეს და საბრძოლო იარაღად გამოიყენეს. რომ არა პოლიციის ჩარევა, სტადიონი სასაფლაოს დაემსგავსებოდა. სამართალდამცავებმა ძირითადი დარტყმა თავის თავზე მიიღეს. არეულობები ბელგრადის ქუჩებში გაგრძელდა. 146 კაცი დააპატიმრეს. პოლიციას იმედი აქვს, რომ პოპოვიჩის სიკვდილში ბრალდებულის ვინაობას დაადგენს.

საოცარია, მაგრამ თამაში არ ჩაშლილა. „პარტიზანმა“ 2:0 მოიგო. თუმცა მატჩის პერიპეტიები უცნობია. ამისთვის არავის ეცალა.

ამ გამარჯვებით ამჟამად მეორე ადგილზე მყოფმა „პარტიზანმა“ 28 ქულა მოაგროვა და ჩემპიონატის მოგებაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა.

ლიდერი „ობილიჩი“ სამი ქულით უსწრებს „პარტიზანს“, თუმცა ერთი თამაშით მეტი აქვს ჩატარებული. ამ ტურში „ობილიჩმა“ სტუმრად 2:0 მოუგო „ჰაიდუკს“. „ცრვენა ზვეზდა“ 22 ქულით მესამეა.

# კრახი სატრანსფერო პოლიტიკაში

## როგორ ემზადებოდა ოლეგ რომანცევი ჩემპიონთა ლიგისთვის

რატომ ვერ გავიდა რუსეთის „სახალხო გუნდად“ მონათლული მოსკოვის „სპარტაკი“ ჩემპიონთა ლიგის G ჯგუფიდან? მიზეზი მარტივია — „ბორდო“ და „სპარტა“ ამ ეტაპზე მოსკოველებზე უკეთესი კლუბები არიან. თუმცა არის კიდევ რამდენიმე ფაქტორი, რამაც წარუმატებლობა განაპირობა.

...ლიგაში თამაშის გამოუცდელობა? — არა, „სპარტაკი“ ხომ უკვე ზედიზედ მერამდენე წელია, ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს. ამავე დროს, არც საერთაშორისო თამაშების გამოცდილება აკლია.

...G ჯგუფის სიძლიერე? — არც ეს არის სარწმუნო არგუმენტი. ყველამ იხილა, როგორ ჯგუფშიც მოახვედრა ვიაჩესლავ კოლოსკოვისა და ეგიდიუს ბრაუნის ხელებმა თუ განგებამ „სპარტაკი“. მაშინ ფრანგულ „ბორდოს“, ჩეხურ „სპარტას“ და მით უმეტეს, ჰოლანდიურ „ტილბურგს“ სათვალავში არ აგდებდნენ. არა, სათვალავში როგორ არ აგდებდნენ, მაგრამ ამათგან ერთ-ერთის შანსები საკმაოდ მცირე გახლდათ. თანაბარძალიანი გუნდების ჯგუფი კია, მაგრამ უპირატესობა მაინც „სპარტაკს“ აქვს, მოსკოველები ჯგუფიდან აუცილებლად გავლენო — ამბობდნენ მავანნი.

...აღდგომა და ხვალეო, ოქტომბერიც გაილია და „სპარტაკი“ ჯგუფში ჩარჩა. და მაინც, რა არის მიზეზი იმისა, რომ „სპარტაკი“, როგორც რუსები თვლიდნენ, „იოლი“ ჯგუფიდან ვერ გავიდა? თუ ჩვენი რუსი კოლეგების ნათქვამს ვერწმუნებით, ყველაფრის თავიდათავი რუსული კლუბის არასწორი სატრანსფერო პოლიტიკაა. სრული კრახი — აღნიშნავენ იქაური ჟურნალისტები. თუმცა, მოდით, მივყვეთ თანმიმდევრობით, რა და როგორ იყო, როგორ ემზადებოდა ოლეგ რომანცევი ჩემპიონთა ლიგისთვის.

### 12 დეკემბერი, 1998 წელი

ევროპული საფეხბურთო სუპერლიგის შექმნის ინიციატორის, იტალიური კომპანია „მედია პარტნერზისგან“ შევიწროებულმა უეფას ბოსებმა მიიღეს ისტორიული გადაწყვეტილება ჩემპიონთა ლიგის ფორმატის გაზრდის თაობაზე. ორმაგად იმატა ტურნირის საპრიზო ფონდმაც. ფეხბურთი გაცილებით მომგებიან ბიზნესად იქცა.

უეფამ აგრეთვე შეცვალა ტურნირის ჩატარების გრაფიკი. კლუბებს, რომელთაც ლიგაში მაღალი მიზნები აქვთ, საკმაოდ გადატვირთული კალენდრის გამო ორი სრულფასოვანი გუნდი უნდა ჰყავდეთ, უმაღლეს დონეზე თამაში რომ შეძლონ. აქედან გამომდინარე, რადგან მოსკოვის „სპარტაკმა“ უკვე მოიპოვა რუსეთის ჩემპიონობა, კლუბის დასაკომპლექტებლად წინ მთელი 8 თვე აქვს. ამით „სპარტაკს“ გარკვეული უპირატესობა გააჩნია დასავლეთ ევროპის გუნდებისგან განსხვავებით, სადაც ეროვნული ჩემპიონატები, რომ იტყვიან, გახურებულია.

### იანვარი, 1999 წელი

ცნობილია, რომ „სპარტაკი“ რუსეთის ნაკრების საბაზო გუნდია. ეს ბუნებრივი პროცესია. კლუბის ხელმძღვანელებმაც თხოვნით მიმართეს რუსეთის საფეხბურთო კავშირს, ჩემპიონატის მეორე წრის ოთხი კალენდარული შეხვედრა, რომლებიც შემოდგომაზე უნდა გაიმართოს, გაზაფხულ-ზაფხულისთვის გადმოგვიტანეთ, რათა ლიგისთვის მზადებაში ხელი არ შეგვეშალოსო. რუსეთის საფეხბურთო კავშირმაც დააკმაყოფილა „სპარტაკისა“ და რუსეთის ნაკრების მწვრთნელის, ოლეგ რომანცევის თხოვნა. აქედან გამომდინარე, „სპარტაკს“ საშემოდგომო გრაფიკი გამოუთავისუფლდა და ახლა ჩემპიონთა ლიგაში მომავალ მეტოქეებთან შედარებით უპირატესობა აქვს. ისიც სათქმელია, რომ არც ერთი დასავლეთევროპული ლიგა არ მიიღებდა ასეთ დისკრიმინაციულ გადაწყვეტილებას სხვა გუნდების წინააღმდეგ.

### იანვარი — მარტი

ოთხთვიანი ძიების შემდეგ ოლეგ რომანცევმა ჩემპიონთა ლიგისთვის „სპარტაკის“ გასაძლიერებლად შემდეგი ფეხბურთელები მიიწვია: ფორვარდი სერგეი იურანი, რომელსაც, ფაქტობრივად, ერთი წელია, არ უთამაშია, მოსკოვის „დინამოდან“ თავდამსხმელ ნიკოლაი პისარევში გაცვლილი იური კოვტუნი, „ტორპედოდან“ მობრუნებული ვადიმ ევსეევი, ბრაზილიელი პენიჩე, კიევის „დინამოს“ მეორე გუნდიდან მოყვანილი მცველი ადრიან სონნოვსკი და ვიქტორ ბულატოვი, რომელშიც კლუბმა მოსკოვის „ტორპედოს“ 700 ათასი დოლარი გადაუხადა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელიდან ბულატოვი აღმოჩნდა ერთადერთი, რომელიც „სპარტაკს“ სალიგოდ გამოადგა. იურანის ბედი ცნობილია, იგი გუნდიდან გააგდეს. ბრაზილიელმა პენიჩემ მხოლოდ



20 ოქტომბერი, 1999 წელი. „სპარტაკი“ — „ბორდო“ 1:2. ანდრეი ტიხონოვმა (მარცხნივ) და მისმა თანაგუნდელებმა ლიგის შემდგომ ეტაპზე გასვლა ფრანგებთან მატჩისას ეჭვქვეშ დააყენეს

2 მატჩი ჩაატარა რუსეთის ჩემპიონატში და ისიც შეცვლაზე შედიოდა. სონნოვსკი „სატურნს“ მიათხოვეს. იური კოვტუნი, მართალია, მოხვდა „სპარტაკის“ ძირითადში, მაგრამ უმაღლეს დონეზე სათამაშოდ არც ფსიქოლოგიურად აღმოჩნდა მზად და საამისო გამოცდილებაც აკლდა. შედეგი — ჩემპიონთა ლიგის 5 მატჩში ორჯერ გააძევეს.

რომანცევის ჩანაფიქრმა მარჯვენა ნახევარმცველად ბარანოვისა და კეჩინოვის ნაცვლად ვადიმ ევსეევი გაემწესებინა, შედეგი მაშინლა გამოილო, როდესაც უკვე ყველაფერი დაკარგული იყო.

### ივლისი

„სპარტაკი“ კიდევ ერთ ფეხბურთელს ანათხოვრებს — თავდამსხმელი მაქსიმ ბუზნიკინი რამენსკოეს „სატურნში“ გადადის. რომანცევის განკარგულებაში სამი ნომინალური ფორვარდია: იურანი, შირკო და ბრაზილიელი რობსონი. „სპარტაკი“ ბულგარელი თავდამსხმელით, გეორგი ბაჩევითაც დაინტერესდა, მაგრამ გლაზგოს „სელტიკთან“ ფაქტობრივად მოკვარახჭინებული საქმე ბოლოს ჩაიშალა, რადგან „სელტიკმა“ რუსებს ბაჩევში მილიონნახევარი დოლარი მოსთხოვა. ბულგარელი კი „სპარტაკის“ მეორე მწვრთნელს, ვიაჩესლავ გროზნის მოსწონებია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი სოფიის „ლევსკიში“ მუშაობდა.

### 2 აგვისტო

ვიაჩესლავ გროზნი ამტკიცებს: „ჩვენ დავითანხმეთ „სელტიკი“ და მას ბაჩევში მხოლოდ მილიონ ამერიკულ დოლარს გადავუხდით. გეორგი ბაჩევი სწორედ ის ფორვარდია, რომელიც ახლა „სპარტაკს“ უთუოდ გამოადგება“. „სპარტაკიც“ ელოდა ბულგარელს, მაგრამ იგი შერემეტიევოს აეროპორტში არავის უნახავს.

### 4 აგვისტო

„სპარტაკი“ ბაჩევას თარგზე ოფიციალური განცხადებას აკეთებს და „სელტიკში“ გადასვლამდე მის ყოფილ კლუბს, სოფიის „სლავიას“ არასწორ სატრანსფერო პოლიტიკაში ადანაშაულებს. მოსკოველთა ჩემპიონთა ლიგის განაცხადში ვაკანტური ადგილი დარჩა.

### 7 აგვისტო

გუნდიდან სერგეი იურანს უშვებენ. „გადავწყვიტეთ, მას კეთილად დავშორდეთ. მიზეზი მარტივია, იურანი გუნდის სათამაშო სქემას ვერ მოერგო“ — ასეთია რომანცევის კომენტარი. „რუსეთში აღარასოდეს ვითამაშებ“ — პასუხს არც იურანი აყოვნებს. სალიგო განაცხადის შესავსებად „სპარტაკმა“ ჩვენებური მიხეილ ფოცხვერია შეიგულა, თუმცა დონეცკის „შახტართან“ მოლაპარაკება ჩაიშალა. ბოლოს არჩევანი ანატოლი კანიშჩევზე შეჩერდა, რომელიც „სპარტაკში“ მანამდეც ირიცხებოდა. ვლადიკავკაზის „ალანიაში“ მაშინ მობრუნებული კანიშჩევი ვალერი გაზაევმა კლუბიდან გაუშვა. ამრიგად, „სპარტაკის“ ჩემპიონთა ლიგის განაცხადში სამი ფორვარდის გვარია: რობსონი, შირკო და კანიშჩევი.

### 5 ოქტომბერი

ანატოლი კანიშჩევი კლუბის ხელმძღვანელობამ ტრანსფერზე დააყენა. ფეხბურთელმა მხოლოდ ერთხელ ითამაშა ცსკა-სთან, ისიც 8 წუთი.

### 10 ოქტომბერი

გუნდიდან ილია ციმბალარს უშვებენ. მას ღამის კლუბების ხშირ სტუმრობას აბრალებენ და კიდევ იმას, რუსეთის მეორე ნაკრებში გერმანიასთან მატჩისთვის გამოძახებულ ვოლგოგრადელ ბერკეტოვს ჩხუბი აუტეხაო. რომანცევმაც დაითხოვა.

### 20 ოქტომბერი

„სპარტაკი“ — „ბორდო“, ჩემპიონთა ლიგის მატჩი. გუნდის განაცხადში სათადარიგოთა შორის მხოლოდ ორია ისეთი, თავის ჯერს რომ ელოდა — ესენი კეჩინოვი და ევსეევი არიან. დანარჩენი ოთხი — ანანკო, მორი, ზლიდნევი და მილიოშინი, ფაქტობრივად, ტყუილად ხურდებიან. ადვილი როდია ძირითადში დამკვიდრება მაშინ, როცა რამდენიმე თვეა, უმაღლეს დონეზე არ გითამაშია.

### 26 ოქტომბერი

ისევ ლიგის მატჩი, „სპარტაკი“ — „ტილბურგი“. „სახალხო გუნდმა“ ჩემპიონთა ლიგის შემდგომ ეტაპზე მოხვედრის დარჩენილი პრაქტიკული შანსიც ქარს გაატანა — უსუსურ ჰოლანდიურ „ტილბურგთან“, რომელსაც მანამდე ქულაც არ აელო, მხოლოდ 1:1 ითამაშა. ამით ყველაფერია ნათქვამი. ლოგიკური დასასრული რომანცევის სალიგო მზადებისა და კრახი სატრანსფერო პოლიტიკისა.

**გიორგი ვაშაკიძე**

# შმაიხელი მკურნალობს და იგონებს



პიტერ შმაიხელი

დაშავებული დანიელი მეკარე პიტერ შმაიხელი, რომლის წინააღმდეგობრივი ავტობიოგრაფიაც ამ კვირაში უნდა გამოიცეს, ამბობს, რომ ევრო 2000-ის პლეი ოფში ისრაელის ნაკრებთან სათამაშოდ მზად იქნება.

„საამისოდ მცირე კი არა, დიდი იმედი მაქვს“ — თქვა შმაიხელმა, რომელსაც დანიის ნაკრების ექიმი მოგენს კროიცფილდი პარასკევს დაშავებულ მარჯვენა ფეხის კუნთს ყოველდღიურად მკურნალობს.

„ოპტიმისტურად გახლავართ განწყობილი. იმედი მაქვს, რომ შმაიხელს პლეი ოფის ორივე შეხვედრაში ვათამაშებთ“ — განაცხადა კროიცფელდტმა.

პირველი შეხვედრა 13 ნოემბერს თელ ავივში გაიმართება. საპასუხო კი ოთხი დღის შემდეგ კოპენჰაგენშია დანიშნული. მოგეხსენებათ, პლეი ოფში გამარჯვებული გუნდი გაისად ზაფხულზე ჰოლანდია — ბელგიაში ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე სათამაშოდ გაიმართება.

„შმაიხელი. ავტობიოგრაფია“ — ასე ჰქვია 36 წლის დანიელის 230-გვერდიან წიგნს, რომლის შესახებაც საგანგებო პრესკონფერენციაზე ისაუბრეს. იქვე შმაიხელმა სხვა კითხვებსაც გასცა პასუხი, კერძოდ კი აღნიშნა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ ლისაბონის „სპორტინგში“ გადასვლას არ ნანობს.

„პირიქით, ძალიან ბედნიერი გახლავართ“ — თქვა მან — „ბედნიერი ვარ, რომ ინგლისში აღარ ვარ და ყოველ შაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს თამაში არ მიწევს“.

გოლკიპერმა იქვე დასძინა, რომ თავის მანჩესტერელ მეგობრებთან კონტრაქტი არ გაუწყვეტია. მათ ხშირად ესაუბრება და გუნდის წარმატება-წარუმატებლობასაც აკვირდება და განიცდის. მისი თქმით, პორტუგალიაში გაცილებით მოსვენებული ცხოვრებაა და კლიმატიც გაცილებით სასიამოვნო გახლავთ.

„ინგლისში რომ დავრჩენილიყავი, ვიცი, ახლა რა გუნებაზეც ვიქნებოდი. ეჭვი არ მეპარება, რომ გადაღლილს ლოგინიდან წამოდგომის თავიც არ მექნებოდა. ჩემთვის ნაცნობია გადაძაბვა, რომელსაც რვა წლის განმავლობაში განვიცდიდი“.

წიგნის თანაავტორი შმაიხელის თანამემამულე ჟურნალისტი ეგონ ბალსბი გახლავთ. ნაშრომში ავტორები აღწერენ გოლკიპერის ერთობ წინააღმდეგობრივ და პერიოდულად არცთუ ტკბილ ცხოვრებას „ოლდ ტრეფორდზე“. მაგრამ ჯამში პიტერს მანჩესტერთან მაინც კეთილი მოგონებები აკავშირებს.

1996 წლის ინციდენტს, რომელიც „არსენალის“ ფორვარდთან იან რაიტთან არის დაკავშირებული, შმაიხელი ცალკე თავს უძღვნის. გეხსომებათ, მაშინ რაიტმა დანიელს ბრალად რასისტული შეურაცხყოფა დასდო.

„მომხდარი რაიტის ბრალი არ გახლდათ“ — ამბობს მეკარე — „უბრალოდ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას რასიზმის საწინააღმდეგო კამპანიის წამოსაწყებად განტევების ვაცი სჭირდებოდა და ასეთად მე შემარჩიეს“. ასოციაციას სჭირდებოდა ფოტო, სადაც მე და რაიტი საბოლოოდ ხელიხელჩაკიდებულნი გამოვჩნდებოდით. სამწუხაროდ, ამ ისტორიამ რასისტად გამომაჩინა, არადა, ასეთი არ გახლავართ“.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ხუთშაბათს, 4 ნოემბერს «კროკო» ჩვეულებრივი განრიგით იმუშავებს**

### ჩემპიონთა ლიგა. VI ტური

3 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 509 | მოლდე (ნორვეგია) — რეალი (ესპანეთი) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 510 | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — პორტუ (პორტუგალია) | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 511 | ბაიერნი (გერმანია) — რეინჯერსი (შოტლანდია) | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 512 | ვალენსია (ესპანეთი) — პსვ (ჰოლანდია) | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| 513 | სპარტა (ჩეხეთი) — სპარტაკი (რუსეთი) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 514 | ტილბურგი (ჰოლანდია) — ბორდო (საფრანგეთი) | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 515 | ჩელსი (ინგლისი) — ჰერტა (გერმანია) | 1,7 | 2,0 | 6,5 |
| 516 | გალათასარაი (თურქეთი) — მილანი (იტალია) | 4,4 | 3,3 | 1,6 |

### უეფას თასი. II ეტაპი. II წრე

4 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 521 | მონპელიე (საფრანგეთი) — დეპორტივო (ესპანეთი) | (5,0-1,1) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 522 | სელტა (ესპანეთი) — არისი (საბერძნეთი) | (1,02-10,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 523 | ლეგია (პოლონეთი) — უდინეზე (იტალია) | (5,0-1,1) | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 524 | ვიკინგი (ნორვეგია) — ვერდერი (გერმანია) | (2,0-1,5) | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 525 | კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — ტოტენჰემი (ინგლისი) | (2,8-1,3) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 526 | ვესტ ჰემი (ინგლისი) — სტიაუა (რუმინეთი) | (1,7-1,7) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 527 | იუვენტუსი (იტალია) — ლევსკი (ბულგარეთი) | (—-50,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 528 | აიაქსი (ჰოლანდია) — ჰაპოელი (ისრაელი) | (—-50,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 529 | ჰელსინგბორგი (შვედეთი) — პარმა (იტალია) | (5,0-1,1) | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| 530 | ნანტი (საფრანგეთი) — ინტერი (სლოვაკეთი) | (—-50,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 531 | ნიუკასლი (ინგლისი) — ციურიხი (შვეიცარია) | (1,01-15,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 532 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — გრაცერი (ავსტრია) | (1,4-2,3) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 533 | ამიცა (პოლონეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი) | (4,0-1,15) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 534 | ლოკომოტივი (რუსეთი) — ლიდსი (ინგლისი) | (15,0-1,01) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 535 | გრასჰოპერი (შვეიცარია) — სლავია (ჩეხეთი) | (2,8-1,3) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 536 | ბენფიკა (პორტუგალია) — პაოკ (საბერძნეთი) | (1,02-10,0) | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 537 | რომა (იტალია) — გიოტებორგი (შვედეთი) | (—-25,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 538 | მალიორკა (ესპანეთი) — ტეპლიცე (ჩეხეთი) | (1,01-15,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 539 | სელტიკი (შოტლანდია) — ლიონი (საფრანგეთი) | (2,5-1,35) | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 540 | ვიტესი (ჰოლანდია) — ლანსი (საფრანგეთი) | (10,0-1,02) | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩი.

3 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 004 | მანჩესტერ სიტი — პორტსმუთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XV ტური

3 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 016 | სტოკი — ნოტსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ჰოლანდია. XII ტური

3 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 029 | ნაიმეგენი — ჰერენვენი | 3,3 | 3,2 | 1,9 |

### კალათბურთი. NBA

3 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 814 | ბოსტონი — ვაშინგტონი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 815 | ორლანდო — დეტროიტი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 816 | კლივლენდი — ნიუ ჯერსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 817 | ჩიკაგო — ნიუ იორკი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 818 | ლეიკერსი — ვანკუვერი | 1,02 | 12,0 | 10,0 |
| 819 | პორტლენდი — კლიპერსი | 1,02 | 12,0 | 10,0 |

4 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 820 | შარლოტი — ინდიანა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 821 | ატლანტა — მილუოკი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 822 | ტორონტო — მაიამი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 823 | სან ანტონიო — გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 824 | იუტა — ჰიუსტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 825 | ფინიქსი — ფილადელფია | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 826 | სიეტლი — დალასი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

### კალათბურთი. ევროლიგა. VI ტური

3 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 827 | ცსკა (რუსეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 828 | ბენეტონი (იტალია) — შოლე (საფრანგეთი) | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 829 | ვარეზე (იტალია) — პივოვარნა (სლოვენია) | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 830 | პო ორტეზი (საფრანგეთი) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) | 1,15 | 12,0 | 4,0 |

4 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 831 | ეფესი (თურქეთი) — კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 832 | ალბა (გერმანია) — თოფაში (თურქეთი) | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 833 | ვილერბანი (საფრანგეთი) — ულქერი (თურქეთი) | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 834 | პაოკ (საბერძნეთი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 835 | რეალი (ესპანეთი) — ოლიმპია (სლოვენია) | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 836 | ციბონა (ხორვატია) — ფორტიტუდო (იტალია) | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 837 | მაკაბი (ისრაელი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 838 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ჟალგირისი (ლიტვა) | 1,1 | 12,0 | 5,0 |

### ჰოკეი. NHL

3 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 840 | ვაშინგტონი — ოტავა | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 841 | ნიუ ჯერსი — მონრეალი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| 842 | რეინჯერსი — აილენდერსი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| 843 | კაროლინა — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 844 | ატლანტა — ტამპა ბეი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 845 | დეტროიტი — ლოს ანჯელესი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 846 | დალასი — ბუფალო | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 847 | კოლორადო — სენტ ლუისი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 848 | კალგარი — ნეშვილი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 849 | ედმონტონი — ფლორიდა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 850 | ანაჰაიმი — ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 851 | სან ხოსე — ფინიქსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

4 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 852 | ბოსტონი — ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 853 | ოტავა — პიტსბურგი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 854 | აილენდერსი — მონრეალი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 855 | ჩიკაგო — ბუფალო | 1,9 | 4,4 | 2,1 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტურნირში [illegible]ლი სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის [illegible] მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, ნაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თახა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# NBA: აღმოსავლეთის კონფერენცია სეზონის წინ

## მაიამი ჰითი

*შემადგენლობა: კეიტ ესკინსი, კორი ბრიუერი, ფი ჯეი ბრაუნი, დუეინ ქოზველი, ტიმ ჰარდევეი, ვოშონ ლენარდი, დენ მარლი, ჯამალ მაშბურნი, ალონზო მურნინგი, მარკ სტრიკლენდი, ოტის თორპი, რექს ვოლტერსი, ჯემი ვოტსონი, კლარენს ვეზერსპუნი*
*მთავარი მწვრთნელი: პატ რაილი*

ლიგის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი მწვრთნელი პატ რაილი და მისი ბიჭები მზად არიან, კიდევ ერთხელ შეეცადონ და რაიმე მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევას. მაიამი ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტია, მაგრამ გულშემატკივრები ამ სეზონსაც ფუჭად ჩათვლიან, თუ გუნდმა პლეი ოფში მინიმუმ ორი ეტაპი მაინც არ გადალახა. თავისი სპორტული ფორმის მწვერვალზეა ცენტრი ალონზო მურნინგი. მეოთხე წელია, ალონზოს გვერდში უდგას ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი ტიმ ჰარდევეი, რომელიც მას პასებით მოამარაგებს და თავადაც შეეცდება, საკმაო რაოდენობის ქულები მოაგროვოს.

## ორლანდო მეჯიქი

*შემადგენლობა: ტარიქ აბდულ-ვაჰადი, ჯონ ამეჩი, დარელ არმსტრონგი, ლუის ბალოკი, ტერი დევისი, მაიკლ დოლიკი, პეტ გარიტი, კრის გეტლინგი, არმენ გილიამი, მეტ ჰარპრინგი, კორი მეჯიტი, ჯეფ მაკინისი, ბო აუთლოო, ლი მაიბერი, დერელ სტრონგი*
*მთავარი მწვრთნელი: გლენ რივერსი*

შარშანდელი სეზონის შემდეგ გუნდს 1995 წლის აღარც ერთი ფინალისტი აღარ შემორჩა. წავიდა ღვაწლმოსილი მწვრთნელი ჩაკ დეილიც და მისი ადგილი ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ აქტიურმა მოთამაშემ — გლენ „დოკ“ რივერსმა დაიკავა. ახლა იგი თავის პირველ სეზონს მწვრთნელის რანგში გასაცოდავებული შემადგენლობის მქონე გუნდით ხვდება. ერთადერთი ხეირიანი მოთამაშე დარელ არმსტრონგია, რომელიც ორი წლის წინ არაფერს არ წარმოადგენდა, გასულ სეზონში კი ყველაზე გაუმჯობესებული და საუკეთესო მეექვსე მოთამაშის ტიტულები დაისაკუთრა.

## ფილადელფია 76

*შემადგენლობა: ერიკ სნოუ, ალენ აივერსონი, ჯორჯ ლინჩი, თეო რეთლიფი, მეტ გეიგერი, ტაირონ ჰილი, ლარი ჰიუზი, აარონ მაკკიი, ბრიუს ბოუენი, ჯერალდ ჰონიკატი, რიკ მაჰონი, ნაზრ მუჰამედი, ბილი ოუენსი, დუგ ოვერტონი, როდრიკ როუდზი*
*მთავარი მწვრთნელი: ლარი ბრაუნი*

გასულ სეზონში ლარი ბრაუნმა თავნება, მაგრამ უნიჭიერეს ვარსკვლავ ალენ აივერსონს ამპლუა შეუცვალა, გამთამაშებლის ნაცვლად მსროლელად გაამწესა. ამ ცვლილების შემდეგ აივერსონის საშუალო შედეგიანობა 22,0 ქულიდან 26,8 ქულამდე გაიზარდა და ლიგის უძლიერესი ბომბარდირიც გახდა. გამთამაშებელი ერიკ სნოუდან დაწყებული, ცენტრ მეტ გეიგერით დამთავრებული, ყველა ამ ქულების კეთების მანქანას ემსახურება. ეს ხერხი ამართლებს კიდეც — ფილადელფია რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ პლეი ოფს დაუბრუნდა. ამ გუნდის წლევანდელი მიზანიც ეს იქნება.

## ნიუ იორკ ნიქსი

*შემადგენლობა: ჩარლი ვორდი, ალან ჰიუსტონი, ლატრელ სპრიუელი, ლარი ჯონსონი, პატრიკ იუნგი, მარკუს კემბი, კურტ ტომასი, კრის ჩაილდსი, ჯონ ვოლესი, კრის დადლი, დემარკო ჯონსონი, რიკ ბრანსონი, ენდრიუ ლენგი, დევიდ ვინგეიტი*
*მთავარი მწვრთნელი: ჯეფ ვან განდი*

წინა სეზონში აღმოსავლეთში მერვე ადგილზე გასული და პლეი ოფში ძლივძლივობით მოხვედრილი გუნდისგან ბევრს არაფერს ელოდნენ, მაგრამ „ნიუ იორკმა“ ისეთი გუნდები შეიწირა, როგორებიც არიან „მაიამი“, „ატლანტა“ და „ინდიანა“ და ფინალში „სან ანტონიოს“ შეება. ვან განდის ხელშია ლიგის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი მოთამაშე ლატრელ სპრიუელი, ოლიმპიური ნაკრების წევრი ალან ჰიუსტონი, ლიგის ყველა დროის 50 საუკეთესო მოთამაშიდან ერთ-ერთი, პატრიკ იუინგი, 1992 წლის საუკეთესო ახალბედა ლარი ჯონსონი და სხვა. ნიუიორკელთა მუდმივი თავსატეხი ძირითადი ცენტრის და ლიდერის, პატრიკ იუინგის გამუდმებული ტრავმიანობაა. იუინგი (ასევე მისი შემცვლელი კრის დადლიც) ამჟამადაც ტრავმას მკურნალობს, ამიტომ ცენტრის პოზიციაზე ამპლუით თავდამსხმელ მარკუს კემბის მოუწევს თამაში.

## ბოსტონ სელტიქსი

*შემადგენლობა: დანა ბაროსი, კენი ანდერსონი, პოლ პირსი, ანტუან ვოლკერი, ვიტალი პოტაპენკო, დანი ფორტსონი, ერიკ ვილიამსი, ტონი ბათი, კალბერტ ჩინი, ვოლტერ მაკარტი, დეიმონ ჯონსი, ერიკ რაილი, გრეგ მაინორი, ერიკ ვაშინგტონი*
*მთავარი მწვრთნელი: რიკ პიტინო*

თუ რიკ პიტინო შარშანდელივით ათამაშებს გუნდს, მაშინ ხელმძღვანელობა მას დიდხანს არ გააჩერებს ლიგის ყველაზე ტიტულიანი გუნდის მწვრთნელის პოსტზე. თუმცა პიტინო მომავალს იმედიანად შესცქერის და შარშანდელ ჩავარდნას იმით ხსნის, რომ მოთამაშეები ფორმაში არ იყვნენ. უგერგილი სეზონი ჰქონდა ლიდერ ანტუან ვოლკერს. მეტს მოელოდნენ რონ მერსერისგან, რომელიც სეზონის დამთავრების შემდეგ „დენვერ ნაგითსში“ გაუშვეს დანი ფორტსონის და ერიკ ვილიამსის სანაცვლოდ. პიტინო განსაკუთრებით დიდ იმედებს ფორტსონზე ამყარებს, რომელიც მძლავრი მომხსნელია და წინა სეზონში მატჩში საშუალოდ 11,6 მოხსნით მეოთხე ადგილი დაიკავა. პრობლემებია უკანა ხაზში.

## ვაშინგტონ ვიზარდსი

*შემადგენლობა: როდ სტრიკლენდი, მიჩ რიჩმონდი, მაიკლ სმიტი, ჯუონ ჰოვარდი, აიზეკ ოსტინი, ტრეისი მიურეი, რიჩარდ ჰამილტონი, აარონ ვილიამსი, ლორენცო ვილიამსი*
*მთავარი მწვრთნელი: გარ ჰერდი.*

დედაქალაქელთა გულშემატკივრებმა ერთი რამ უეჭველად იციან — „ვიზარდსი“ აუცილებლად მოუმატებს, რადგან ისეთი შემადგენლობის მქონე გუნდისთვის, როგორიც „ვაშინგტონია“ ახალი სეზონის წინაზე უარესად ჩატარება პრაქტიკულად შეუძლებელია. გასულ კოშმარულ სეზონში „ჯადოქრებმა“ ყველას გაუცრუეს იმედები. 11-წლიან კარიერაში უცუდესი სეზონი ჰქონდა ლიგის ყველაზე ძვირადღირებულ მსროლელს, მიჩ რიჩმონდს, ისევე როგორც მის მეწყვილეს, როდ სტრიკლენდს. წლეულს გუნდმა რამდენიმე კარგი კალათბურთელი დაიმატა და ასევე ახალი მწვრთნელთან გარ ჰედთან ერთად შეეცდება ღირსეულად ითამაშოს, თუ წამყვანმა მოთამაშეებმა ისევ არ უმტყუნეს.

## კლივლენდ კავალიერსი

*შემადგენლობა: ბრევინ ნაითი, ანდრე მილერი, ვესლი პერსონი, შონ კემპი, ჟიდრუნას ილგაუსკსი, სედრიკ ჰენდერსონი, ტრაიან ლანგდონი, მარკ ბრაინტი, ერლი ბოიკინსი, ენდრიუ დეკლერკი, დენი ფერი, ლემონდ მიურეი, ბობ სურა*
*მთავარი მწვრთნელი: რენდი ვიტმენი*

ცვლილებები მოხდა გუნდის ხელმძღვანელობაში. გენერალური მენეჯერის ადგილი ჯიმ პაქსონმა დაიკავა და რაღაც-რაღაცეები თავისებურად გადააწყო. შეიცვალა მწვრთნელიც: მაიკ ფრატელოს არ აპატიეს, რომ გუნდი პლეი ოფში ვერ მოხვდა და გაათავისუფლეს. მისი ადგილი რენდი ვიტმენმა დაიკავა. იგი სიცოცხლეში პირველად გაუძღვება ნბა-ს გუნდს.

## ნიუ ჯერსი ნეთსი

*შემადგენლობა: სტივენ მარბერი, ქენდალ გილი, ჯეიმი ფეიკი, კეიტ ვან ჰორნი, გეორგ მურეშანი, კერი კიტლზი, ჯეისონ ვილიამსი, სკოტ ბარელი, ჯონი ნიუმანი, მაიკლ კეიჯი, კრის კარი, ვილიამ კანინგემი, ევან ეშმეირი, ლუციუს ჰარისი, ელიოტ პერი*
*მთავარი მწვრთნელი: დონ კეისი*

ასეთი შემადგენლობით გუნდს გაცილებით მეტისთვის უნდა მიეღწია, მაგრამ „ნეთსს“ აქვს გასამართლებელი საბუთი — ხშირი ტრავმიანობა, რომელიც ბევრად აქვეითებს გუნდის პოტენციალს. გუნდის ძირიადი ცენტრი ჯეისონ ვილიამსი ახლაც ტრავმას იშუშებს. მის ნაცვლად ითამაშებს 231-სანტიმეტრიანი რუმინელი გეორგ მურეშანი, რომელიც ასევე ხშირად ტრავმიანობს და ბოლო ორ სეზონში საერთოდ არ უთამაშია (!). გუნდს კი კვლავ წაუძღვებიან ახალგაზრდა ლიდერები, თავდამსხმელი კეიტ ვან ჰორნი და გამთამაშებელი სტივენ მარბერი.

## ინდიანა პეისერზი

*შემადგენლობა: მარკ ჯეკსონი, რეჯი მილერი, კრის მულინი, დეილ დევისი, რიკ სმიტსი, ტრევის ბესტი, ჯალენ როუზი, დერიკ მაკკი, სემ პერკინსი, ჟან ტაბაკი, ჯონათან ბენდერი*
*მთავარი მწვრთნელი: ლარი ბერდი*

აგერ უკვე მეოთხე წელია, „ინდიანა პეისერზი“ ინარჩუნებს შემადგენლობას. ლეგენდარული ლარი ბერდის თავკაცობით „პეისერზი“ ბოლო ორი წელია, გადის აღმოსავლეთის ფინალში, მაგრამ დრო სულაც არ მუშაობს „ინდიანაზე“. რეჯი მილერი, კრის მულინი, რიკ სმიტსი, დეილ დევისი, მარკ ჯეკსონი თანდათან ბერდებიან, მათი ღირსეული შემცვლელები კი არ ჩანან. და ეს, რა თქმა უნდა, მომავალში თავის ნაყოფს გამოიღებს, გუნდს კრიზისის პერიოდი დაუდგება, მაგრამ წლეულს ეს ნაკლებადმოსალოდნელია. „ინდიანა“ კვლავ შეეცდება აღმოსავლეთში პირველობის მოპოვებას.

## ატლანტა ჰოქსი

*შემადგენლობა: ბიმბო კოულზი, აიზია რაიდერი, ჯიმი ჯეკსონი, ალან ჰენდერსონი, დიკემბე მუტომბო, ლორენზენ რაიტი, ენტონი ჯონსონი, კრის კროუფორდი, მარკ ვესტი*
*მთავარი მწვრთნელი: ლენი ვილკენსი*

ახალ სეზონს ჯორჯიელები სერიოზული ცვლილებებით ხვდებიან. წავიდა კარგი გამთამაშებელი მუკი ბლეილოკი, რომელიც ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა ჩაჭრებში და საერთოდ ჩინებული მცველი გახლავთ. წავიდა აგრეთვე სტივ სმიტი, გუნდის ლიდერი და მთავარი ბომბარდირი. იგი ახალ სეზონში პორტლენდის ღირსებას დაიცავს. სმიტის სანაცვლოდ პორტლენდმა ორი ვარსკვლავი გაიღო — ჯიმი ჯეკსონი და აიზია რაიდერი და თუ ისინი კარგად შეეწყვნენ, ატლანტელ მაღლებს გუნდს სადარდებელი ბევრი არაფერი ექნება.

## დეტროიტ პისტონზი

*შემადგენლობა: ლინდსი ჰანტერი, ჯერი სტეკჰაუზი, გრანტ ჰილი, კრისტიან ლეიტნერი, ბაიზონ დელი, ჯოდ ბიუჰლერი, მაიკლ კარი, დერიკ ჰარპერი, ტერი მილზი, ერიკ მონტროსი, ჩარლზ ობენონი, დონ რიდი, ლი ვოიტი, ჯერომ ვილიამსი*
*მთავარი მწვრთნელი: ელვინ ჯენტრი*

გუნდის ძირითადმა ცენტრმა, ვეება ბაიზონ დელიმ ტრავმა მიიღო, იგი რამდენიმე კვირას ვერ შეძლებს თამაშს. მისი შეცვლა ამპლუით თავდამსხმელს კრისტიან ლეიტნერს მოუწევს, რომელმაც ახლახან მოიშუშა მუხლის ტრავმა. უკანა ხაზიც არა სრულყოფილი. „დეტროიტს“ აქ მხოლოდ ორი ხეირიანი კაცი ჰყავს — ჯერი სტეკჰაუზი და ლინდსი ჰანტერი. ყოველივე ამის გამო „დგუშები“ იმედიანად ვერ ხვდებიან ახალ სეზონს და, შეიძლება ითქვას, მხოლოდ გრანტ ჰილზე ამყარებენ იმედებს.

## შარლოტ ჰორნეთსი

*შემადგენლობა: დევიდ ვესლი, ედი ჯონსი, ბობი ფილზი, ენტონი მეისონი, ელდენ კემპბელი, დერიკ კოულმენი, ელდრიჯ რეკასნერი, ბაირონ დევისი, ჩაკი ბრაუნი, რიკ დევისი, ტოდ ფალერი, ბრედ მილერი, ჩარლზ შეკლფორდი*
*მთავარი მწვრთნელი: პოლ საილასი*

გასული სეზონი „შარლოტმა“ საშინლად დაიწყო და უიმედო აუტსაიდერად მოგვევლინა, მაგრამ კლუბმა შუა სეზონში დროული ცვლილებები შეიტანა შემადგენლობაში, გლენ რაისი და ჯეი არ რიდი „ლეიკერსში“ გაუშვა და იქიდან მოსულ ედი ჯონსთან და ელდენ კემპბელთან ერთად საქმეს შეუდგა. „ჰორნეთსმა“ ცენტრალურ დივიზიონში მეხუთე ადგილი დაიკავა. ასეთი ფინიშის შემდეგ „შარლოტი“ წინ იყურება და ფიქრობს, ცენტრალური დივიზიონის პირველობაში ინდიანას შეცვლის.

## მილუოკი ბაქსი

*შემადგელნლობა: სემ კასელი, რეი ალენი, გლენ რობინსონი, ჯეი არ რიდი, რობერტ ტრეილორი, დეილ ელისი, ტიმ ტომასი, დენი მენინგი, ირვინ ჯონსონი, ბრენდონ ვილიამსი, სკოტ ვილიამსი, ჰეივუდ ვორქმენი*
*მთავარი მწვრთნელი: ჯორჯ კარლი*

გასული სეზონის დასაწყისში „მილუოკი ბასქში“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე გამოცდილი დამრიგებელი ჯორჯ კარლო მივიდა და პირველად ბოლო რვა წლის განმავლობაში გუნდი პლეი ოფში გაიყვანა. „ბაქსი“ წლეულსაც მინიმუმ პლეი ოფს უმიზნებს და ძნელად რომ დასახულ მიზანს ასცდეს, თუ მოთამაშეები ტრავმებს არ შეეწირნენ.

## ტორონტო რეპტორზი

*შემადგენლობა: ელვინ ვილიამსი, დუგ კრისტი, ვინს კარტერი, ჩარლზ ოკლი, კევინ ვილისი, ანტონიო დევისი, ტრეისი მაკგრეიდი, დელ კარი, მაგსი ბოგსი, დი ბრაუნი, პოლ როჯერსი, რეჯი სლეიტერი, ჯონ ტომასი, მაიკლ ვილიამსი.*
*მთავარი მწვრთნელი: ბუჩ კარტერი*

„ჩვენ ვითამაშებთ პლეი ოფში“ — ამბობენ ტორონტოელები და კბილებს ილესავენ. მათი ოპტიმიზმის წყარო კი მომავალი სუპერვარსკვლავი ვინს კარტერია.. წინა სეზონში ახალბედა ვინს კარტერმა ტორონტო უსუსურიდან საშუალო გუნდად აქცია, თვითონ კი სეზონის ახალბედას ტიტული ირგუნა. წლეულსაც ყველაფერი ამ ფრენის დიდოსტატზეა დამოკიდებული და იმაზე, თუ როგორ შეუამხანაგდებიან მას დანარჩენი მოთამაშეები.

## ჩიკაგო ბულზი

*შემადგენლობა: რენდი ბრაუნი, ჰერსი ჰოკინსი, ტონი კუკოჩი, ელტონ ბრენდი, ვილ პერდიუ, რონ არტესტი, დიკ სიმპკინსი, კრის ენსტი, ბი ჯეი არმსტრონგი, კორნელ დავიდი*
*მთავარი მწვრთნელი: ტიმ ფლოიდი*

90-იანი წლების დიადი „ჩიკაგო ბულზი“ ერთი წლის წინ დაიშალა და მისი აჩრდილიღა დარჩა, რომელმაც გასული სეზონი აღმოსავლეთში ბოლო ადგილზე დაასრულა. ამჟამად „ჩიკაგო“ თავიდან შენდება და ეს სეზონი მისთვის გარდამავალია. დიდ იმედებს ამყარებენ დრაფტის პირველ ნომერზე, თავდამსხმელ ელტონ ბრენდზე.

# სლოვანი და ბოისა ერთდროულად ათამაშდნენ

## სლოვენია

VII ტური

კრკა — როგლა ატრასი 75:59, კრაშკი ზიდარი — მარიბორი 65:67, ლოკა კავა — სლოვანი 69:83, სავინსკი — ზაგორიე 79:65, ჰელიოსი — ტრიგლავი 80:86

VIII ტური

ზაგორიე — ოლიმპია 53:77, კრკა — კრაშკი ზიდარი 70:43, სლოვანი — სავინსკი 69:66, მარიბორი — ლოკა კავა 65:64, როგლა ატრასი — ტრიგლავი 59:72, პივოვარნა — ჰელიოსი 112:64

ერთი კვირის განმავლობაში ლიუბლიანის „სლოვანმა" სამი მატჩი ითამაშა და სამივე თავის სასარგებლოდ დაასრულა. ქართველების გუნდმა პირველ წარმატებას სლოვენიის თასის მერვედფინალში მიაღწია, სადაც მეორე ლიგის პირველადგილოსანი „რადენსკა" დაამარცხა და მეოთხედფინალში გავიდა.

ქვეყნის ჩემპიონატის მეშვიდე ტურის მატჩში „სლოვანმა" უმასპინძლა „სავინსკის". მატჩი მეტად დაძაბული გამოდგა, გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წამამდე უცნობი იყო. „სლოვანმა" ტაიმი 22:31 წააგო, მაგრამ შესვენების შემდეგ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოასწორა. შესანიშნავად ითამაშა ჩვენებურმა ვლადიმერ ბოისამ, რომელიც 14 ქულით ყველაზე შედეგიანი იყო ლიუბლიანელთა რიგებში.

მერვე ტურში „სლოვანი" „ლოკა კავას" სტუმრობდა. ბოისამ აქაც გამოიჩინა თავი და 20 ქულა გააკეთა, თუმცა, თავის გუნდის რიგებში ყველაზე შედეგიანი არ ყოფილა — იაკა ლაკოვიჩმა 22 ქულას მოუყარა თავი.

„სლოვანს" პრობლემები არ ჰქონია, თავიდანვე დაწინაურდა (პირველი ტაიმი 39:34 მოიგო) და იოლად მიიყვანა მატჩი დასასრულამდე. ამ ორი გამარჯვებით „სლოვანმა" მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა.

მომდევნო, მეცხრე ტურში „სლოვანს" უეჭველად წასაგები თამაში ელის: ჩემპიონატის ლიდერს, თანაქალაქელ „ოლიმპიას" ხვდება, რომელიც ჯერაც დაუმარცხებელია და, სეზონსაც, ალბათ, ასევე დაასრულებს. დღეს კი ევროპაში გაირკვევა „სლოვანის" ბედი: კორაჩის თასზე ათენის „ნიარ ისტი" იზმირის „ქარშიაქას" მასპინძლობს. თუკი ბერძნებმა მოიგეს, მაშინ „სლოვანს" აღარაფერი უშველის და ევროთასებს გამოეთხოვება. ხოლო თუ „ქარშიაქამ" მოიგო, მაშინ ბოისას და კომპანიას კორაჩის თასზე ბრძოლის გაგრძელების რეალური შანსი ეძლევათ. ამისთვის მათ 10 ნოემბერს მინიმუმ ხუთი ქულით უნდა დაამარცხონ „ნიარ ისტი".

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 8 | 8 | 0 | 730:493 | 16 |
| პივოვარნა | 8 | 7 | 1 | 703:568 | 15 |
| კრკა | 8 | 7 | 1 | 623:510 | 15 |
| ტრიგლავი | 8 | 6 | 2 | 576:588 | 14 |
| სლოვანი | 8 | 5 | 3 | 566:515 | 13 |
| ზაგორიე | 8 | 4 | 4 | 583:617 | 12 |
| მარიბორი | 8 | 4 | 4 | 559:615 | 12 |
| სავინსკი | 8 | 3 | 5 | 620:614 | 11 |
| ჰელიოსი | 8 | 2 | 6 | 580:694 | 10 |
| როგლა ატრასი | 8 | 1 | 7 | 533:637 | 9 |
| ლოკა კავა | 8 | 1 | 7 | 520:629 | 9 |
| კრაშკი ზიდარი | 8 | 0 | 8 | 514:627 | 8 |

## თურქეთი

VII ტური

ბეშიქთაში — ქომბასანი 76:68, დარუშაფაკა — გალათასარაი 50:60, ფენერბაჰჩე — ითუ 87:77, ტროი — ქარშიაქა 76:80, თოფაში — ოიაქი 101:63, ტელეკომი — მიდონოსე 93:75, ულქერი — ეფესი 70:74

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ქარშიაქა | 7 | 7 | 0 | 521:443 | 14 |
| ეფესი | 7 | 6 | 1 | 513:471 | 13 |
| თოფაში | 7 | 5 | 2 | 530:475 | 12 |
| გალათასარაი | 7 | 4 | 3 | 510:468 | 11 |
| ტელეკომი | 7 | 4 | 3 | 528:491 | 11 |
| დარუშაფაკა | 7 | 4 | 3 | 488:489 | 11 |
| ფენერბაჰჩე | 7 | 4 | 3 | 549:504 | 11 |
| ბეშიქთაში | 7 | 4 | 3 | 503:509 | 11 |
| ულქერი | 7 | 3 | 4 | 494:514 | 10 |
| ითუ | 7 | 3 | 4 | 463:516 | 10 |
| ქომბასანი | 7 | 3 | 4 | 477:461 | 10 |
| მიდონოსე | 7 | 1 | 6 | 543:589 | 8 |
| ტროი | 7 | 1 | 6 | 492:577 | 8 |
| ოიაქი | 7 | 0 | 7 | 422:546 | 7 |

## საბერძნეთი

VI ტური

პანიონიოსი — ირაკლიონი 62:64, დაფნი — ირაკლისი 59:81, მარუსი — პანათინაიკოსი 52:71, პაოკ — ესპეროსი 95:61, სპორტინგი — ოლიმპიაკოსი 63:87, აეკ — არისი 80:65, პერისტერი — ნიარ ისტი 102:96

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 6 | 6 | 0 | 426:355 | 12 |
| პაოკ | 6 | 5 | 1 | 479:398 | 11 |
| აეკ | 6 | 5 | 1 | 458:392 | 11 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 4 | 2 | 413:366 | 10 |
| ირაკლისი | 6 | 3 | 3 | 416:402 | 9 |
| პერისტერი | 6 | 3 | 3 | 438:442 | 9 |
| ნიარ ისტი | 6 | 3 | 3 | 421:469 | 9 |
| დაფნი | 6 | 3 | 3 | 417:455 | 9 |
| პანიონიოსი | 6 | 3 | 3 | 422:405 | 9 |
| მარუსი | 6 | 3 | 3 | 405:386 | 9 |
| არისი | 6 | 2 | 4 | 407:422 | 8 |
| ირაკლიონი | 6 | 2 | 4 | 401:426 | 8 |
| ესპეროსი | 6 | 0 | 6 | 403:485 | 6 |
| სპორტინგი | 6 | 0 | 6 | 393:494 | 6 |

## იტალია

VIII ტური

ბენეტონი — პეპსი 67:61, კინდერი — რეჯანა 90:70, ადეკო — სკავოლინი 75:78, აეროპორტი — ტრიესტი 74:64, იმოლა — ვარეზე 84:67, კანტუ — ფორტიტუდო 67:85, ძუკეტი — სიენა 64:68, ვიოლა — მიულერი 76:63

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფორტიტუდო | 8 | 8 | 0 | 617:535 | 16 |
| კინდერი | 8 | 7 | 1 | 631:518 | 15 |
| ვიოლა | 8 | 6 | 2 | 584:570 | 14 |
| დუკატო | 8 | 5 | 3 | 535:504 | 13 |
| სკავოლინი | 8 | 5 | 3 | 623:610 | 13 |
| ძუკეტი | 8 | 4 | 4 | 555:556 | 12 |
| იმოლა | 8 | 4 | 4 | 601:606 | 12 |
| აეროპორტი | 8 | 4 | 4 | 555:564 | 12 |
| ბენეტონი | 8 | 4 | 4 | 549:562 | 12 |
| ვარეზე | 8 | 3 | 5 | 578:594 | 11 |
| ადეკო | 8 | 3 | 5 | 575:598 | 11 |
| კანტუ | 8 | 3 | 5 | 571:617 | 11 |
| ტრიესტი | 8 | 2 | 6 | 565:575 | 10 |
| პეპსი | 8 | 2 | 6 | 531:564 | 10 |
| მიულერი | 8 | 2 | 6 | 537:573 | 10 |
| რეჯანა | 8 | 2 | 6 | 597:658 | 10 |

## ესპანეთი

X ტური

ბარსელონა — კასერესი 89:74, ტაუ — კანარიასი 77:64, კახა სან ფერნანდო — ფორუმი 62:63, ბადალონა — ტდკ 75:79, ფუენლაბრადა — ესტუდიანტესი 62:65, რეალი — ბრეოგანი 91:72, ხირონა — კანტაბრია 90:71, პამესა — ხიხონი 96:85, უნიკახა — ლეონი 71:52

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 10 | 10 | 0 | 809:688 | 20 |
| ბარსელონა | 10 | 7 | 3 | 752:675 | 17 |
| ტაუ | 10 | 7 | 3 | 814:738 | 17 |
| რეალი | 10 | 6 | 4 | 755:700 | 16 |
| სან ფერნანდო | 10 | 6 | 4 | 719:666 | 16 |
| უნიკახა | 10 | 6 | 4 | 680:645 | 16 |
| ხირონა | 10 | 6 | 4 | 734:705 | 16 |
| ესტუდიანტესი | 10 | 6 | 4 | 729:715 | 16 |
| კანარიასი | 10 | 6 | 4 | 710:715 | 16 |
| ბადალონა | 10 | 5 | 5 | 786:772 | 15 |
| ფუენლაბრადა | 10 | 5 | 5 | 724:723 | 15 |
| კასერესი | 10 | 5 | 5 | 721:745 | 15 |
| ტდკ | 10 | 4 | 6 | 717:723 | 14 |
| ფორუმი | 10 | 4 | 6 | 669:675 | 14 |
| ხიხონი | 10 | 3 | 7 | 686:765 | 13 |
| კანტაბრია | 10 | 2 | 8 | 708:818 | 12 |
| ბრეოგანი | 10 | 1 | 9 | 722:834 | 11 |
| ლეონი | 10 | 1 | 9 | 606:739 | 11 |

## საფრანგეთი

VIII ტური

ბეზანსონი — ლიმოჟი 68:74, დიჟონი — პარი სენ ჟერმენი 77:68, შამპანი — ნანსი 72:73, მონპელიე — საონი 74:83, ევრე — ვილერბანი 68:69, ანტიბი — შოლე 64:86, ლე მანი — გრაველინი 64:61, პო ორტეზი — სტრასბური 84:74

საფრანგეთის ჩემპიონატის მერვე ტურში მასპინძლებმა მეტისმეტი თავაზიანობა გამოიჩინეს და რვიდან ხუთ მატჩში ორი ქულა სტუმრებს გაატანეს.

ჩემპიონატის ლიდერებმა, „პო ორტეზმა" და „ვილერბანმა" მორიგი მოგება მოიპოვეს. პოელებმა ზედიზედ სამი მარცხის (ორი ევროლიგაში და ერთი საფრანგეთის ჩემპიონატში) შემდეგ გამარჯვების გემო გაიხსენეს. მეტად დაძაბული პირველი ტაიმის შემდეგ მათ საკუთარ „პალე დე სპორში" ელიტაში წლეულს გადასული „სტრასბური" დაჯაბნეს. შესვენების შემდეგ პოელთაგან საუკეთესო ამერიკელი ლეგიონერი დანტე კალაბრია იყო, ვინაც მთლიანად მატჩში 21 ქულა მოიხვეჭა. ოკეანესგალმელის აქტიურობით „პო ორტეზმა" მეტოქე ერთი პირობა 23 ქულითაც ჩამოიტოვა უკან, მაგრამ მოეშვა და ალზასელებს ცოტათი მიახლოების საშუალება მისცა.

ზედიზედ მეხუთედ მოიგო „ვილერბანმა", რომელსაც სტუმრად „ევრესთან" საკმაოდ გაუჭირდა. მასპინძლები მთელი მატჩის მანძილზე მდევრების როლში იყვნენ, მაგრამ დანებება წამითაც არ უფიქრიათ. საფინალო სირენამდე ოთხი წამით ადრე „ვილერბანი" ერთ ქულას იგებდა, ბურთს კი „ევრე" ფლობდა. ნორმანდიელებს მერვე ტურის მთავარი სენსაციის მოხდენა შეეძლოთ, მაგრამ... ბობი ლაზორის ტყორცნის შემდეგ ბურთი მიზანს ასცდა. თუმცა ვილერბანელებმა ნამდვილად დამსახურებულად გაიმარჯვეს. ისინი მთელი მატჩის განმავლობაში იგებდნენ და მეტოქეს წინ გასვლის საშუალება მხოლოდ ბოლო წუთზე მისცეს — 67:68. ამ დროს კი პასუხისმგებლობა თავის თავზე საფრანგეთის ნაკრების წევრმა მუსტაფა სონკომ აიღო და სტუმრები ისევ დაწინაურდნენ 69:68. მერე კი ლაზორმაც ისროლა...

„ბეზანსონმა" „ლიმოჟს" დიდხანს გაუძლო და ტოლ-სწორადაც ეპაექრა, მაგრამ ბოლო სამ წუთში ვეღარაფერი გააწყო უილიამსთან (22 ქულა, 14 მოხსნა) და სტუმართა კაპიტან ბონატოსთან (15 ქულა, 9 მოხსნა) და მეხუთე სეზონური მარცხი იგემა.

გაჭირვებით, მაგრამ მაინც გაიმარჯვა „ლე მანმა", რითაც თანმიმდევრულ მოგებათა სერია ხუთამდე გაზარდა. გათამაშების ცხრილის ფსკერზე დალექილი „გრაველინი" ბევრს კი ეცადა, ზედიზედ მეშვიდედ არ წაეგო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. „გრაველინის" გარი ალექსანდრმა ფარქვეშ იბატონა და 19 მოხსნა მიითვალა, რაც ჯერჯერობით სეზონის საუკეთესო შედეგია.

კვლავ წააგო დედაქალაქურმა „პარი სენ ჟერმენმა", რომელსაც თავისი თამაში ისევ ვერ უპოვია და ცხრილის შუაგულშია გაჩხერილი. დიჟონელთა შორის საუკეთესოები ჯექსონი და ლორი იყვნენ, რომელთა შეჩერებაც პარიზელთა დაცვამ ვერაფრით მოახერხა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 8 | 7 | 1 | 619:634 | 15 |
| პო ორტეზი | 8 | 7 | 1 | 633:584 | 15 |
| ლიმოჟი | 8 | 6 | 2 | 570:536 | 14 |
| ლე მანი | 8 | 6 | 2 | 556:528 | 14 |
| სტრასბური | 9 | 5 | 4 | 653:629 | 14 |
| დიჟონი | 8 | 5 | 3 | 569:522 | 13 |
| ბეზანსონი | 9 | 4 | 5 | 659:635 | 13 |
| პსჟ | 8 | 4 | 4 | 569:553 | 12 |
| საონი | 8 | 4 | 4 | 580:566 | 12 |
| შოლე | 8 | 4 | 4 | 571:565 | 12 |
| შამპანი | 8 | 3 | 5 | 557:571 | 11 |
| ევრე | 8 | 3 | 5 | 541:557 | 11 |
| მონპელიე | 8 | 3 | 5 | 587:620 | 11 |
| ნანსი | 8 | 2 | 6 | 513:557 | 10 |
| გრაველინი | 8 | 1 | 7 | 511:619 | 9 |
| ანტიბი | 8 | 1 | 7 | 480:594 | 9 |

# სარბიელის საშუალებით ფიბა გეკითხებათ

1999 წლის 28 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება „ევროსტარი", მატჩი ევროპის საუკეთესო კალათბურთელთა მონაწილეობით. ერთმანეთს შეხვდებიან „აღმოსავლეთის" და „დასავლეთის" გუნდები.

სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიბა), „აღმოსავლეთის" და „დასავლეთის" გუნდების შემადგენლობების გამოსავლენად აწყობს გულშემატკივართა საერთო-ევროპულ გამოკითხვას. ეს გამოკითხვა ევროპის თითოეულ ქვეყანაში თითო გაზეთის საშუალებით მოეწყობა. საქართველოში ფიბა-ს პარტნიორობის ექსკლუზიური უფლება (საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რეკომენდაციით), „სარბიელს" ერგო. ამრიგად, „სარბიელის" მკითხველი უშუალოდ დაადგენს „ევროსტარში" მოთამაშე გუნდების შემადგენლობებს.

თქვენთვის საქმის გასაიოლებლად, ფიბა გთავაზობთ იმ ევროპელი კალათბურთელების სიას, რომლებიც ამ დროისთვის საუკეთესონი არიან. თქვენ შეგიძლიათ დაასახელოთ ის ევროპელი მოთამაშეებიც, რომლებიც ამ სიაში არ არიან, მაგრამ თამაშობენ ევროპის კლუბებში და, თქვენი აზრით, იმსახურებენ „ევროსტარში" მოხვედრას.

ამას გარეთ, გთხოვთ, დაასახელოთ ორი არაევროპელი კალათბურთელი, რომლებიც თამაშობენ ევროპის კლუბებში.

ამრიგად, თქვენ უნდა დაასახელოთ სულ 14 კალათბურთელი (12 ევროპელი, 2 არაევროპელი). კალათბურთელის სახელისა და გვარის გასწვრივ მითითებულია მისი ეროვნება და კლუბი:

| | | |
|---|---|---|
| ☐ ალესანდრო აბიო | იტალია | კინდერი (იტალია) |
| ☐ ფრანგისკოს ალვერტისი | საბერძნეთი | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ ალბერტო ანგულო | ესპანეთი | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ მიროსლავ ბერიჩი | იუგოსლავია | უგუნდოდ |
| ☐ ჰუსეინ ბეშოქი | თურქეთი | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ ჟიმ ბილბა | საფრანგეთი | ვილერბანი (საფრანგეთი) |
| ☐ დავიდე ბონორა | იტალია | კინდერი (იტალია) |
| ☐ დეიან ბოდიროგა | იუგოსლავია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ პრედრაგ დანილოვიჩი | იუგოსლავია | კინდერი (იტალია) |
| ☐ ალექსანდრ ჯორჯევიჩი | იუგოსლავია | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ გინტარას ეინიკისი | ლიტვა | ცსკა (რუსეთი) |
| ☐ ნიკოს ეკონომუ | საბერძნეთი | კინდერი (იტალია) |
| ☐ ჰარუნ ერდენაი | თურქეთი | ულქერი (თურქეთი) |
| ☐ ვინჩენცო ესპოზიტო | იტალია | იმოლა (იტალია) |
| ☐ ლორან ფუარე | საფრანგეთი | ტაუ (ესპანეთი) |
| ☐ გრეგორ ფუჩკა | იტალია | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ ტორბიორნ გერკე | შვედეთი | პლანია (შვედეთი) |
| ☐ გორდან გირიჩეკი | ხორვატია | ციბონა (ხორვატია) |
| ☐ ალბერტო ჰერეროსი | ესპანეთი | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ არტურას კარნიშოვასი | ლიტვა | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ ოდედ კატაში | ისრაელი | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ მიხაელ კოხი | გერმანია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ იბრაჰიმ ქუთლუაი | თურქეთი | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ დენის მარკონატო | იტალია | ბენეტონი (იტალია) |
| ☐ ანდრეა მენეგინი | იტალია | ვარეზე (იტალია) |
| ☐ მარკო მილიჩი | სლოვენია | ოლიმპია (სლოვენია) |
| ☐ ველკო მრშიჩი | ხორვატია | უნიკახა (ესპანეთი) |
| ☐ დამირ მულაომეროვიჩი | ხორვატია | ეფესი (თურქეთი) |
| ☐ მარტინ მიურსეპი | ესტონეთი | აეკ (საბერძნეთი) |
| ☐ კარლტონ მაიერსი | იტალია | ფორტიტუდო (იტალია) |
| ☐ პეტარ ნაუმოსკი | მაკედონია | უგუნდოდ |
| ☐ ხუან კარლოს ნავარო | ესპანეთი | ბარსელონა (ესპანეთი) |
| ☐ საშა ობრადოვიჩი | იუგოსლავია | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) |
| ☐ პაულუ პინტუ | პორტუგალია | პორტუ (პორტუგალია) |
| ☐ დინო რაჯა | ხორვატია | ზადარი (ხორვატია) |
| ☐ ჟელკო რებრაჩა | იუგოსლავია | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ ეფტიმიოს რენციასი | საბერძნეთი | ბარსელონა (ესპანეთი) |
| ☐ ანტუან რიგოდო | საფრანგეთი | კინდერი (იტალია) |
| ☐ ჰენრიკ როდლი | გერმანია | ალბა (გერმანია) |
| ☐ დორონ შეფერი | ისრაელი | მაკაბი (ისრაელი) |
| ☐ მატიაშ სმოდიში | სლოვენია | კრკა (სლოვენია) |
| ☐ მუსტაფა სონკო | საფრანგეთი | ვილერბანი (საფრანგეთი) |
| ☐ საულიუს შტომბერგასი | ლიტვა | კინდერი (იტალია) |
| ☐ ერიკ სტრიულენსი | ბელგია | რეალი (ესპანეთი) |
| ☐ დრაგან ტარლაჩი | იუგოსლავია | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ მილან ტომიჩი | იუგოსლავია | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) |
| ☐ დომინიკ ტომჩიკი | პოლონეთი | პეკაესი (პოლონეთი) |
| ☐ ალექსის ზახარიუ | კვიპროსი | აპოელი (კვიპროსი) |
| ☐ ირჟი ზიდეკი | ჩეხეთი | ჟალგირისი (ლიტვა) |
| ☐ მინდაუგას ჟუკაუსკასი | ლიტვა | ჟალგირისი (ლიტვა) |

| სიაში არმოხვედრილი ევროპელები | არაევროპელები |
|---|---|
| ______________________ | ______________________ |
| ______________________ | ______________________ |

*სიაში მყოფი თქვენთვის სასურველი მოთამაშის შერჩევისას მისი სახელის და გვარის წინ მდებარე კვადრატში გააკეთეთ შესაბამისი აღნიშვნა ☒. ხოლო არაევროპელი და სიაში არმყოფი მოთამაშის გვარები ჩაწერეთ სპეციალურ გრაფებში.*

გთხოვთ, გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტა 1999 წლის 5 ნოემბრამდე გამოგვიგზავნოთ „სარბიელის" რედაქციაში მისამართზე:

თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,

ან საფოსტო მისამართზე:

თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208

გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი სახელი, გვარი და ასაკი:

______________________

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს თასი

# მამალმა პოლიტიკოსებმა მამალ მორაგბეებს მიულოცეს



ფრანგული ჰკა ტრიუმფალურ თაღთან

ახალ ზელანდიასთან „მამლების“ გამარჯვებას მთელი საფრანგეთი გამოეხმაურა. მორაგბეებს ეს დიდი წარმატება რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა, პრემიერ-მინისტრმა ლიონელ ჟოსპენმა და ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრმა მარი-ჟორჟ ბიუფემაც მიულოცეს.

კვირას თვიქნემში გამართული მატჩის დასრულებისთანავე ბატონ შირაკს ფრანგთა ნაკრების კაპიტან რაფაელ იბანესისთვის დაურეკავს და საქებარი სიტყვები არ დაუშურებია მისი და მისი თანაგუნდელების მიმართ. როგორც ელისეს სასახლის პრესსამსახური აცხადებს, საფრანგეთის პრეზიდენტს იბანესისთვის ფინალურ თამაშზე დასწრება და გულმხურვალე ქომაგობა აღუთქვამს. ხოლო ჩაიცვამს თუ არა ჟაკ შირაკი თავისი ქვეყნის ნაკრების მაისურას, როგორც ეს შარშან ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისას გააკეთა, ჯერჯერობით უცნობია.

„მამლების“ კაპიტანს საფრანგეთის პირველი პირისთვის უთქვამს, რომ მის მილოცვებს დანარჩენ მორაგბეებსაც გადასცემდა და რომ ყველა მადლობელი იქნებოდა.

„თქვენ შეძელით, მთელი მსოფლიოსთვის გეჩვენებინათ ფრანგული რაგბის სიძლიერე და ღირსება. ახალზელანდიელებთან, რომლებიც უპირველესი ფავორიტები იყვნენ, მამაცურად იბრძოლეთ და ფანტასტიკური თამაშით გაიმარჯვეთ. ეს ძალიან ბედნიერი მომენტია ჩვენი ქვეყნის და თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში. ფინალური მატჩისას მე, ისევე როგორც ყოველი ფრანგი, თქვენს გვერდით ვიქნები“ — ეწერა ჟაკ შირაკის ოფიციალურ კომუნიკეში.

„რა მატჩი იყო!“ — აღტაცების ამ შეძახილით დაიწყო მილოცვა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ლიონელ ჟოსპენმა, რომელიც რაგბის დიდ თაყვანისმცემლად და მცოდნედ ითვლება.

„თქვენს მიერ ახალზელანდიელთა დაჯაბვნას მილიონებივით მეც ტელევიზიით ვუცქირე. ქედს ვიხრი თქვენი ტალანტის და ბრწყინვალე თამაშის წინაშე. მსოფლიოს თასის დაწყებიდანვე მჯეროდა, ვიცოდი, რომ თქვენ ამას შეძლებდით. ახლა ფინალს ველით. მთელი საფრანგეთი თქვენთანაა. მადლობა თითოეულ თქვენგანს“ — ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა საფრანგეთის მთავრობის ხელმძღვანელმა „მამლებს“ თვიქნემური მატჩის შემდეგ.

ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრი კი დაესწრო მსოფლიოს თასის ნახევარფინალს და მისი დამთავრების შემდეგ თვისტომთ მისალოცად გასახდელშიც ეახლა. „ფინალში ვართ, ფინალში ვართ!“ — მღეროდნენ მორაგბეები მინისტრის შესვლისას.

„იგივე სიტყვები შარშანაც გავიგონეთ. პარალელების გავლება არ მიყვარს, მაგრამ ახლა ამას გვერდს ვერ ვუვლი. ფეხბურთელებმაც და მორაგბეებმაც ძლიერ გაგვახარეს. თუმცა მორაგბეებს ფინალი აქვთ წინ და იმედი მაქვს, მასაც ისევე აღმავლობით ჩაატარებენ, როგორც ნახევარფინალს“ — თქვა ქალბატონმა ჟორჟ ბიუფემ, რომელიც შაბათს, 6 ნოემბერს, თავისი პრეზიდენტის მსგავსად უქომაგებს „მამლებს“ კარდიფის „მილენიუმის“ სტადიონზე.



გრემ ჰენრი უელსელთა მიტოვებას არ აპირებს

# ჰენრი უარზეა

საფრანგეთთან სენსაციური დამარცხების მერე ახალ ზელანდიაში ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ჯონ ჰარტის გადადგომის მოთხოვნები გაისმა. კრიტიკის ქარცეცხლში მოჰყვნენ „ზედმეტად განებივრებული, ზედმეტი ანაზღაურების მქონე და უჯიგრო“ მოთამაშეები, განსაკუთრებით კაპიტანი ტეინ რენდელი, მაგრამ ჯოხი, ალბათ, მაინც მწვრთნელზე გადატყდება.

ჰარტის სავარაუდო შემცვლელთა შორის ყველაზე ხშირად უელსის ნაკრების თავკაცს, ახალზელანდიელ გრემ ჰენრის ასახელებენ, რომელმაც ერთ-ერთი უსუსტესი ევროპული გუნდი რამდენიმე თვეში ანგარიშგასაწევ ძალად გარდაქმნა. თუმცა ჰენრი ჯერჯერობით უარზეა.

„არსად წასვლას არ ვაპირებ, უელსთან კონტრაქტი მაკავშირებს — განუცხადა მწვრთნელმა ბრიტანულ პრესას სამშაბათს — ეს ყველაფერი მონაჩმახი და მედიის აგორებული ჭორია, ამაზე არც ღირს საუბარი“.

ჰენრის არასოდეს დაუმალავს, რომ ძალიან სურს, ოდესმე „ოლ ბლექსს“ ჩაუდგეს სათავეში. მაგრამ ამჟამად ახალზენლანდიელს ევროპელებთან ხუთწლიანი კონტრაქტი აქვს დადებული, რომლისგანაც მხოლოდ 15 თვეა გასული.

გლენმორ გრიფიტსი, უელსის რაგბის კავშირის თავმჯდომარე ძალიან უფრთხილდება სამხრეთნახევარსფეროელ მწვრთნელს და მისი ხელიდან გაშვება არასდიდებით არ სურს.

„ახალი ზელანდიის რაგბის კავშირიდან ჯერჯერობით არავინ შეგვხმიანებია და ალბათ, არც შეგვეხმიანება. გრემ ჰენრის ჩვენთან ხუთწლიანი კონტრაქტი აქვს და მისი საქმიანობით 1998 წლის აგვისტოდან მოყოლებული ძალიან კმაყოფილები ვართ. გრემს არაერთხელ უთქვამს, რომ ხელშეკრულებას არ დაარღვევს და 6 ერის პირველობასა და მომავალ მსოფლიოს თასს ჩვენთან ერთად შეხვდება“.

ქახა არჯევანიძე

# დათვების ხუთი წუთი

თბილისი

2 ნოემბერი

**ლოკომოტივი 1 13:13 (3:3) დათვები**

ლოკომოტივი 1: კერესელიძე (კვანტალიანი), თოფურიძე, მაჭუტაძე, აბრამიშვილი, ჩადუნელი, კობახიძე, უდესიანი, კახიანი, სარიშვილი, კვინიხიძე, ბესელია, ჩაჩუა (ცხადაია), ალანია (გუგავა), ბუგიანიშვილი, ძნელაძე

ლ — ბესელია, კობახიძე

ს — კვინიხიძე

დათვები: აშვეთია, ფირცხალავა, გურეშიძე (ღლონტი), ჩირგაძე (აბაშიძე), რეხვიაშვილი, გოგიხვანიძე, სვანიძე, ფხაკაძე, გიორგაძე, მაჩიტიძე, ხონელიძე, ძოწენიძე, აბდალაძე, ჯანაშია, ჩუბინიძე

ლ — ხონელიძე, ჩუბინიძე

ს — მაჩიტიძე

მსაჯი: გ. აბაშიძე

მეთვალყურე: გ. ჭუმბურიძე

გაიოზ [illegible] ფოტო



ლოკომოტივი 1 — დათვები. გუშინ მოშუღარნი მშვიდობით გაიყარნენ

მართალია, ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ საკმაო დროა, მაგრამ ნერვები უკვე უკიდურესობამდე დაეჭიმათ პლეი ოფში მონაწილე გუნდებს. როგორი ამბავია. 26 ოქტომბერს „დათვებმა“ საკუთარ მოედანზე დათმეს შეხვედრა „ყოჩებთან“ 19:22 და ამ მატჩის წინ I-II ადგილოსნებს შორის განსხვავება მხოლოდ 2 ქულა იყო. მორაგბეები უმძიმესი თამაშისთვის ემზადებოდნენ, რადგან „ლოკომოტივის“ გამარჯვებით „ყოჩებს“ წინ გაჭრის საშუალება ემლეოდათ. შეხვედრა რომ ნერვიული და დაძაბული იქნებოდა, ფედერაციამაც კარგად უწყოდა. ალბათ, სწორედ ამიტომ გაამწესეს არბიტრად გოჩა აბაშიძე, რომლის ასაკს და გამოცდილებას ქართული სარაგბო თემი დიდ პატივს სცემს. ეგეც რომ არ იყოს, ამ გუნდების შეხვედრის მსაჯობას საკმაო გამბედაობაც სჭირდება...

თამაშის პირველი ნახევარი სანახაობრივად დიდი ვერაფერიშვილი გამოდგა. თითქმის არ იყო კომბინაციები. ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიპოვა უპირატესობა, მეტოქეები ერთმანეთს ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ. იყო გაუთავებელი შერკინებები, რომელშიც მორაგბეები ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ და უამრავი აუტი. აი, ეს გახლდათ პირველი ტაიმი. ერთი ორჯერ რკინიგზელებმა არეკნით სცადეს ბურთი ძელებს შორის გაეტარებინათ, მაგრამ ამაოდ. შეხვედრის პირველ ნახევარში საჯარიმოები გაიცვალა, ჯერ მაჩიტიძემ დააწინაურა ბათუმელები, შემდეგ კი კვინიხიძემ გაიტანა საპასუხო საჯარიმო.

შეხვედრის ატმოსფეროს ისიც ძაბავდა, რომ ერთ-ერთ გვერდით მსაჯად ბათუმელთა მწვრთნელი გაამწესეს, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ლოკომოტიველთა რიგებში. შესვენების დროს რკინიგზელთა მწვრთნელმა მატჩის მეთვალყურეს პროტესტიც განუცხადა, მაგრამ არაფერი შეცვლილა. ისე, ჩვენი აზრით, როცა ასეთი საპასუხისმგებლო შეხვედრაა, სამივე მსაჯი რომ რაგბის კავშირის წარმომადგენელი იყოს, ნამდვილად უკეთესია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მორაგბეები თავიანთ შეცდომებს ვერავის დააბრალებენ.

მეორე ტაიმი რკინიგზელებმა შეტევით დაიწყეს. ზღვისპირელებს ძალიან გაუჭირდათ გავეშებული მეტოქის შეკავება. დაძაბულობამ უფრო იმატა და ბოლოს კიდეც აივსო მოთმინების ფიალა — ძოწენიძესა და კობახიძეს შორის ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა და ამ ჩხუბში ორივე გუნდის მორაგბეები ჩაერთვნენ. მწვრთნელებმა და არბიტრმა ძლივს მოახერხეს მოთამაშეთა დაშოშმინება, რის შემდეგაც შეხლა-შემოხლის მოთავეები 10-10 წუთით გაისტუმრეს მიდვრიდან. თითქოს დაცხრა ემოციები და გუნდები უფრო მშვიდად ათამაშდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „ლოკომოტივი“ მხოლოდ თავს იკატუნებდა. 10-მეტრიან ხაზთან ბურთის გათამაშებისას კარგად გამოიყენეს მეტოქის დაცვაში გაჩენილი ხარვეზი და ბესელია მარჯვენა ფრთაზე გააქციეს. იმანაც კარგად ირბინა, მეტოქეს გაუსწრო და ლელოც გაიტანა. კვინიხიძემ ვერ გარდასახა და ლოკომოტივმა მხოლოდ 5 ქულა მიიმატა.

ბათუმელებმა შეუძახეს ერთმანეთს და რკინიგზელებს ეკვეთნენ, მაგრამ „ლოკომოტივი“ მედგრად დადგა. რამდენიმე შეტევა ჩაუშალეს „დათვებს“ და თვითონაც მიაწვნენ. მიწოლა რომ გამოსდით „ზოლიანებს“, ყველამ კარგად იცის. ბიჭი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რკინიგზელები „დათვების“ სალელოე მოედნამდე ჩავიდნენ, იქ კი კობახიძე მოიქციეს შუაში და ბურთიანად შეიტანეს სალელოე მოედანზე.

ახლა კი მიეცათ იმედი „ლოკომოტივის“ და „ყოჩების“ გულშემატკივრებს და ყიჟინა დასცეს. თითქოს რკინიგზელთა გამარჯვება გარდაუვალი ჩანდა. „დათვებმა“ იგრძნეს მოსალოდნელი დამარცხების სიმწარე და დაფაცურდნენ. რალაც უნდა ელონათ, თორემ მოწინააღმდეგე ამ ანგარიშზე შეჩერებას ნამდვილად არ აპირებდა. „დათვებმა“ დიდი ძალისხმევით და ნებისყოფის დაძაბვით მიაღწიეს იმას, რომ ნელ-ნელა გაათანაბრეს თამაში და მეტოქის ნახევარზე გადავიდნენ. აი, ამის მერე დაიწყო, თუ დაიწყო...

ასეთი რამ, რაც შეხვედრის ბოლო ხუთ წუთში მოხდა, იშვიათია. ბათუმელებს, ალბათ, სასოწარკვეთისგან, ნამდვილი შთაგონება ეწვიათ. ისე ათამაშდნენ, თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნათო. რკინიგზელები ზედიზედ ჯარიმდებოდნენ და „დათვები“ ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდნენ მეტოქის ჩათვლის მოედანს. მერე გოჩა აბაშიძემ შერკინება დანიშნა ზღვისპირელების სასარგებლოდ. იმათაც სწრაფად გამოიტანეს ბურთი, მაჩიტიძემ სწრაფადვე ჩაჰკიდა მარჯვენა ფლანგზე და ხონელიძემ ლელო გაიტანა, თუმცა ვერც ბათუმელებმა გარდასახეს.

ამის შემდეგ დრო ბათუმელთა წინააღმდეგ ამუშავდა. ცაიტნოტში მოხვედრილმა „დათვებმა“ უკანმოუხედავად შეუტიეს თბილისელებს. მსაჯიც საათზე იყურებოდა და მოხდა ის, რასაც რკინიგზელი მორაგბეები ყველაზე ნაკლებად ელოდნენ. ბათუმელთა წინახაზელებმა მეტოქე შებოჭეს, ბურთი უკან მიაწოდეს ჩუბინიძეს, რომელიც მარჯვედ გამოსხლტა მეტოქეებს შორის და ლელო გაიტანა. რკინიგზელები გამწარდნენ, მაჩიტიძე გარდასახვის შესასრულებლად ემზადებოდა. მორაგბეები გაინაბნენ. ამ დარტყმაზე ეკიდა მატჩის ბედი, რომლის გმირებად უკვე ბათუმელები ქცეულიყვნენ.

მაჩიტიძემ ბურთი ააცილა და ცოტა ხანში მსაჯმაც დაასრულა შეხვედრა. ბათუმელები ერთმანეთს ულოცავდნენ ფრეს, რომელიც ნამდვილად გამარჯვების ტოლფასი იყო.

ზურა ბენიძე

### რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვის მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

**როსტომ აბაშიძე**

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**

დაიბადა 1935 წლის 23 თებერვალს ბათუმში. სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრკ სამგზის ჩემპიონი (1957, 1960, 1962), მსოფლიოს ამგზის ჩემპიონი (1958, 1962, 1963), ახალგაზრდობის III საერთაშორისო სპორტული თამაშების (1957) ჩემპიონი



1. 1958 წელს ბუდაპეშტში პირველად გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი. ეს ყველაზე სასიამოვნო მოგონებაა ჩემს სპორტულ კარიერაში. ყველაზე ცუდი კი სპორტული კარიერის დამთავრება იყო. ეს 1964 წელს მოხდა, როცა ბოტკინის დაავადება დამემართა. ამან მაიძულა, სპორტიდან წავსულიყავი.
2. საამისოდ საჭიროა თანხები და სპორტის პროპაგანდა ახალგაზრდებში. სახელმწიფომ სპორტზე უნდა იზრუნოს. ჯერ ისიც არაა ისე ძლიერი, როგორც საბჭოთა ეპოქაში. ფულის დაუხარჯავად არაფერი გამოვა. განსაკუთრებით სპორტის პოპულარულ სახეობებს უნდა მივხედოთ.
3. გივი კარტოზია, ლევან თედიაშვილი, ვიქტორ სანეევი
ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე, მაია ჩიბურდანიძე



### ცურვა

# კუნძულ-კუნძულ მოცურავე აუზში საშველლი გამხდარა

ფიდელ კასტროს ფავორიტი ავსტრალიელი მარათონელი მოცურავე ქალი სუზი მერონი, რომელმაც სახელი გაითქვა ტრანსკუნძულური გადაცურვებით, ჯანმრთელობის გაუარესების გამო კვირას, სიდნეის ჰოსპიტალში მოხვდა.

მერონი შეუძლოდ შეიქნა მას შემდეგ, რაც სიდნეის დახურულ აუზში შაბათს საქველმოქმედოდ 675 „წრე“ გაცურა. თანხების მოსაზიდად ეს გაცურვა ორგანიზებული იყო ავსტრალიის მაშველთა სამეფო საზოგადოების მიერ, რაც წყალში დახრჩობისაგან ბავშვების დაცვის კამპანიას ემსახურებოდა.

მერონის ძმის მაიკლის განცხადებით, მისი დის შინ „იძულებითი დაბრუნება ასთმის შემოტევამ განაპირობა — მისივე თქმით, გაურკვეველია ასთმის გამომწვევი მიზეზები. ისიც საინტერესოა, რომ რვასაათიანი ცურვის შემდეგ მისი გაგრძელება სუზი მერონის დამ ითავა, თუმცა იმას ალარ იტყობინებიან, თუ რამდენ [illegible].

როგორც ამ სამიოდე კვირის [illegible], მერონს სურს გახდეს პირველი, რომელიც ჰაიტიდან კუბამდე 80 კილომეტრს გაცურავს. იმასაც შეგახსენებთ, რომ ფიდელ კასტრომ, რომელიც მერონის თავგამოდებული გულშემატკივარია, სექტემბერში სუზის „მსოფლიოს სპორტის გმირი“ უწოდა იმ უპრეცენდენტო გაცურვის გამო, რომელიც მან ზვიგენებისგან თავდასაცავ სპეციალურ გალიაში გამომწყვდეულმა იამაიკიდან კუბამდე განახორციელა. მაშინ მერონიმ 36 საათში 145 კილომეტრი გადალახა, რასაც თან სდევდა მეტრნახევრიანი ტალღები და „ფლოიდის“ ქარიშხალი.

მანამდე კი მერონს 1996 წელს კუბიდან აშშ-ში გადაუცურავს, ხოლო 1998 წელს მექსიკიდან კუბაში.

**გიგა გურასაშვილი**

### ჰოკეი

# იაშინს დედლაინით ვერ დააშინებ

როგორც ჩანს, ალექსეი იაშინის და მისი კლუბის ოტავას გაჭიანურებულ დავას ბოლო მოელება, ასე ფიქრობენ გუნდის მესვეურები. კვირას ოტავას გენერალურმა მენეჯერმა მარშალ ჯონსტონმა ურჩ ჰოკეისტს ფაქსი გაუგზავნა. ეს გახლავთ ულტიმატუმი, რომელშიც ნათქვამია, რომ იაშინს გონს მოსასვლელად ცოტა დრო დარჩა — საბოლოო ვადა, ანუ იქაურად „დედლაინი“ 8 ნოემბერია. თუ ორშაბათამდე იაშინი „სენატორებს“ არ დაუბრუნდება თამაშზე, კლუბი მის მიმართ მკაცრ ზომებს მიიღებს. კერძოდ, ჩემპიონატის დასრულებამდე მასთან ყოველგვარი ურთიერთობა შეწყდება, ხოლო მომავალი სეზონისთვის რუსი თავისუფალ აგენტად არ გამოცხადდება, რადგან მას



ალექსეი იაშინი

ეს გამოტოვებული წელიწადი ფაქტობრივად ვალად დარჩება. თუმცა, როგორც ჩანს, ჰოკეისტზე ამან არავითარი გავლენა არ მოახდინა. იაშინის აგენტის, მარკ განდლერის თქმით, იგი კვლავ გააგრძელებს შვეიცარიაში, კლუბ „კლოტენთან“ ვარჯიშს. ხოლო თავად რუსმა ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთს გულახდილად განუცხადა, რომ მას არანაირი „დედლაინი“ არ აშინებს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. 8 ნოემბრამდე არც ისე დიდი დროა.

## 3 მილიონიც ფულია, ბაირონ!

ძალიან მონატრებია ჰოკეი ბოსტონის მეკარე ბაირონ დაფოს, რაკი ამ დღეებში კლუბს მისთვის წამგებიან სამწლიან კონტრაქტზე მოურიგდა. ხელშეკრულების ფინანსურ მხარეზე არაფერი თქმულა, თუმცა, როგორც ვარაუდობენ, ჰოკეისტი არა მის მიერ ნათხოვნ 4 მილიონს, არამედ კლუბის მიერ შეთავაზებულ 3 მილიონს მიიღებს. ასე რომ, გაქნილმა და ხელმოჭერილმა ბოსტონის გენერალურმა მენეჯერმა ჰარი სინდენმა მაინც თავისი გაიტანა და დაფო, რომელიც სულ მალე გამოჩნდება ყინულზე, მის შემცვლელებთან — რობ ტალასსა და ჯონ გრემთან კონკურენციაში ჩააბა. „დათვების“ ძირითადი გოლკიპერი განსაკუთრებით ახალბედა გრემს უნდა უფრთხოდეს, რომელიც ჯერჯერობით მატჩში საშუალოდ ორ შაიბაზე ნაკლებს უშვებს, ბუფალოსთან შეხვედრაში კი კარიერაში პირველი შათაუტიც მიითვალა.

# ჰაშეკი: ბუფალოს ბოროტი სული!?

ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი იქნებოდა ლეგენდარული დომინიკ ჰაშეკის უკანასკნელი სეზონი ნჰლ-ში. საკვირველია — როცა „ხმლების“ სუპერმეკარე სათადარიგო სკამზე ზის, ბუფალო ფრთაშესხმული და შეუჩერებელია, ხოლო როცა „დომინატორი“ ყინულზეა... ფლორიდასთან მატჩის ბოლო წუთზე მან ბრეტ ჰედიკანის შორეული დარტყმაც კი ვერ მოიგერია და სტუმრები 1:2 გაუშვა წინ.

როგორც კი ჰაშეკი გამოცვალეს, ბუფალომ ანგარიში გაათანაბრა, ოვერტაიმში კი იმარჯვა კიდეც. ცხადია, სახელოვან მეკარეს დასვენება სჭირდება.

უქმეების სხვა მოვლენებისგან ალსანიშნავი გრანდების უიღბლობაა. კოლორადოსთან უმძიმეს პაექრობაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ დეტროიტმა ორჯერ წაიფორხილა (თუმცა სენტ ლუისთან ოვერტაიმში დამარცხდა და ქულა მაინც მიიღო), თანაც ჩემპიონატის აუტსაიდერ ჩიკაგოსთან შინ წააგო. დალასმა კი უკვე მეხუთე (!) მარცხი იწვნია და მიუხედავად იმისა, რომ მოგება-წაგების დადებით ბალანსს ინარჩუნებს (+6!-5), უაღრესად ძლიერ წყნარი ოკეანის დივიზიონში ბოლო ადგილზე მოექცა. ჩემპიონს იმით თუ გავამართლებთ, რომ რამდენიმე ლიდერი აკლია.

ახალ კლუბში ჩატარებულ პირველივე მატჩში გამოირჩა ოტაველი კიო ჟიუნო. გამარჯვებით აღნიშნა თავისი დებიუტი ატლანტადან ვანკუვერში გადასულმა კორი შვებმაც. უნდა ითქვას, რომ „კენაქსში“ მისი მიწვევა ორი ძირითადი მეკარის ტრავმამ განაპირობა.

მხოლოდ 253-ე წუთზე (4 მატჩზე მეტი) შეწყვიტა თავისი „მშრალი“ სერია რეინჯერსმა, რომელსაც ასეთი რამ უკვე 49 წელია, არ მოსვლია. სამაგიეროდ, შარშანდელი დრაფტის პირველ ნომერს, ტამპელ ვენსან ლეკავალიეს ზედიზედ მესამე შეხვედრაში გააქვს გოლი.

იუბილეებისა და მნიშვნელოვანი მიღწევების გარეშე არც ამ უქმეებს ჩაუვლია. ჩიკაგოელმა დუგ გილმორმა თავისი მე-400 გოლი გაიტანა, სანხოსელმა რონ სატერმა კი მე-200 მიითვალა. დეტროიტელმა ლარი მერფიმ 1488-ე მატჩი ჩაატარა და ლიგის ისტორიაში მე-4 ადგილზე მყოფ უეინ გრეცკის გაუსწრო. ჩამორჩა მარიო ლემიეც. ვანკუვერის ლიდერმა მარკ მესიემ სუპერმარიო 614 შაიბით ჩამოიტოვა, ხოლო კაროლინელმა რონ ფრენსისმა ქულებით აჯობა მას — იგი 1498 ქულით ლიგის ბომბარდირთა სიაში მე-7 ადგილზე ალზევდა.

**სამველ ლარიბიანი**

### სატურნირო ვითარება

**ჩრდილო-აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 13 | 9 | 1 | 0 | 3 | 38:23 | 19 |
| ოტავა | 12 | 8 | 1 | 1 | 3 | 41:25 | 18 |
| ბოსტონი | 13 | 4 | 4 | 0 | 5 | 30:29 | 12 |
| ბუფალო | 12 | 3 | 2 | 0 | 7 | 29:38 | 8 |
| მონრეალი | 12 | 3 | 1 | 0 | 8 | 22:30 | 7 |

**ატლანტა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 11 | 6 | 1 | 1 | 4 | 30:26 | 14 |
| ფილადელფია | 13 | 6 | 1 | 1 | 6 | 37:33 | 14 |
| რეინჯერსი | 13 | 4 | 2 | 0 | 7 | 23:30 | 10 |
| პიტსბურგი | 9 | 2 | 3 | 1 | 4 | 29:30 | 8 |
| აილენდერსი | 9 | 2 | 1 | 0 | 6 | 18:30 | 5 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფლორიდა | 12 | 6 | 1 | 2 | 5 | 32:31 | 15 |
| კაროლინა | 11 | 5 | 3 | 0 | 3 | 31:27 | 13 |
| ტამპა | 10 | 3 | 1 | 1 | 6 | 27:34 | 8 |
| ატლანტა | 10 | 2 | 2 | 1 | 6 | 22:38 | 7 |
| ვაშინგტონი | 10 | 2 | 2 | 0 | 6 | 23:36 | 6 |

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 11 | 7 | 1 | 1 | 3 | 38:25 | 16 |
| სენტ ლუისი | 11 | 7 | 0 | 0 | 4 | 36:24 | 14 |
| ნეშვილი | 11 | 4 | 1 | 0 | 6 | 26:34 | 9 |
| ჩიკაგო | 11 | 2 | 4 | 0 | 5 | 26:34 | 8 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვანკუვერი | 13 | 7 | 2 | 1 | 4 | 42:37 | 17 |
| კოლორადო | 13 | 5 | 2 | 1 | 6 | 33:38 | 13 |
| ედმონტონი | 11 | 4 | 2 | 2 | 5 | 28:28 | 12 |
| კალგარი | 13 | 3 | 2 | 0 | 8 | 28:45 | 8 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 15 | 9 | 1 | 0 | 5 | 45:35 | 19 |
| ფინიქსი | 13 | 8 | 3 | 0 | 2 | 40:26 | 19 |
| ლოს ანჯელესი | 13 | 8 | 2 | 0 | 3 | 44:33 | 18 |
| ანაჰაიმი | 13 | 6 | 1 | 1 | 6 | 36:32 | 14 |
| დალასი | 12 | 6 | 1 | 0 | 5 | 23:26 | 13 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ გრაფაში კი ჩატარებული თამაშების რაოდენობაა მოყვანილი.*

*ბომბარდირები: რეკი (ფილადელფია) 20 (6+14); ნოლანი (სან ხოსე) 19 (9+10); იაგრი (პიტსბურგი) 18 (8+10); სელიანე (ანაჰაიმი) 17 (6+11); რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 16 (10+6); კაპანენი (კაროლინა) 16 (8+8); საკიკი (კოლორადო) 16 (4+12); ვ. ბურე (კალგარი) 15 (10+5); სავაჟი (მონრეალი) 14 (10+4); გრინი (ფინიქსი) და ჰოსა (ოტავა) 14 (9+5); ტარჯონი (სენტ ლუისი) 14 (7+7)*

*ახალბედები: შეფერი (ვანკუვერი) 12 (6+6); გომესი (ნიუ ჯერსი) 10 (1+9); ს. კარია (ვანკუვერი) და ტანგეი (კოლორადო) 9 (5+4); ჰეხტი (სენტ ლუისი) 9 (2+7); სტიუარტი (სან ხოსე) 8 (3+5); განი (ფილადელფია) 7 (4+3); ბუზეკი (ატლანტა) 7 (3+4)*

*მეკარეები (საშუალოდ 1 მატჩში გაშვებული შაიბები): ჯოზეფი (ტორონტო) და ტაგნატი (ოტავა) 1,79; შტალენკოვი (ფინიქსი) 1,80; გრემი (ბოსტონი) 1,82; შილდსი (სან ხოსე) 1,83; ბელფორი (დალასი) 1,89; ოსგუდი (დეტროიტი) 1,90.*

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

# ყველაზე, ყველაზე, ყველაზე...

# ფორმულაში ყველაფერს ითვლიან

*ფორმულა I-ის* საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატი უკვე სამი დღეა, რაც ისტორიას ჩაბარდა.

ზუსტად ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩატარებული 645 რბოლის სტარტზე გამოვიდა 510 პილოტი, რომელთაგან 88-მ შეძლო დიდი პრიზის მოგება (88-ე წლევანდელი სასტარტო ავსტრალიური ეტაპის მომგები ედი ირვინი გახდა), 27-მა კი ჩემპიონის გვირგვინიც დაიდგა.

31 წლის მიკა ჰაკინენი მეექვსე ორგზისა და მეორე ფინელი ჩემპიონია კეკე როსბერგის (1982) შემდეგ. მიკამ ორმაგ ტრიუმფს 9 სეზონი და 128 რბოლა შეალია. ყველაზე ახალგაზრდა ორგზის ჩემპიონთა შორის მიხაელ შუმახერია — 1995 წელს მან 26 წლისამ მოახერხა ამ შედეგის მიღწევა, რისთვისაც სულ 5 სეზონი და 69 რბოლა ეყო.

ამრიგად, „სამეფო რბოლების" 27 გამარჯვებულთა შორის 2 ფინელია, მათ სამჯერ მოიპოვეს პირველობა. ყველაზე მეტი ჩემპიონი კი ჰყავს ბრიტანეთს — 8 პილოტმა 12 ტიტული ირგუნა.

სამი ბრაზილიელის ანგარიშზეა 8 გამარჯვება. ფინეთივით ორ-ორი ტრიუმფატორი ჰყავს იტალიას (3), ავსტრალიას (4), აშშ-ს (2), ავსტრიას (4), თითო-თითო არგენტინას (5), ახალ ზელანდიას (1), სამხრეთ აფრიკას (1), საფრანგეთს (4), გერმანიასა (1) და კანადას (1).

*ჰაკინენი* თავის შარშანდელ, ზუსტად 100-ქულიან შედეგს წლეულს ბევრით, მთელი 24 ქულით ჩამორჩა, თუმცა საჩემპიონოდ ესეც საკმარისი აღმოჩნდა. 76 ქულა ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ბოლო 10 წელიწადში, რეკორდი კი 108 ქულით ეკუთვნის 1992 წლის სეზონის გმირს ბრიტანელ ნაიჯელ მენსელს. მეორე შედეგი აქვს ალენ პროსტს — 105 (1988), მესამე — მიხაელ შუმახერს — 102 (1995).

*ჰაკინენმა* მეორე ადგილზე გასულ ირვინს სულ ორი ქულით აჯობა, რაც მესამე შემთხვევაა. 1984 წლის ჩემპიონატის ბედი კი მხოლოდ ნახევარმა ქულამ გადაწყვიტა ავსტრიელი ნიკი ლაუდას („მაკლარენი") სასარგებლოდ თანაგუნდელ პროსტთან დავაში. ყველაზე დიდი სხვაობა — 52 ქულა 1992 წელს დაფიქსირდა უილიამსელ თანაგუნდელებს მენსელსა და რიკარდო პატრეზეს შორის.

*ჰაკინენმა* წლეულს ხუთი რბოლის მოგება შესძლო — ბრაზილიის, ესპანეთის, კანადის, უნგრეთისა და იაპონიის. რეკორდი კი 9 მოგებით მენსელს (1992) და შუმახერს (1995) ეკუთვნის. სეზონში 8-8 გამარჯვება აქვთ აირტონ სენას (1988), ჰილს (1996) და ჰაკინენს (1998).

*წლევანდელი* სეზონის 16 დიდ პრიზს 4 გუნდის 6 პილოტი დაეპატრონა. ამ მხრივ ყველაზე ეგოისტი გამოდგა 1988 წლის „მაკლარენი". სენასა და პროსტის ჯადოსნურმა დუეტმა 15 რბოლა მოიგო და მხოლოდ ერთი „მიუგდო" გერჰარდ ბერგერს.

წლეულს კარიერაში პირველი ეტაპის მოგება ირვინმა თავის 82-ე რბოლაში მოახერხა. ჰაკინენს საამისოდ დასჭირდა ერთი წლით მეტი — 96 ეტაპი. ჰაინც-ჰარალდ ფრენცენს 52 ეყო, შუმახერს — 16, ხოლო საუკეთესო მაჩვენებელი ჟაკ ვილნევს აქვს: 1996 წელს მან თავის სადებიუტო სეზონის მეოთხე რბოლა მოიგო — ნიურნბურგრინგზე ევროპის დიდი პრიზი.

*ჰაკინენს* კარიერაში 14 მოგება დაუგროვდა 128 რბოლაში. მიკამ წლეულს ერთბაშად 9 პილოტს გაასწრო და ამ მეტად პრესტიჟულ სიაში მე-12 საფეხურზე მოკალათდა სამგზის ჩემპიონ ჯეკ ბრებჰემსა და ორგზის ჩემპიონების ემერსონ ფიტიპალდისა და გრეჰემ ჰილის გვერდით. დეიმონ ჰილი 22 მოგებით მეათეა, ხოლო 35 დიდი პრიზით შუმახერს მესამე ადგილი უკავია პროსტისა (51) და სენას (41) შემდეგ.

*ჰაკინენმა* მეორე პრესტიჟულ სიაშიც იყოჩაღა. წლევანდელი 76 ქულით ის 10 მრბოლს გადაასწრო და ახლა 294 ქულით მე-11 ადგილზეა. მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მდგომარეობა დევიდ კულჰარდმაც — მან ავსტრიაში 200-ქულიან ზღვარს გადააბიჯა და სადღეისოდ 221 ქულით 22-ეა. შოტლანდიელმა პილოტმა ეს შედეგი 90 რბოლაში აჩვენა, ანუ საშუალოდ ყოველ ეტაპზე 2,4 ქულას აგროვებს, რაც ოდნავ სჯობს ჰაკინენის მაჩვენებელს — 2,3.

ავსტრალიაში ირვინი 100-ქულიანთა კლუბში შევიდა, სეზონის ბოლოს კი 173 ქულით 35-ე პოზიციაზე შეჩერდა. მისი საშუალო შედეგიანობაა 1,8. ავარიის გამო 6 რბოლის გამოტოვების მიუხედავად, შუმახერმა მაინც შეძლო ქულათა საკმაო რაოდენობის (44) დაგროვება და 570 ქულით მნიშვნელოვნად მიუახლოვდა სენას (614). ცხრილის სათავეში მდგომი პროსტი (798,5 ქულა) კი კვლავაც მიუწვდომელი ჩანს.

შუმახერის საშუალო შედეგიანობა — 4,1 ქულა რბოლაში მესამეა ხუან მანუელ ფანხიოსა (5,4) და ალბერტო ასკარის (4,3) შემდეგ.

*მოქმედ* პილოტთაგან ჟან ალეზი ერთადერთია, ვისაც 150-ზე მეტ რბოლაში მიუღია მონაწილეობა. 35 წლის ფრანგი პილოტის ანგარიშზე 167 რბოლაა, რაც მე-11 შედეგია. ჯონი ჰერბერტი (145) ვეტერანთა ამ სიაში მე-19 ადგილზეა, ჰაკინენი და შუმახერი 128-ზე შეჩერდნენ (24). რეკორდი კი პატრეზეს ეკუთვნის — 18-წლიან კარიერაში იგი 256-ჯერ გამოვიდა სტარტზე. 200-ეტაპიან ზღვარს კიდევ სამმა პილოტმა გადააბიჯა — ბერგერმა (210), ანდრეა დე ჩეზარისმა (208) და ნელსონ პიკემ (204).

*ჰაკინენის* წლევანდელი გამარჯვება მეთერთმეტეა „მაკლარენის" ისტორიაში. ახალზელანდიელი მრბოლის ბრიუს მაკლარენის მიერ 1963 წელს შექმნილი გუნდი ამ მაჩვენებლით საგრძნობლად უსწრებს „ფერარის" (9 ტიტული) და „უილიამსს" (7). „მაკლარენს" ჩემპიონობა მოუპოვეს ფიტიპალდიმ (1974), ჯეიმს ჰანტმა (76), ლაუდამ (84), პროსტმა (85, 86, 89), სენამ (88, 90, 91) და ჰაკინენმა (98, 99).

*როგორც* იქნა, ხანგრძლივი კრიზისის შემდეგ კონსტრუქტორთა თასს ფორმულის ყველაზე სახელოვანი გუნდი — „ფერარი" დაეუფლა. ენცო ფერარის პირმშო ერთადერთია, რომელიც ყველა 50-ვე ჩემპიონატში მონაწილეობდა, წლევანდელი გუნდური პირველობა კი მეცხრეა იტალიური საჯინიბოსთვის და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა „უილიამსს". „მაკლარენის" აქტივში ერთით ნაკლები ტიტულია.

გუნდური ჩათვლა, ანუ კონსტრუქტორთა თასი 1958 წელს შემოიღეს. „ფერარი" [illegible] 1961, 64, 75, 76, 77, 79, 82, 83, 99 წლებში.

*წლევანდელ* ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 24 პილოტმა, მათგან 18-მა შესძლო ქულების მოპოვება. დებიუტანტი ოთხი იყო — 23 წლის ბრაზილიელი რიკარდო ზონტა, ორი ესპანელი — 25 წლის მარკ ხენე და 28 წლის პედრო დელა როსა. მხოლოდ ერთხელ გამოვიდა სტარტზე ფრანგი სტეფან სარაზენი, რომელმაც დაშავებული ლუკა ბადოერი შეცვალა „მინარდის" გუნდში.

ესპანელმა მრბოლებმა თითო ქულა მოიპოვეს, მედიისგან მომავალ სენად შერაცხულმა ზონტამ კი ესეც ვერ შეძლო.

აშკარაა 34 წლის ირვინის პროგრესი. წინა 6 ჩემპიონატში მას 99 ქულა ჰქონდა დაგროვილი, წლეულს კი ერთბაშად 74-ს მოუყარა თავი და კარიერაში საუკეთესო, მეორე ადგილიც დაიკავა.

*გუნდებიდან* „ჯორდანს" გამოვყოფთ. წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი გმირის, ფრენცენისა და ჰილის მიერ დაგროვილი 61 ქულით ედი ჯორდანის საჯინიბომ დიდი სხვაობით გაასწრო „სტიუარტს" (36 ქულა) და „უილიამსს" (35) და თავის 9-წლიან ისტორიაში პირველად ალზევდა საპატიო მესამე ადგილამდე.

90-იან წლებში კონსტრუქტორთა თასის ხუთგზის მომგები „უილიამსის" წლევანდელი მეხუთე ადგილი კატასტროფის ტოლფასია. ასე დაბლა სერ ფრენკის გუნდი 10 წელია არ დაცემულა. აბა, სხვა რა დაემართებოდა, როცა 35-ვე ქულა რალფ შუმახერმა შესძინა, მეორე პილოტი, ამერიკული ფორმულის ორგზის ჩემპიონი ალესანდრო ძანარდი კი ნამდვილი „ბალასტი" გამოდგა და გუნდში მისი მიწვევაც დიდი შეცდომა იყო. 32 წლის იტალიელმა 11 რბოლაში ვერ შეძლო ფინიშამდე მიღწევა და თუნდაც ერთი ქულის მოპოვება. 9 წლით უმცროსმა შუმი-მეორემ კი ასევე 11-ჯერ დაასრულა რბოლა ექვსეულში. დარწმუნებული ვართ, ფრენკ უილიამსის უფრო დიდი შეცდომა იქნება, თუკი ის ძანარდის გუნდში დატოვებს.

*ერთადერთი* გუნდი, რომელიც უქულოდ დარჩა, არის BAR (ყოფილი „ტირელი"). ეტყობა, მართლაც წყალწალებული მანქანაა, თორემ რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ შარშანწინდელი ჩემპიონი ვილნევი, ვის აქტივშიც 11 დიდი პრიზი და 180 ქულაა, წლეულს ნოლზე დარჩა, თანაც 13-ჯერ ვერ დაასრულა რბოლა, რაც ჩემპიონატის ანტირეკორდია. უდავოდ ნიჭიერმა კანადელმა პილოტმა, ცხადია, საგაისოდ სხვა გუნდი უნდა მოძებნოს.

შედარებისთვის: ირვინის თითქმის უნაკლო „ფერარი" მხოლოდ ერთხელ გამოეთიშა ბრძოლას. ესეც სეზონის რეკორდია.

*წლევანდელი* ჩემპიონატი დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა — ლიდერი შვიდჯერ შეიცვალა. თავიდან ორი ეტაპი ირვინი იდგა ცხრილის სათავეში, მომდევნო სამი — შუმახერი, შემდეგი ოთხი — ჰაკინენი, ისევ ირვინი, ჰაკინენი, ირვინი. ბოლო ეტაპზე კვლავ ჰაკინენმა იმარჯვა.

შარშანდელი სეზონი ამ მხრივ უფრო ერთფეროვანი გახლდათ — პირველივე რბოლის მოგებით დაწინაურებულ ჰაკინენს, შუმახერი მხოლოდ ბოლო ორი ეტაპით ადრე წამოეწია, თუმცა მეტის გაკეთება ველარ შეძლო. დარჩენილი რბოლები ისევ მიკამ მოიგო და ჩემპიონობაც მას დარჩა.

*წლეულს* კარიერა დაასრულა ჩემპიონატის უხნესმა მონაწილემ დეიმონ ჰილმა, რომელიც სექტემბერში 39 წლის შესრულდა. ყველაზე ახალგაზრდა კი ზონტაა.

ყველაზე ტანმაღალი ავსტრიელი ალექსანდრ ვურცია — 186 სმ, ტანმორჩილი — ინგლისელი ჯონი ჰერბერტი — 167 სმ.

ყველაზე მჩატეა ბადოერი — 58 კგ, მძიმე — რუბენს ბარიკელო — 79 კგ, თუმცა მას კოკპიტში ჩატევის პრობლემისა არაფერი ეტყობა.

**ირაკლი ნიკოლაძე**




სუზუკა 1999 — ორგზის ჩემპიონი მიკა ჰაკინენი, მიხაელ შუმახერი (მარცხნივ) და ედი ირვინი




ფორმულის 50-ე სეზონის ბოლო რბოლაში „მაკლარენმა" „ფერარის" აჯობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

I დივიზიონი. გადადებული მატჩები სტოკპორტი — ქუინზ პარკი 3:3; ქრიუ — ჩარლტონი 0:2; ჰადერსფილდი — იფსვიჩი 3:1

II დივიზიონი. XV ტური ბრენტფორდი — რედინგი 1:1; როვერსი — ბერი 0:0; ბარნლი — რექსემი 5:0; კემბრიჯი — სკანთორპი 1:3; კარდიფი — ბლეკპული 1:1; ჯილინგემი — ბრისტოლი 3:0; მილუოლი — ლუტონი 1:0; ოლდემი — უიკომბი 2:2; ოქსფორდი — კოლჩესტერი 1:1; უიგანი — ჩესტერფილდი 3:0; პრესტონი — ბორნმუთი გადაიდო

III დივიზიონი. XV ტური კარლაისლი — იორკი 0:1; დარლინგტონი — ლეიტონი 3:1; ჰალიფაქსი — ჩელტენემი 1:1; ჰარტლპული — ბარნეტი 3:0; ლინკოლნი — პიტერბრო 1:2; მაკლსფილდი — მენსფილდი 5:2; ნორთჰემპტონი — სუონსი 2:1; პლიმუთი — ექსეტერი 1:0; როჩდეილი — ჰალი 0:2; როტერჰემი — ტორკი 1:0; შრიუსბერი — ჩესტერი 0:1; საუთენდი — ბრაიტონი 2:1

# გერმანელი იაპონიაში



*ტოკიოს სტუმრობს გერმანიის კანცლერი გერჰარდ შროდერი. სამურაის კუნძულთა ქვეყანაში კი რა უნდა შეიგრძნო, თუ არა ბუშიდოს სული, ძველი იაპონიის ერთი ბურჯთაგანი. ამიტომაც მიუყვანიათ გერმანელი ტოკიოს ბუდოკანის დარბაზში, სადაც ნაირგვარი ხმლოსნები და ორთაბრძოლების იქაური ოსტატები გაეჯიბრნენ ერთურთს.*

REUTERS ტოკიოდან





# ისინი დაიღუპნენ

უბედურად დასრულდა „ფედეს“ კარტ-ის რბოლების წლევანდელი შეჯიბრის ბოლო ეტაპი. კალიფორნიის ქალაქ ფონტანას ოვალზე ტრაგედია დატრიალდა: დაიღუპნენ კანადელი გრეგ მური და ურუგვაელი გონსალო როდრიგესი. იმავ კალიფორნიაში, სენჩური სიტიში სეზონის დამხურავი ბანკეტი ქელეხს დაემსგავსა. მღვდელ ფილ დე რეიას (მარჯვნივ) მურის მეგობარ-მრბოლთა ნუგეში ევალებოდა კიდეც. კარტის თავმჯდომარე ენდრიუ კრეიგი კი ხმაგაბზარული წარმოთქვამდა გამოსათხოვარ სიტყვას. მრბოლთა ცხოვრება ხომ ერთი წუთია...

# ფლემინგტონში

ეს რა არის? რა არის და მელბურნის თასისთვის გამართული დოლიო. ფლემინგტონის იპოდრომიო, მთელი თავისი გარეშემონერილობით, განცდებით, ლალობით, დროსტარებით და ჰალალი შეჯიბრითო. სხვანაირად კი ეს არის ავსტრალიის უდიდესი და უმდიდრესი დოლი, საპრიზო ფონდად რომ ლამის ორი მილიონი ამერიკული დოლარი აქვს. გულღია ოზებს უყვართ ჩვენს სამყაროში დავიწყებული შეჯიბრებები და წესად აქვთ, ამგვარ სპორტულ ამბავთა დღე საერთო-სახალხო ზეიმად გადააქციონ. ვინ ოჯახთან ერთად სასადილოდ გაეშურება სწორედ რომ ფლემინგტონში, ვინ კიდევ შეყვარებულს სწორედ ამ სადოლე ალაგას დაუთქვამს შეხვედრას, ვინაც მასკარადს აწყობს და დედოფალ ელისაბედად, ან მის უფროს ვაჟად გარდაისახება... დაუვიწყარი დღის აღსანიშნავად განუწყვეტლივ ჩხაკუნობს ფოტოაპარატები, გოგოშკების ტკვარცალს კი ბოლო არ უჩანს. ყოველივე ამას კი შეჯიბრი აგვირგვინებს. გამარჯვებული კი მელბურნის თასს ჩაკოცნის. წლეულს გამარჯვებული, „როგან ჯოშზე“ ამხედრებული ჯონ მარშალი შეიქნა. დახეთ, მის სიამაყეს და სიხარულს...

ეს რა არის? რა არისო და ოზების ქვეყანა





REUTERS ფლემინგტონიდან





სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli